

კ ა დ მ ო ს ი

ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი

15.2023

K A D M O S

A Journal of the Humanities

15.2023



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ILIA STATE UNIVERSITY

თბილისი 2023 Tbilisi

რედაქტორი
ნინო დობორჯგინიძე

Editor-in-Chief
Nino Doborjginidze

სარედაქციო კოლეგია

ნინო აბაკელია
სიმონე არნჰოლდი
ვინფრიდ ბოდერი †
ლუიჯი მაგაროტო
თინათინ მარგალიტაძე
თამარ მახარობლიძე
დონალდ რეიფილდი
ლარს ტრაპ-იენსენი
გურამ ყიფიანი
ნინო ჭიჭინაძე
პიუს ტენ ჰაკენი

Editorial Board
Nino Abakelia
Simone Arnhold
Winfried Boeder †
Luigi Magarotto
Tinatin Margalitadze
Tamar Makharoblidze
Donald Rayfield
Lars Trap-Yensen
Guram Kipiani
Nina Chichinadze
Pius ten Hacken

ასოცირებული რედაქტორი
ელენე ტატიშვილი

Associate Editor
Elene Tatishvili

ყდაზე: სამადლოს ელინისტური ხანის პითოსის მოხატულობის ფრაგმენტი
(საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

On the cover: a fragment of a decorated Hellenistic pithos from Samadlo
(The Georgian National Museum)

© 2023, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© 2023, Ilia State University

ISSN 1987-8788 ბეჭდური

ISSN 2449-3147 ელექტრონული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

ჟურნალი „კადმოსი“ გამოიცემა ყოველწლიურად. 2012 წლიდან „კადმოსი“ ინდექსირებულია EBSCO-ს მონაცემთა ბაზებში, 2023 წლიდან კი – ERIH PLUS-ში. 2022 წლიდან ჟურნალი არის Crossref-ის წევრი.

Kadmos is published annually. The journal has been indexed in EBSCO databases since 2012, and in ERIH PLUS since 2023. Since 2022, *Kadmos* has been a member of Crossref.

სარჩევი

სტატიები / Articles

- ნინო გალდავაძე** – სამართლიანის პრინციპი როგორც თანასწორად თანაარსებობა სახელმწიფოში: როგორ განახორციელებს ადამიანი თავის თავს.....8
- Nino Galdavadze** – The Principle of Justice as the Premise of Equal Coexistence within a State, or One's Path towards Self-Actualization ...26
- Nino Galdavadze** – Appendix: Miniatures by Nikolo Mitsishvili (English translation by Mzia Lapiashvili)40
- ეკა კვირკველია, თამარ კალხიტაშვილი** – მათეს სახარების ანოტირებული პარალელური ციფრული გამოცემა56
- Eka Kvirkevelia, Tamar Kalkhitashvili** – An Annotated Parallel Digital Edition of the Gospel of Matthew77
- გრიგოლ ფერაძე** – ერეკლე II-ის კავკასიური პოლიტიკა 1760-იან წლებში (იოსებ [ჰოვსეფ] ემინის თხზულების მიხედვით)97
- Grigol Pheradze** – Heraclius II's Caucasian Policy in the 1760s (according to the autobiographical memoir of Joseph [Hovsep] Emin)132

თვალსაზრისი / Opinions

- მერაბ ლალანიძე** – ალექსანდრე ქუთათელის “გვალვა”: რელიგია, რევოლუცია და ძალაუფლება აპოკალიფსურ მოლოდინთა გარემოში161
- Merab Ghaghanidze** – *The Drought* by Aleksandre Kutateli: Religion, Revolution and Power in the Arena of Apocalyptic Expectations
- ირაკლი რობაკიძე** – მითოსური პარადიგმები გრ. რობაკიძის რომანში „ქალღმერთის ძახილი“180
- Irakli Robakidze** – Mythic Paradigms in Grigol Robakidze's Novel *The Cry of the Goddess*
- ირმა ყარაულაშვილი** – „ესე ამბავი სპარსული“ და ვაჭართა წრე ვეფხისტყაოსანში190
- Irma Karaulashvili** – ‘An Ancient Persian Tale, Retold in the Georgian Tongue,’ and the Circle of Merchants in *The Knight in the Panther's Skin*

აბსტრაქტები / Abstracts.....219

კვლევის ანგარიში / Research Reports

რუსუდან გერსამია, ირინა ლობჯანიძე, თამუნა სხულუხია, ნინო წულაია – მეგრული ენის დოკუმენტირება: სამეგრელოში ლინგვისტური ექსპედიციების ანგარიში (2022-2023)224

Rusudan Gersamia, Irina Lobzhanidze, Tamuna Skhulukhia, Nino Tsulaia – Documentation of Megrelian: A Report on Linguistic Expeditions to Samegrelo (2022-2023)

ირინა ლობჯანიძე, ერეკლე მალრაძე, სვეტლანა ბერიკაშვილი, ანზორ გოზალიშვილი, თამარ ჯალაღონია – ქართული ენის უნივერსალური სინტაქსური ანოტირების პრინციპები.....236

Irina Lobzhanidze, Erekle Maghradze, Svetlana Berikashvili, Anzor Gozalishvili, Tamar Jalaghonია – Universal Syntactic Annotation Guidelines for Georgian

აბსტრაქტები / Abstracts.....243

მიმოხილვა / Review Articles

თინათინ მარგალიტაძე – პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლექსიკოგრაფიაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.....245

Tinatín Margalitadze – First International Conference on Lexicography at Iliá State University

Pius ten Hacken – Conference Report: International Conference *Lexicography in the XXI Century*, Tbilisi 10-12 November 2023248

პიუს ტენ ჰაკენი – კონფერენციის ანგარიში: საერთაშორისო კონფერენცია „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“, თბილისი, 10-12 ნოემბერი, 2023

თამარ მახარობლიძე, ლეა ნეში – „სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ (SCCC-3).....250

Tamar Makharoblidze, Léa Nash – *South Caucasian Chalk Circle 3 (SCCC-3)*

აბსტრაქტები / Abstracts.....254

რეცენზია / Book Review

შუქია აფრიდონიძე – მიმართვის ფორმები ახალ ქართულში:
სტრუქტურა და ფუნქციონირება 257

Shukia Apridonidze – The Structure and Functioning of Forms of Address
in Modern Georgian

აბსტრაქტი / Abstract.....264

უცხოური ქართველოლოგია / Kartvelian Studies Abroad

ბერნარ უტიე – შუშანიკის მარტვილობა. ჰიპოთეზა სახარებათა
ქართული თარგმანის თარიღის შესახებ (ფრანგულიდან
თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა)266

Bernard Outtier – Le martyre de Šušanik. Une hypothèse au sujet de la
date des traductions géorgiennes des Evangiles (Georgian translation
by Tsisana Bibileishvili)

ნეკროლოგი / Obituary

ვინფრიდ ბოედერი (1937-2023)270

აბსტრაქტი / Abstract.....274

ჩვენი ავტორები / Contributors.....275

ნინო გალდავაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

nino_galdavadze@iliauni.edu.ge

სამართლიანის პრინციპი როგორც თანასწორად თანაარსებობა სახელმწიფოში: როგორ განხორციელებს ადამიანი თავის თავს ნიკოლო მიწიშვილის რვა მინიატიურის მიხედვით

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, სახელმწიფო, უსამართლო სახელმწიფო, ადამიანი, მე, „ადამიანი“, სხვა, თანაარსებობა, თვითგანადგურება, აბსურდული ყოფ[ნ]ა, თავის თავის უარყოფა, სიმულაციური რეალობა, შებრუნებული მნიშვნელობები

*სამართლიანობა? – სამართლიანობას მოიპოვებ
სხვა სამყაროში, ამ სამყაროში კი გაქვს კანონი.*

– უილიამ გედისი ¹

შესავალი სიტყვა

პლატონი თავის ერთ დიალოგში *პოლიტიკოსი* წერს, რომ ადამიანებს [როგორც ადამიანებს] თანაარსებობა შეუძლიათ ერთადერთ სივრცეში – სახელმწიფოში; და ეს თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ თანასწორად თანაარსებობის შემთხვევაში.² ე.ი. ადამიანი რომ ადამიანად განხორციელდეს, იგი უნდა იყოს მყოფი და, იმავდროულად, უნდა იყოს თანამყოფი: ე.ი. მყოფობისთვის მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საარსებო სივრცე [სახელმწიფო]; და თანამყოფობისთვის მას უნდა ჰყავდეს შესაბამისი ობიექტი [ადამიანი, მეორე, **სხვა**]. მყოფობას და თანამყოფობას, ე.ი. იმ მთავარ პრინციპებს, რომლითაც ადამიანი ხდება ადამიანი, სჭირდება იმგვარი საარსებო სივრცე, რომელსაც ვუწოდებთ სახელმწიფოს, უფრო კონკრეტულად კი – სამართლიან სახელმწიფოს. და რა ხდება, როცა საარსებო სივრცე არასამართლიან

1 “Justice? - You get justice in the next world, in this world you have the law”. ეს არის ციტატა უილიამ გედისის ნოველიდან *A Frolic Of His Own* (New York, London, Toronto, Sydney: Simon & Schuster, 1994), 13.

2 პლატონი, *პოლიტიკოსი*, რედ. ირინე დარჩია, მთარგმნ. მაია შუხოშვილი (თბილისი: ლოგოსი, 2014), [267e], [275a], [293d], [297b], [307d]-[308a], [309b], [311c].

ნია? მასში [ამგვარ სივრცეში] ადამიანს ხელიდან გაუსხლტება თავის თავის ადამიანად განხორციელების შესაძლებლობა და იგი დეკონსტრუირდება:³ ე.ი. დაკარგავს თავის მე-ს, გაუცხოვდება თავის მე-სთან, გაექცევა თავის მე-ს. თუმცა, გაქცევა აუცილებლობით გულისხმობს რალაცაში გაქცევას. ეს რალაცა არის ალტერნატიული საარსებო სივრცე, რომელსაც ადამიანი [მე] თავისთვის შე[ი]ქმნის, რათა განახორციელოს თავის თავი, გახდეს ადამიანი და კვლავ მოიშინაუროს მე, რომელიც მას გაუუცხოვდა შეუსაბამო [არასამართლიან] სივრცეში მყოფობის შედეგად.

მთავარი კითხვებია: რას ნიშნავს და როგორაა შესაძლებელი მყოფობა და თანამყოფობა? რატომაა აუცილებელი მყოფობა და თანამყოფობა? რას ვგულისხმობთ ცნებაში – სამართლიანი სახელმწიფო? როგორ გამოიყურება არასამართლიანი სახელმწიფოს ალტერნატიული საარსებო სივრცე, რომლის შემოქმედიც დეკონსტრუირებული მე-ა? საერთოდ, რატომ დეკონსტრუირდება მე და ვინ არის ეს [ამგვარი] მე?

კვლევის ძირითადი სამუშაო ბაზაა ნიკოლო მიწიშვილის⁴ რვა, 1910-იან წლებში შექმნილი მინიატიურა, რომელთა ფარგლებში გამოვკვეთთ რამდენიმე მნიშვნელოვან მეტაფორას; ხოლო თეორიულ ნაწილში გამოვიყენებთ პლატონის, მაკიაველის, კაფკას, ორუელის, ნიცშეს, ფრიშის, კამიუს და სხვათა ფილოსოფიურ პრინციპებს, რომელთა დახმარებით განვმარტავთ ლიტერატურულ მეტაფორებს და ვუპასუხებთ კვლევის ძირითად კითხვებსა და საბოლოო მიზანს. ამ უკანასკნელს წარმოადგენს მიწიშვილის მინიატიურების როგორც პირველადი, ბაზისური მასალის ფარგლებში, სტატიისთვის აქტუალური საკითხების ანალიზი და იმის ჩვენება, თუ როგორ ჩანს ზემოხსენებულ მინიატიურებში მეტაფორები, რომლებიც უსამართლო სახელმწიფოს და მასში მყოფ თავისუფლებაშეზღუდულ [არა]ადამიანს გამოხატავენ. აქვეა აღსანიშნი, რომ სტატიის ფარგლებში განვითარებული მცირე კვლევა არ მოიაზრებს თავის პირველად მიზნად კონკრეტული ავტორის ტექსტების პოპულარიზაციასა თუ თავად ავტორის, შედარებით, ფართო წრეებისათვის გაცნობას.

3 დეკონსტრუქციის ცნების ქვეშ, უშუალოდ ამ ტექსტის კონტექსტში, ვგულისხმობთ დაშლას, დანაწევრებას, ე.ი. მე-ს დეკონსტრუქცია გულისხმობს მე-ს, როგორც პირველადი [მთლიანი] სახით მოცემული კონსტრუქციის, დაშლას.

4 ვინ არის ნიკოლო მიწიშვილი? ქართველი პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ნიკოლოზ სირბილაძე (1896-1937); მისი ტექსტები 1912 წლიდან ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში; რედაქტორული საქმიანობა დაიწყო 1917 წლიდან; „ცისფერყანწელთა“ წევრი გახდა 1918 წლიდან; საზღვარგარეთ მოღვაწეობდა 1922-1926 წლებში; პატიმრობა მიუსაჯეს და დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს 1937 წელს. იხ. ნიკოლო მიწიშვილი, *საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი*, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000905/ 22.09.2023>).

საით მივდივართ ანუ ბრმად-სიარული როგორც სტატიკურობის დაძლევის სურვილი

პირველი მეტაფორა: ბრმად-სიარულის პრინციპი, რომელიც ნიკოლო მიწიშვილის მინიატიურაში საით მივდივართ გააზრებულია როგორც ადამიანის მორჩილებაში მყოფად არსებობა. ადამიანი, ბრმად-მყოფი და ბრმად-მოსიარულე, შესაძლებელია, იყოს მხოლოდ ისეთ საარსებო სივრცეში [სახელმწიფოში], რომელიც აბსურდისა და დაუსრულებელი განმეორებების სივრცეა. ამგვარ სივრცეში [სახელმწიფოში] ადამიანი გზააბნეული და მიზან-გარეშე მყოფი არსებაა, სიბნელეში მოძრავი.

მინიატიურა მოგვითხრობს ადამიანების შესახებ, რომლებიც მიცურავენ წყვდიადში, უმისამართოდ. მიცურავენ წინააღმდეგობაში, სადაც ქარი, სიბნელე და ტალღები ისე ებრძვიან ნავში მსხდომებს, როგორც სახელმწიფო – ადამიანს. და ამ ცურვაში ადამიანები ამბობენ: „წყვდიადს ვტოვებთ და წყვდიადში ვეხვევით.“⁵ მიწიშვილის აღნიშნული მინიატიურა და მასში ჩამოყალიბებული ბრმად-სიარულის მეტაფორა, ერთი მხრივ, აღწერს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ცნობიერებას აბრმავებს და იმორჩილებს, მეორე მხრივ კი, ავითარებს პრინციპს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოძრაობას [სიარულს] როგორც ჩაკეტილი საარსებო სივრცის გადალახვის საშუალებას.

როგორც პლატონი თავის *სახელმწიფოში* წერს, ადამიანი მიჯაჭვული ანუ ბორკილებდადებული პატიმარია იქ, სადაც მისი საარსებო სივრცე არა სამართლიანი სახელმწიფო [თავისუფლების განხორციელებისთვის, ადამიანად გახდომისთვის შესაბამისი სივრცე], არამედ გამოქვაბულია.⁶ მიწიშვილის სახელმწიფოც გამოქვაბულს ჰგავს, გამოქვაბულში კი თანასწორობა შეუძლებელია: თუ არსებობს მიჯაჭვული, ე.ი. არსებობს მიმჯაჭველი და მათ შორის უეჭველად ასიმეტრიული დამოკიდებულებაა. გამოქვაბულში ისინი ვერ შეძლებენ ისეთ თანასწორობას, რაც მათი ადამიანად გახდომისა და თავისუფლად-მყოფობის ფუნდამენტური საფუძველი იქნებოდა. ამდენად, არსებობს მიჯაჭვული, რომელსაც მიმჯაჭველი განუსაზღვრავს ფიქრს, ამ ფიქრის შინაარსსა და საზღვრებს: ლანდები ნამდვილ საგნებად აღიქმება,⁷ ხოლო გამოქვაბულის მიღმა არსებული სივრცის როგორც ნამდვილად არსებულის მოაზრება შეუძლებლობაა. პლატონი ამ მოცემუ-

5 ნიკოლო მიწიშვილი, „საით მივდივართ“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, რედ. ზვიად კვარაცხელია (თბილისი: ინტელექტი, 2010), 162.

6 პლატონი, *სახელმწიფო*, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ანტიკური მწერლობა 14, მთარგმნ. ბაჩანა ბრეგვაძე (თბილისი: ბაკურ სულაკაური, 2013), 265.

7 იქვე, 266.

ლობის გადალახვის მთავარ იარაღად მიიჩნევს ბორკილების ახსნას,⁸ ანუ უძრაობის გადალახვას მოძრაობით. მიწიშვილთანაც, სინათლის პოვნა სიბნელეში ბრმად-მოძრავი ადამიანისთვის კვლავ-მოძრაობაა, შეუჩერებლად და მუდმივად. უმთავრესი პრინციპია, გადაილახოს სტატიკურად-მყოფობა. მოძრაობა როგორც გადარჩენა – ამგვარად შეიძლება ფორმულირდეს სიბნელის დაძლევისა და გამოქვაბულიდან გამოსვლის პრინციპი. მოძრაობას როგორც სტატიკურობისა და ჩაკეტილი, მკაცრად შემოსაზღვრული სივრცის გადალახვის პრინციპს ავითარებს თავის ტექსტში *შრომა-გასწორების კოლონიაში* ფრანც კაფკა. მასთან მნიშვნელოვანი პერსონაჟია მოგზაური როგორც სიბნელისა და პროგრესული იდეების შემომტანი იმ სახელმწიფო სისტემაში, რომელიც კაფკას აღწერილი აქვს როგორც კოლონია.⁹ კოლონია თავისი არსით, ფაქტობრივად, პლატონისეული გამოქვაბულის იდენტური სივრცეა, რომელიც გამოხატავს მკაცრად არასამართლიანი სახელმწიფოს მოდელს, რომელშიც ადამიანებს რწმენითი ცნობიერება აქვთ და სრულად არიან განსაზღვრულები ტრადიციებით/წარმოდგენებით.¹⁰ კაფკასთან, გარდა კოლონიის მეტაფორისა, საყურადღებოა მოგზაურის მეტაფორაც: მოგზაური თავისი შინაარსით გულისხმობს მუდმივად მოსიარულე ადამიანს, ე.ი. იმას, ვინც თავისი სტატუსით [არსით] ვერ იქნება სტატიკურად-მყოფი, არამედ იგი სულ მოძრაობს, მოგზაურობს. კაფკას მოგზაური გადარჩენა მაშინ, როდესაც მისი გადაწყვეტილება განისაზღვრება კოლონიიდან წასვლით, გაქცევით.¹¹ მოგზაური თავისი პრინციპით გამოხატავს სტატიკურობის გადალახვას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაძლევეს ამ მოხუფულ სივრცეს [კოლონიას] და გათავისუფლდება როგორც პლატონის მიჯაჭვული, რომელიც მხოლოდ გამოქვაბულიდან გასვლის შემდგომ მოახერხებს სინამდვილესთან პირისპირ დადგომას.¹²

8 იქვე, 266-267.

9 ფრანც კაფკა, „შრომა-გასწორების კოლონიაში“, *რჩეული მოთხრობები*, მთარგმნ. მზია გალდავაძე (თბილისი: პეგასი, 2013), 128.

10 იქვე, 148.

11 იქვე, 148-149.

12 პლატონი, *სახელმწიფო*, 266-268.

მე ვარ „ადამიანი“ ანუ ადამიანი როგორც არა-ადამიანური ადამიანი [ადამიანი ბრჭყალებით]

მეორე მეტაფორა: „ადამიანი“, ე.ი. ბრჭყალებში ადამიანი, ანუ ადამიანი ბრჭყალებით.¹³ მიწიშვილი თავის მინიატიურაში მე ვარ „ადამიანი“ აღწერს ადამიანს ბრჭყალებით, ანუ ისეთ ადამიანს, რომელიც მოჩვენებითი/გადატანითი მნიშვნელობით მყოფობს. მისი ნამდვილი/პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანად გახდომა გულისხმობს მისი არსებობის განმსაზღვრელი ცნებისთვის ადამიანი ბრჭყალების ჩამოცილებას. აღნიშნული ბრჭყალები ადამიანის ცნებას მიემაგრება იქ, სადაც ადამიანის, როგორც ადამიანის, არსებობა განსაზღვრულია საარსებო სივრცის მიერ. თუ ეს სივრცე გამოქვაბულია/კოლონიაა, ადამიანი კი მიჯაჭვული და ბრმაა, იგი ვერ შეძლებს ამ მოცემულობაში თავის თავის ადამიანად განხორციელებას და მისი არსება სავსებით სამართლიანად იქნება განსაზღვრული როგორც „ადამიანი“, ე.ი. ადამიანი ბრჭყალებით. აღნიშნული ბრჭყალები ჩამოსცილდება ადამიანის ცნებას და ეს უკანასკნელი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით წარმოგვიდგება იმ სივრცეში, რომელშიც ადამიანი შეძლებს თავისუფლად-მყოფად ყოფნას.

მინიატიურა მოგვითხრობს იმგვარი ადამიანის შესახებ, რომელიც მრავალსახიანი: ხან მხეცია, ხან – მგრძობიარე; ხან თავისუფალია, ხან – ჯალათი; ხან პატრიოტი ან მოაზროვნე; ზოგჯერ – მეფეც.¹⁴ მიწიშვილის ეს მრავალსახიანი ადამიანი მაკიაველისეულ კენტავრს¹⁵ ჰგავს, მისი არსება განსაზღვრულია სიტუაციურად, ხდომილებებით და არა იდეურად/არსობრივად. მრავალსახიანობა ეფუძნება უსამართლო სივრცეში მყოფობას და ამ პროცესის შედეგია კენტავრი-ადამიანი, როგორც ასეთი. სისტემა აიძულებს ადამიანს, იყოს არა ის, ვინც იგი არის, არამედ ის, ვინც სისტემას სურს, რომ იყოს. ამ თეორიის ლოგიკურობას აჩვენებს ორუელის 1984, რომელშიც აღწერილია ხდომილებათა/სიტუაციათა მიხედვით მოქმედი და [შესაბამისად] განსაზღვრული ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია თავისი მყარი განსა-

13 ადამიანი ბრჭყალებით – ამ ცნებაში იგულისხმება გრაფიკული ნიშნით [ბრჭყალებით] ადამიანი. როგორც კი ადამიანის ცნებას მიემაგრება ბრჭყალები, აღნიშნული ცნება სრულად მეტაფორიკის ფუნქციას შეიძენს და ადამიანი გარდაიქმნება გადატანითი მნიშვნელობით ადამიანად, ე.ი. ინსტანციად, რომელიც არათავისუფალი და მიჯაჭვულია. გრაფიკული ნიშანი [ბრჭყალები] გაიგება როგორც პლატონისეული ბორკილები, რომლებიც ისევე წაართმევენ ადამიანის ცნებას თავის პირველად/პირდაპირ მნიშვნელობას, როგორც – ბრჭყალები.

14 ნიკოლო მიწიშვილი, „მე ვარ ადამიანი“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 166, 167, 169, 170, 171.

15 ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში* 1, მთარგმნ. ბაჩანა ბრეგვაძე (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017), 154.

ზღვრულობა, რადგან სახელმწიფო სისტემა არ აძლევს მას ამ თავისუფლებას.¹⁶ შეზღუდული აქვს აზროვნებისა და მოქმედების სივრცე, განსაზღვრული აქვს აზროვნებისა და მოქმედების ფორმა. იგი არის ის, ვინც უნდა (ამ უნდა-ს განსაზღვრავს სახელმწიფო) იყოს.

საკითხი ბრჭყალებიანი ადამიანისა, ე.ი. „ადამიანისა“ პასუხობს ნიცშესეულ ეგზისტენციალურ პრობლემას ადამიანის ადამიანურად ყოფნის შესახებ: ადამიანი უნდა იყოს ადამიანური ადამიანი,¹⁷ ანუ ადამიანი ბრჭყალების გარეშე. იგი უნდა არსებობდეს არა გადატანითი (მეტაფორული), არამედ თავისი არსობრივი/ნამდვილი მნიშვნელობით, ამის გარანტი კი ის საარსებო სივრცე [სამართლიანი სახელმწიფო] უნდა იყოს, რომელშიც საერთოდ შესაძლებელია ადამიანის გაადამიანურება, ანუ მისი ადამიანად გახდომა და იმად ყოფნა, ვინც ის არის ნამდვილად.

პეპელა ანუ თვითგანადგურება როგორც არასამართლიანი სახელმწიფოსგან გაქცევა

მესამე მეტაფორა: თვითგანადგურებისკენ ლტოლვის პრინციპი, რომელიც ნიკოლო მიწიშვილის მინიატიურაში *პეპელა* გააზრებულია როგორც არასამართლიანი საარსებო სივრცისგან თავის დაღწევის სურვილი. მიწიშვილის *პეპელა* იმგვარი ადამიანის განსახიერებაა, რომელმაც გაიაზრა სახელმწიფოში ყოფნის აბსურდულობა, კუთვნილ ადგილს ვერ პოულობს როგორც **ადამიანი** და მყოფობს როგორც „ადამიანი“. ერთადერთი გამოსავალი არის თავისივე ბუნების წინააღმდეგ წასვლა, ანუ თვითგანადგურება. მიწიშვილი წერს, რომ „ინათა სანთელმა და გაჩნდა პეპელაც“¹⁸ ის სანთლის შუქისკენ მიისწრაფვის,¹⁹ მას სიცოცხლე სურს, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს, და მისი ლტოლვა ცეცხლისკენ შეუსაბამოა მის სიცოცხლის წყურვილთან. თვითგადარჩენის ინსტინქტი დაეჯახება თვითგანადგურების სურვილს და თვითგანადგურების სურვილი დაძლევს თვითგადარჩენის ინსტინქტს. მხოლოდ ასე მოახერხებს *პეპელა* ცოცხლად ყოფნის ციკლის დარღვევას. ადამიანის ცოცხლად-ყოფნა იმავდროულად გულისხმობს ცოცხლად-ყოფნას იქ, სადაც საარსებო სივრცე ცოცხლად-ყოფნის პროცესში ადამიანს თვით[ადამიანად]-განხორციელების

16 ჯორჯ ორუელი, 1984, 50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ, წიგნი 23, მთარგმნ. დავით აკრიანი, (თბილისი: პალიტრა L, 2011), 5.

17 ფრიდრიხ ნიცშე, „Ecce Homo: როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის“, *რჩეული თხზულებები* 1, მთარგმნ. გიორგი თავაძე (თბილისი: ნეკერი, 2011) 17-20, 30, 50, 75, 78-79.

18 ნიკოლო მიწიშვილი, „პეპელა“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 180.

19 იქვე, 180-181.

შესაძლებლობას მისცემს. თუ ეს შესაძლებლობა მას წაერთმევა, იგი იძულებული გახდება, წავიდეს თავისი ბუნების წინააღმდეგ და გაინადგუროს თავი, რადგან ცოცხლად-ყოფნა და თვით-განხორციელება აუცილებლობით საჭიროებს საარსებო სივრცეს, რომელშიც ეს ორი თანადროული პროცესი უნდა შედგეს. თუ საარსებო სივრცე შეუსაბამოა ე.ი. არასამართლიანია აღნიშნული პროცესების განხორციელებისთვის, ადამიანისთვის რჩება სამი გზა:

1. დარჩენა. შეგუება.
2. გაქცევა. დაძლევა.
3. თვითგანადგურება. მე-ს მოკვდინება.

ამ მოცემულობით მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ზემოთ აღნიშნული გზების არჩევასა მოქმედებს როგორც ორი ინსტანცია – გონებრივი და სხეულებრივი: ა) პირველი გზა აჩვენებს, რომ ადამიანი სხეულებრივადაც დარჩა არასამართლიან საარსებო სივრცეში და გონებრივადაც შეეგუა სისტემას. ჯორჯ ორუელი,²⁰ ფრანც კაფკა²¹ და ენტონი ბერჯესი²² თავიანთი ტექსტების მთავარი პერსონაჟების მაგალითებზე აჩვენებენ ამ თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას: როგორ ამარცხებს სახელმწიფო ინდივიდს და რამდენად უარყოფითია ამ დამარცხების შინაარსი, რომელიც სისტემის მიერ დამორჩილებულ, ექსპერიმენტის მსხვერპლ ინდივიდს აღწერს; ბ) მეორე გზა აჩვენებს, რომ ადამიანი სისტემიდან გონებრივად გაიქცა, თუმცა, სხეულებრივად მასში დარჩა. ლიტერატურული პერსონაჟი შტილერი²³ სწორედ ამ თეორიის პრაქტიკულ განსხეულებას წარმოადგენს; გ) მესამე გზა კი აჩვენებს, რომ ადამიანმა, როგორც სხეულებრივმა და როგორც გონებრივმა ერთად, დატოვა/გადალახა სისტემა. სწორედ ამ მესამე პრინციპის ჩვენებაა მიწიშვილის *პეპელა*. თითქოს, ადამიანი თავის არცერთ ნაწილს არ დატოვებს იმ საარსებო სივრცეში, რომელიც მას ზღუდავს, იმორჩილებს და ართმევს თვითგანხორციელების შესაძლებლობას. სისტემის ზეწოლა ადამიანის ფიქრზე, სიტყვაზე, ხედვაზე იმდენად დიდია, რომ იგი მოქმედებს არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც „ადამიანი“, ე.ი. როგორც პეპელა, თავისი არსების განმსაზღვრელი, ფუნდამენტური ინსტინქტი **თვითგადარჩენა** რომ დაძლია და თვითგანადგურების მოდუსში გადაინაცვლა.

20 ორუელი, 1984.

21 კაფკა, *შრომა-გასწორების კოლონიაში*.

22 ენტონი ბერჯესი, *მექანიკური ფორთოხალი*, მთარგმნ. გია ქუმბურიძე (თბილისი: ლოგოს პრესი, 2003).

23 მაქს ფრიში, *შტილერი*, მთარგმნ. მაია ფანჯიკიძე (თბილისი: ბაკურ სულაკაური, 2018).

ისინი ცხოვრებას ქმნიან ანუ სახელმწიფოს მიზან-გარეშე შენება როგორც აბსურდული ყოფ[ნ]ის შექმნა

მეოთხე მეტაფორა: სახელმწიფოს მიზან-გარეშე შენების პრინციპი, რომელიც ნიკოლო მიწიშვილის მინიატიურაში ისინი ცხოვრებას ქმნიან გააზრებულია როგორც აბსურდული ყოფ[ნ]ის ქმნადობის პროცესი. კვლავ-შენება და კვლავ-ნგრევა როგორც აბსურდულ სივრცეში ყოფნა აქ მთავარი საკითხებია. უნდა განისაზღვროს, არსობრივად, რას წარმოადგენს სახელმწიფო სივრცე.

მინიატიურა მოგვითხრობს, რომ „ქალაქს აშენებდნენ ისინი“,²⁴ რომლებიც მოგვიანებით, თავისი ნამოქმედართ უკმაყოფილონი, კვლავ შლიდნენ, ანადგურებდნენ და ანგრევდნენ იმას, რაც ოდესღაც ააგეს უდიდესი რუდუნებით. ამ ნგრევაში არის მიზეზი ახლიდან დაწყების და სწორედ ამიტომ, ადამიანები აშენებენ ლამაზ ტაძარს და მერე ანგრევენ მას,²⁵ „აშენებენ იმისათვის, რომ ბოლოს გაანადგურონ“²⁶ და ამით ქმნიან ცხოვრებას. აღნიშნულ მინიატიურაში ცნება **ცხოვრება** გააზრებულია როგორც სახელმწიფოს მეტაფორა; აღწერილია მუდმივი ნგრევისა და შენების (ადამიანის მიერ არამიზანმიმართული ქმედების) პროცესი. ამ პროცესში, როგორც არამიზანმიმართულ ქმედებაში, ადამიანი არის „ადამიანი“, ანუ სიზიფე. სიზიფეს მითი აჩვენებს „ადამიანის“ მიზან-გარეშე მოქმედების/ქცევის კლასიკურ მოდელს:²⁷ არამიზანმიმართული ქცევის მოდულში მუდმივად ყოფნა – ეს აბსურდია. ამ აბსურდს სჭირდება სივრცე, რომელშიც შესაძლებელია აბსურდის როგორც შედეგის მიღწევისთვის შესაბამისი (მიზან-გარეშე) ქმედება, რომელიც, ქმედების მსგავსად, თავადაც მიზან-გარეშეა; ისეთია, არასამართლიანი სახელმწიფო რომ ვუწოდებთ.

ამ მოცემულობით, გვაქვს სამი განზომილება: **სივრცე**, **სუბიექტი** და **ქმედება**. **სივრცე**, რომელიც აუცილებელია ყოფნისთვის; **სუბიექტი**, რომელიც უნდა მყოფობდეს, რათა მყოფობის პრინციპი განხორციელდეს საარსებო სივრცეში და სივრცემ თავის თავი განახორციელოს როგორც მოცემულობამ, რომელშიც შესაძლებელია სუბიექტის მყოფობა; და **ქმედება**, რომელიც სუბიექტის მყოფობას ახორციელებს, რადგან მყოფობა შეუძლებელი იქნებოდა ქმედების გარეშე. ასე გამოიყვანება ფორმულა სახელად – **სახელმწიფო**. ე.ი. სახელმწიფო ნიშნავს: მყოფი და იმავდროულად ქმედად-მყოფი სუბიექტი საარსებო სი-

24 ნიკოლო მიწიშვილი, „ისინი ცხოვრებას ქმნიან“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 184.

25 იქვე, 186-187.

26 იქვე, 190.

27 ალბერ კამიუ, *სიზიფის მითი*, მთარგმნ. მარინა ბალავაძე (თბილისი: აგორა, 2013), 189-195.

ვრცეში, სადაც ეს სუბიექტი მყოფობს და იმავდროულად ქმედებს. ეს სამი მოცემულობა თანადროულია და ერთმანეთს ემთხვევა, რადგან როგორც არის საარსებო სივრცე, იმგვარია მოქმედი სუბიექტიც და მისი ქმედებაც; და, იმავდროულად, მოქმედი სუბიექტისა და ქმედების როგორც განსაზღვრავს საარსებო სივრცის რაობას. მოცემულობა I: იქ, სადაც ადამიანი არის „ადამიანი“, ე.ი. სიზიფეს მსგავსი არსება [სიზიფე-ადამიანი], მისი ქმედებაც და სამოქმედო სივრცეც გადატანით მნიშვნელობს. ფორმულა: „ადამიანი“ მიზან-გარეშე ქმედებს არასამართლიან სივრცეში. მოცემულობა II: იქ, სადაც ადამიანი არის ადამიანი, ე.ი. თვით-განხორციელებული მე, მისი ქმედებაც და სამოქმედო სივრცეც პირდაპირ მნიშვნელობს. ფორმულა: ადამიანი მიზანმიმართულად ქმედებს სამართლიან სახელმწიფოში.

ყოველივე წარმავალი ანუ მარტოდ-დარჩენა როგორც თავის თავის უარყოფა

მეხუთე მეტაფორა: მე-ს მარტოდ-დარჩენის პრინციპი, რომელიც მიწიშვილის მინიატიურაში ყოველივე წარმავალი გააზრებულია როგორც ინდივიდის მიერ თავის თავის უარყოფის ანდა თავის თავისგან გაქცევის პროცესი. უმთავრესი საკითხია მარტოდ-დარჩენა როგორც არასამართლიან სივრცეში ყოფნის შედეგი და თვით-უარყოფა როგორც გაქცევა [იზოლირება] საზოგადოებისგან. ამ თეორიების ახსნისთვის მინიატიურა საჭირო შინაარსობრივ კონტექსტს გვიხსნის: ეს არის ამბავი ადამიანზე, რომელმაც დიდება და სხვა სიკეთეები დაკარგა და დარჩა მარტოდ – [გაუცხოვდა], ერთ, ძველ დროს ღარიბი, უცნობი მწერალი, რომელმაც წარმატებას მიაღწია, ახალმა დრომ ძველ დროში დააბრუნა.²⁸

მნიშვნელოვანია საზოგადოებისგან იზოლირების, ანუ მეორე ადამიანთან უ-თანასწორად ყოფნის გააზრების საკითხი, რომლის პრინციპი უკვე დევს პლატონის თეორიაში, რომლის მიხედვით, უსამართლობის შედეგად (რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის ბუნებისთვის უჩვეულოა), ინდივიდს საკუთარ თავთან გაუცხოება ეწყება,²⁹ მსგავსად მაქს ფრიშის *შტილერისა*, რომელიც აჩვენებს სწორედ განმარტოვებული, თავის თავის უარყოფი ინდივიდის იმიჯს.³⁰

მარტოდ-მყოფობა ინდივიდის მე-ს ისეთივე დამანაწევრებელი³¹

28 ნიკოლო მიწიშვილი, „ყოველივე წარმავალი“, 198-201.

29 პლატონი, *სახელმწიფო*, 62-63.

30 ფრიში, *შტილერი*, 9.

31 დამანაწევრებელში იგულისხმება რაღაც, რაც მთლიანობას დაშლის, მის დეკონსტრუქციას გამოიწვევს.

მიზეზია, როგორც პეპლის ლტოლვა – თვით-განადგურებისკენ. მარტოდ-მყოფობის გადაწყვეტილების განხორციელება მე-სთვის შესაძლებელია თავისივე მე-ს უარყოფით. და რადგან, შედეგის თვალსაზრისით, შეუძლებელია, უარი თქვა იმაზე, რაც ხარ (ეს ხარ გულისხმობს: რითაც ხარ განსაზღვრული შენივე მე-ს მიერ), ეს აბსურდი (ანუ მე-ს ამგვარი გადაწყვეტილება) მე-ს თრგუნავს იმდენად, რომ მე უკმაყოფილო ხდება თავისივე მე-ს მიმართ, სჯის მას, მისივე არსის (მისი ყოფნისა და მისი ფორმის) უარყოფისთვის, უარყოფით. მე-ს თვით-უარყოფა და მისი სიმულაციაში გადასვლა როგორც შედეგი რომ არ დადგეს, მე-მ უნდა დაძლიოს გაუცხოება თავის თავის მიმართ და ამას მხოლოდ იმ სივრცეში მოახერხებს, სადაც მე იქნება თანა-მყოფი [სხვა-სთან, მეორე მე-სთან] და არა - მარტოდ-მყოფი.

სიზმარი ანუ როგორ გარდაიქმნება მონა [სახელმწიფოდან] შემოქმედად [სიზმარში]

მეექვსე მეტაფორა: როგორ გარდაიქმნება ადამიანი მონა-ადამიანიდან შემოქმედ-ადამიანამდე, ე.ი. რა პროცესს გაივლის ცნობიერება, რომ თავისი თავი ამოიყვანოს მონის ცნობიერებიდან და გარდაქმნას იგი შემოქმედ ცნობიერებად.

მინიატიურა სიზმარი მოგვითხრობს მძინარე ადამიანის თავგადასავალს, სიზმარში რომ უდაბნოში მარტოდ-მოსიარულედ გარდაი-სახა და ადამიანზე სხვა ადამიანების ძალადობის კოშმარული ამბები ნახა.³² მინიატიურაში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რამდენად მჭიდრო ბმაშია სივრცე სუბიექტთან და ის, რომ ეს ორი მოცემულობა ყოველთვის ერთმანეთს განსაზღვრავს: სივრცე იმგვარია, როგორც მასში არსებული სუბიექტი და სუბიექტი იმგვარია, როგორც მის გარშემო არსებული სივრცე. სუბიექტი არის ადამიანი (ე.ი. მოქალაქე სახელმწიფოში), ხოლო სივრცე არის სახელმწიფო (ე.ი. ადამიანად-ყოფნის აუცილებელი მოცემულობა ადამიანისთვის). მინიატიურა რამდენიმე საკითხის მიმართულებით არის საინტერესო და ეს საკითხები ზემოთ ხსენებულ პრინციპს ხსნის. ერთ-ერთია სიზმრის როგორც არსებობისთვის ალტერნატიული სივრცის გააზრება. აღწერილია შემდეგი პროცესი: როგორ გარბის ადამიანი სახელმწიფოდან. კოშმარული სიზმარი, რომელიც ჭეშმარიტ ლტოლვეებს გამოხატავს, ფუნდამენტური მეტაფორაა მუდმივად-გაქცევის პრინციპის ჩვენებისთვის. სწორედ სიზმარია ის სივრცე, რომელშიც ადამიანი თავად ხდება შემოქმედი, რადგან ამ შემოქმედებითობის თავისუფლება (ანუ

32 ნიკოლო მიწიშვილი, „სიზმარი“, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი, 206-207.

თავისუფლება) არ აქვს სახელმწიფოში. ამდენად, თვით-იძულების წესით, იმ სივრცის სიმულაციას აკეთებს, რომელშიც შეძლებდა თავის თავის განხორციელებას და ადამიანად [შემოქმედად] განდომას. ამ პროცესის სასურველ შედეგად ქცევის განხორციელების ჟინი იმდენად დიდია, რომ ის ხშირად ადამიანში გამოგონილი სამყაროებისადმი ლტოლვის ინსტინქტად ჩამოყალიბების საფუძველი ხდება. უმბერტო ეკოს ლოგიკა იგივე პრინციპით ვითარდება „რობოტების ქალაქში“;³³ რომელიც აღწერს სიმულაციური სამყაროებისადმი (დისნეილენდი, მადამ ტიუსოს მუზეუმი და სხვ.) ადამიანის ლტოლვას და ასაბუთებს ამ ლტოლვის ფარულ მიზეზებს: არსებული [რეალური] რეალობა არ არის საკმარისი, რადგან სასურველი [წარმოსახვითი] რეალობა არსებულ რეალობაზე დიდია; რეალური რეალობა ვიწროა და მე-სთვის ის არ არის საკმარისი სივრცე თავის თავის განხორციელების, ამდენად, მე სიმულაციით აფართოებს სივრცის მოცულობას და ცდილობს მიზნის მიღწევას. იგი შემოქმედი ხდება იმ მომენტში, როგორც კი იღებს გადაწყვეტილებას, შექმნას რეალური სახელმწიფოს სიმულაცია. ამ სივრცეს მე ალაგებს თავისივე პრინციპებით და იწყებს თავის სიმულაციასთან ადაპტირებას: ა) თავის თავის განხორციელება სიმულაციურ რეალობაში; ბ) იმავდროულად, უარის თქმა საკუთარ მე-ზე, ე.ი. თვით-უარყოფა. სიმულაციაში არსებობა ნიშნავს მარტოდ-დარჩენას, რადგან სამყაროს შემოქმედი თავისივე ნამოქმედარში მარტოა. სიმულაციის პრინციპი: შესაქმესგან³⁴ განსხვავებით, შემოქმედმა (მე-მ) სიმულაციური სამყარო თავისივე მე-სთვის შე[ი]ქმნა და, ამდენად, ყოველი მე, რომელიც სიმულაციაში ცხოვრების გადაწყვეტილებას მიიღებს, სამყაროს მხოლოდ თავისი პრინციპების მიხედვით ააგებს და ამ პრინციპებში ყოველი ინდივიდი იქნება მარტო, როგორც ერთადერთი, რომელმაც შექმნა სიმულაცია და როგორც ერთადერთი, რომლისთვისაც შე[ი]ქმნა სიმულაცია.

შემოქმედობის [ლმერთობის] სურვილი მე-ში იმდენად დიდია, რამდენადაც დიდია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონტროლი ადამიანზე, შესაბამისად, შემოქმედებითობის სურვილი წარმოჩინდება როგორც პროტესტი სისტემის მხრიდან კონტროლზე და უარის თქმა ამგვარი სისტემის მორჩილებაზე. გიგესის მითი როგორც ამბავი არის ერთგვარი თეორია იმის ახსნისთვის, რამდენად მძლავრი მაპროვოცირებელია უსამართლო სახელმწიფო იმ იძულების, რომელიც ადამიანის სახელმწიფოდან გაქცევას და მის თვით-იზოლაციას გულისხმობს: გიგესის მითის მიხედვით, სასურველი სამართლიანო-

33 უმბერტო ეკო, „რობოტების ქალაქი“, პოლილოგი 4, მთარგმნ. ბელა წიფურია (1994).

34 დაბ. 1:1-31.

ბის ძიება ხორციელდება სახელმწიფოს მიღმა [სიზმარში];³⁵ შვიდი მძინარე ყრმის მითი აჩვენებს, რომ გამოქვაბულში დაძინება და გარე სამყაროსგან იზოლირება არის ერთადერთი მეთოდი გადარჩენის;³⁶ ზღაპარი რიპ ვან ვინკლებზე გვიყვება ერთი მონადირის შესახებ, რომელიც იძინებს, რათა სიზმარში გაექცეს აუტანელ ყოველდღიურობას.³⁷ და ყველა ასეთი, სიმულაციაში (წარმოსახვით რეალობაში) გადასული პერსონაჟი მარტოდ-მყოფი მე-ა, მარტოდ-მყოფობა კი ლოგიკურად განსაზღვრული შედეგია იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს მე-ს მიერ სიმულაციის შექმნას კვლავ მე-სთვის და არა – სხვისთვის; მხოლოდ მე-ს წესებით და არა – სხვისი: მე-ს მიერ შექმნილ სიმულაციაში არსებობს ერთადერთი შემოქმედი და ერთადერთი მოქალაქე – მე-ს მე.

მდუმარება ანუ ჩუმად-ყოფნა როგორც მეორესთან/სხვა-სთან [არათანასწორთან] დიალოგის შეუძლებლობა

მეშვიდე მეტაფორა: დიალოგი როგორც თანასწორთა ურთიერთობის პრინციპი და მდუმარება როგორც არათანასწორთა თანაყოფნა, ე.ი. დიალოგი როგორც ამავე დიალოგის მონაწილეთა კომუნიკაციის მთავარი ბმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ თანასწორად-მყოფობას და მდუმარება როგორც მეორესთან ყოფნით გამოწვეული გაუცხოება, რომელიც შედეგია უთანასწორად-მყოფობის გაცნობიერების და ამით გამოწვეული უკმაყოფილების.

მინიატიურა მოგვითხრობს ადამიანის მიერ მეგობრის [თანასწორის] ძიების ამბავს და აღგვიწერს მეგობრის პოვნისა და მასთან დიალოგის შეუძლებლობის საკითხებზე მე-ს მწუხარებას.³⁸ აქ მნიშვნელოვანია მდუმარების ორი შინაარსი: ა) მდუმარება [სიჩუმე] როგორც დიალოგის ალტერნატივა; ბ) მდუმარება როგორც თვითნაღიბი – წინაპირობა დიალოგისთვის. მდუმარება როგორც დიალოგის ალტერნატივა მე-ს მიერ გამოყენებულია იქ, სადაც მისი საარსებო სივრცე ვერ ქმნის თანასწორობისთვის აუცილებელ ელემენტებს: აზრისა და ქმედების თავისუფლება, თანამყოფობისა და თვით-განხორციელების შესაძლებლობა. გამოქვაბულში სწორედ ამგვარი ქცევით ხასიათდებიან მიჯაჭვულები, რომლებსაც, როგორც მიჯაჭვულებს, გარდა

35 პლატონი, *სახელმწიფო*, 54-55.

36 გამოქვაბული, *ყურანი*, მთარგმნ. გიორგი ლობჯანიძე (თბილისი: კავკასიური სახლი, 2006), 223-227.

37 ფრიში, *შტილერი*, 83-89.

38 ნიკოლო მიწიშვილი, „მდუმარება“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 222-223.

ქმედების შეზღუდვისა, აქვთ დიალოგის შეზღუდვაც.³⁹ მე გაიაზრებს ამ მოცემულობას და მდუმარებას გამოიყენებს როგორც მეთოდს თვითნაღიზისთვის, რათა დაიწყოს დიალოგი მეორესთან. ეს არის მე-ს ცდა, დაძლიოს სიჩუმე როგორც მარტოდ-მყოფობა და დაიწყოს დიალოგი მეორესთან, რათა განახორციელოს თანა-მყოფობა. ამისათვის, მე-მ უნდა გარდაქმნას ჩუმად-მყოფთა საარსებო სივრცე (სიჩუმის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო) დიალოგისთვის შესაძლებელ საარსებო სივრცედ. კაფკას კოლონია სწორედ ჩუმად-მყოფთა სახელმწიფოა, რომელშიც მოგზაურის მიერ გაცნობიერდება ამ ჩუმად-მყოფობის დაუძლეველობა, რაც მიზეზი ხდება კოლონიიდან მოგზაურის გაქცევის.⁴⁰ მოძრაობა სახელდება მთავარ პრინციპად ჩუმად-მყოფობის (მდუმარების) საწინააღმდეგოდ; მოძრაობით გადაილანება არასამართლიანი საარსებო სივრცე (კოლონია); და მოძრაობაში იქნება შესაძლებელი დიალოგი.

მელანქოლია ე.ი. მორჩილი საზოგადოება როგორც რწმენაში-მყოფი და არა – ცოდნაში-მყოფი, ანუ შებრუნებული მნიშვნელობების პრობლემა

მერვე მეტაფორა: „დაფარული აზრი“ როგორც თანამყოფთა ურთიერთობის პრინციპი საზოგადოებაში და საზოგადოება როგორც სივრცე არაგულწრფელობის, თამაშის, მეტაფორების, უცოდინარობის, სახეების (როლების).

დაფარული აზრის ცნებაში იგულისხმება ის მოცემულობა, რომელიც საგნისა თუ მოვლენის პრაქტიკული გამოსახულების მიღმა ძევს. ანუ დაფარული აზრი საგნის იდეაა, რომელიც სახელმწიფოში არ ჩანს და ადამიანებისათვის ის მიუწვდომელია. მეტიც, ადამიანებს ლტოლვაც არ აქვთ ამ დაფარულის გახსნისკენ, არამედ მოსწონთ ეს დაფარულობა, მათთვის საკმარისია როლები⁴¹ და უინტერესოა როლების დაფარული შინაარსები. მნიშვნელოვანია, რა ჩანს და უმნიშვნელოა – რა არის. აღნიშნული ფორმულა მუშაობს თამაშის პრინციპზე დაფუძნებულ [არასამართლიან] სახელმწიფოში, რომელსაც აღწერს მინიატიურა *მელანქოლია*. მთავარი პერსონაჟი გაოცებულია იმით, რომ საზოგადოებისთვის ყველაფერს შებრუნებული მნიშვნელობები აქვს.

39 პლატონი, *სახელმწიფო*, 265-266.

40 კაფკა, *შრომა-გასწორების კოლონიაში*, 148-149.

41 როლის ცნებაში იგულისხმება ის გარეგანი მოცემულობა, რომლითაც შეფუთულია შინაგანი ანუ რაც მის შინაგან არსს წარმოადგენს. როლი არის ინდივიდის ის მხარე, რომელიც სახელმწიფოში ხილულია. როლით განსაზღვრული ინდივიდი არის საჯაროობაში მყოფი/ჩავარდნილი [საჯარო მე] და ის შინაგანი მე-ს ოპოზიციას წარმოადგენს.

მათ რეალობაში ნორმალური გიჟია, მცოდნე – „დურაკი“... „ნიუტონის კანონი“, რომელსაც მთავარი პერსონაჟი სანაპიროზე მოსეირნე თანამოსაუბრეებთან განიხილავს, ისეთივე უცხო და უინტერესო თემაა, როგორც ბუნება, სამყარო, „დაფარული აზრის“ ძიება და სხვ.⁴² „ნიუტონის კანონი“ მინიატიურაში გააზრებულია როგორც მეტაფორა არცოდნის, ე.ი. რწმენის. მიწიშვილის ინდივიდუალისტ პერსონაჟს ორუელისეული პრობლემები ექმნება იქ, სადაც რწმენით შეპყრობილი მოქალაქეები ქმნიან თამაშის პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოს და სადაც $2x2=5$ ⁴³; სადაც „თავისუფლება მონობაა“.⁴⁴ ამგვარ საარსებო სივრცეში ადამიანები ჰგვანან კარლო კაჭარავასეულ მძინარე ქალს (იხ. სურათი 1), რომელსაც სძინავს მაშინ, როცა სწამს და სწამს მაშინ, როცა სძინავს.



სურათი 1: კარლო კაჭარავა, ფრაგმენტი ნახატიდან *მძინავს, მწამს* (1992), <https://bit.ly/3b0sisG> (22.09.2023)

კაჭარავას ფერწერული ტილო ჰყვება მჯდომარე, სტატიკურად მყოფი, მძინარე, თავის თავით მოცული და [თვით]კმარი, უფუნქციო, რწმენით შეპყრობილი ქალის ამბავს, რომელმაც უნდა გამოიღვიძოს, რომ მორწმუნე ინსტანციისგან გარდაიქმნას მცოდნე ინსტანციად.

42 ნიკოლო მიწიშვილი, „მელანქოლია“, *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 243, 238-239.

43 ორუელი, 1984, 263.

44 იქვე, 263.

მხოლოდ ცოდნის, მოძრაობის მოდუსში შეძლებს კაჭარავას მძინარე ქალი ისეთ მოქალაქედ ყოფნას, რომელსაც შეუძლია არასამართლიანი სახელმწიფო სისტემის დანგრევა და იმგვარის აშენება, რომელშიც ადამიანები აღარ დაიძინებენ (ე.ი. არ იქნებიან რწმენის მოდუსში მყოფნი) და შექმნიან სამართლიან სივრცეს, რომელშიც ექნებათ შესაძლებლობა, იყვნენ ბედნიერები⁴⁵ ანუ იყვნენ ისინი, ვინც ისინი ნამდვილად არიან. სახელმწიფოში ადამიანები გამოიღვიძებენ მხოლოდ მაშინ, როცა დაძლევენ რწმენის მოდუსს და გადაინაცვლებენ ცოდნის მოდუსში.

დაბოლოს [დასკვნა]

სახელმწიფოში, რომელიც იმართება კაფკასეული კოლონიის პრინციპით,⁴⁶ ანდაც, ჰგავს ფრიშისეულ შვეიცარიას,⁴⁷ ადამიანისთვის არ არის შესაძლებელი თვითგანხორციელება ანუ იმად ყოფნა, ვინც ის არის ნამდვილად. აღნიშნული შეუძლებლობის ადამიანის მიერ გაცნობიერება გამოიწვევს პროტესტს, პირველ რიგში, იმ სივრცისადმი, რომელიც ადამიანს არ აძლევს თავის თავად ყოფნის საშუალებას (ასეთ სივრცეს ჩვენ არასამართლიანი სახელმწიფო ვუწოდებთ), და, მეორე რიგში – საკუთარი თავისადმი, მე-სადმი, რომელიც იმდენად სუსტი აღმოჩნდა სისტემასთან ბრძოლაში, რომ თავისი მთავარი მიზნის მიღწევის (თვითგანხორციელების და ამის საფუძველზე ბედნიერად-მყოფობის) ნაცვლად დეკონსტრუირდა ანუ დაიშალა, დანაწევრდა, ე.ი. მარტოდ-მყოფად იქცა თავისივე შექმნილ სიმულაციაში ანუ მეტად დაშორდა რეალობას (მეორე ადამიანს და სახელმწიფოს). სახელმწიფოსთან ადამიანის დაშორება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ არასამართლიანი კანონებით სისტემის მართვით ანუ იმით, რომ სახე-

45 ბედნიერად მყოფობაში ვგულისხმობთ ადამიანის მცოდნედ-ყოფნას, ანუ ცოდნის მოდუსში ყოფნას. ცოდნა როგორც ბედნიერების საფუძველი, ანუ ცოდნა როგორც მოცემულობა, რომელსაც ადამიანი დააშენებს თავის ბედნიერებას; ცოდნა როგორც მიზეზი ადამიანის ბედნიერად (კმაყოფილად) ყოფნისთვის. პლატონის უტოპიური სახელმწიფო მოდელის კონსტრუქციის ძირითადი შემკვრელი მასალა სწორედ ცოდნაა (იხ. პლატონი, *სახელმწიფო*), ხოლო უმაღლესი მიზანი, რომელსაც ამ კონსტრუქციის აგებით და ამუშავებით უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ – სიკეთის იდეა. ე.ი. ცოდნით როგორც იარაღით ადამიანი ქმნის სიკეთეს ანუ აღწევს დასახულ მიზანს – განახორციელებს სიკეთის იდეას. ეს სიკეთე არის ბედნიერად (კმაყოფილად) ყოფნა, როცა ადამიანი მიმართულია არა თვითგანადგურებისკენ, არამედ თვითგანხორციელებისკენ; არა სიმულაციების შექმნისკენ, არამედ – სამართლიანი საარსებო სივრცის აგებისკენ, რომელშიც შესაძლებელია ადამიანის ადამიანად განხორციელება. ეს არის მიზეზი ბედნიერად ყოფნის, და ეს არის შედეგი სიკეთის იდეის (როგორც უმაღლესი მიზნის) განხორციელების.

46 კაფკა, *შრომა-გასწორების კოლონიაში*, 112, 118-119, 120, 133, 147.

47 ფრიში, *შტილერი*, 76, 98-99, 300.

ლმწიფო არასამართლიანია; მეორე ადამიანთან ადამიანის დაშორებას კი იწვევს ამ ორი ინსტანციის სხვადასხვა მდგომარეობებში ყოფნა, ანუ არათანასწორად ყოფნა. თუ მე-ს ღვიძავს, ხოლო სხვა-ს სძინავს, ისინი არ არიან თანასწორნი; თუ მე-მ იცის, ხოლო სხვა-ს სწამს, მათ კვლავ არ შეუძლიათ ერთმანეთთან თანასწორად-ყოფნა. მოძრაობით, სიმულაციებისაკენ და თვით-განადგურებისკენ ლტოლვის დაძლევიტ, დიალოგით, ღვიძილის მდგომარეობაში ყოფნით, ცოდნით მე შეძლებს თვითგანხორციელებას და ისეთი სამართლიანი საარსებო სივრცის შექმნას, რომელშიც მე გახდება მე, ანუ გარდაიქმნება თავის თავად, ე.ი. გახდება ის, ვინც ის ნამდვილად არის. მაგრამ სად განხორციელდება ეს? რომელ სივრცეში შეძლებს მე ამ პროცესის წარმართვას? როგორ გაიაზრებს და დაასაბუთებს მე თავისი სამოქმედო და საარსებო სივრცის როგორობას? როგორ განსაზღვრავს იგი, ნამდვილია ეს სახელმწიფო თუ – სიმულაცია? იქნებ, მე თავის თავს კვლავ და მხოლოდ სიმულაციაში განახორციელებს, რადგან მას სხვაგვარად არ ძალუძს, რადგან ნამდვილი სახელმწიფო მე-სთვის ყოველთვის უსამართლო იქნება, ვინაიდან ნამდვილ სახელმწიფოს ბევრი შემოქმედი ჰყავს და ეს ნიშნავს, რომ ბევრის ნამოქმედარ სივრცეში თანასწორობა შეუძლებელია, ე.ი. ეს სივრცე ვერ იქნება სამართლიანი. სიმულაციაში კი მე მართა როგორც შემოქმედი, ამდენად, იქ მას შეუძლია იყოს თავის თავის თანასწორი და სამართლიან სივრცეში მყოფი. მხოლოდ, სიმულაციაში მე მართა და ეს სიმართლოვე როგორც მისი ბუნებისთვის უცხო სხეული მე-ს ყოველთვის აიძულებს სხვა-სთან კვლავ-დაბრუნებას და თავისი შექმნილი სიმულაციის კვლავ-დატოვებას.

სტატიის დასკვნითი ნაწილი, ერთი მხრივ, აჩვენებს, მხოლოდ არასამართლიანი სახელმწიფოს მოდელებსა და მათში მყოფი დეკონსტრუირებული მე-ს სახე-ხატს, მეორე მხრივ კი, მიანიშნებს კვლევის უმთავრეს შეზღუდვაზე, რომელიც მხოლოდ არასამართლიანი სახელმწიფოს მოდელთა ფარგლებში, კვლევის ძირითადი საკითხის ანალიზს გულისხმობს. კვლევისთვის მნიშვნელოვანი სივრცის ე.ი. არასამართლიანი სახელმწიფოს მოდელის საპირისპირო მოცემულობას, მის აღწერასა და ანალიზს კი ვერსად ვხვდებით. რატომ? ამგვარი ფორმატი კვლევის ერთ ძირითად ვარაუდს ეფუძნება: სტატიაში განხილული ლიტერატურული ტექსტები და მათი შესაბამისი ფილოსოფიური თეორიები უკვე გულისხმობენ თავის თავში სამართლიანი სახელმწიფოსა და, შესაბამისად, მათში არსებული თავისთავად-მყოფი მე-ს პრაქტიკული არსებობის შეუძლებლობას.

დამოწმებანი

- ბერჯესი, ენტონი. *მექანიკური ფორთოხალი*, მთარგმნ. გია ჭუმბურიძე. თბილისი: ლოგოს პრესი, 2003.
- გამოქვაბული. *ყურანი*, მთარგმნ. გიორგი ლობჯანიძე. 223-227. თბილისი: კავკასიური სახლი, 2006.
- ეკო, უმბერტო. „რობოტების ქალაქი“, მთარგმნ. ბელა წიფურია. *პოლილოგი* 4 (1994), 243-249.
- კამიუ, ალბერ. *სიზიფის მითი*, მთარგმნ. მარინა ბალავაძე. თბილისი: აგორა, 2013.
- კავკა, ფრანც. „შრომა-გასწორების კოლონიაში“. *კრებულში რჩეული მოთხრობები*, მთარგმნ. მზია გალდავაძე. 112-149. თბილისი: პეგასი, 2013.
- კაჭარავა, კარლო. ფრაგმენტი ნახატიდან *მძინავს, მწამს*. 1992. <https://bit.ly/3b0sisG> (22.09.2023).
- მაკიაველი, ნიკოლო. მთავარი. *კრებულში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1*, მთარგმნ. ბაჩანა ბრეგვაძე, 110-179. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.
- მიწიშვილი, ნიკოლო. *ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, რედ. ზვიად კვარაცხელია. თბილისი: ინტელექტი, 2010.
- „ისინი ცხოვრებას ქმნიან“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 184-190.
- „მდუმარება“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 222-225.
- „მელანქოლია“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 226-245.
- „მე ვარ ‘ადამიანი‘“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 166-173.
- „პეპელა“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 180-183.
- „საით მივდივართ“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 159-162.
- „სიზმარი“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 204-212.
- „ყოველივე წარმავალია“. *კრებულში: მიწიშვილი, ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი*, 195-203.
- ნიცშე, ფრიდრიხ. „Ecce Homo: როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის“. *კრებულში რჩეული თხზულებები 1*, მთარგმნ. გიორგი თავაძე. თბილისი: ნეკერი, 2011.

- ორუელი, ჯორჯ. 1984. 50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ, წიგნი 23, მთარგმნ. დავით აკრიანი. თბილისი: პალიტრა L, 2011.
- პლატონი. *პოლიტიკოსი*, რედ. ირინე დარჩია, მთარგმნ. მაია შუხოშვილი. თბილისი: ლოგოსი, 2014.
- . *სახელმწიფო*. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ანტიკური მწერლობა 14, მთარგმნ. ბაჩანა ბრეგვაძე. თბილისი: ბაკურ სულაკაური, 2013.
- ფრიში, მაქს. *შტილერი*, მთარგმნ. მაია ფანჯიკიძე. თბილისი: ბაკურ სულაკაური, 2018.
- Gaddis, William. *A Frolic of His Own*. New York, London, Toronto, Sydney: Simon & Schuster, 1994.

ARTICLES

Nino Galdavadze

Ilia State University, Georgia

nino_galdavadze@iliauni.edu.ge

The Principle of Justice as the Premise of Equal Coexistence within a State, or One's Path towards Self-Actualization

Based on eight miniatures by Nikolo Mitsishvili

Keywords: justice, state, unjust state, human, self, “human”, other, coexistence, self-destruction, absurd state of being, self-negation, simulated reality, reverse meaning

Justice? – You get justice in the next world; in this world you have the law.

William Gaddis¹

Introduction

In one of his dialogues, the *Statesman*, Plato notes that the only space where humans can coexist [as humans] is the state, and that this coexistence is made feasible through equality, i.e. that self-actualization may be attained through existence and concurrent, equal coexistence² – one must have an essential space [the state] to exist and an object [human, **another**] to coexist with. Therefore, existence and coexistence, the key principles of being human, require a space for being, which we call the state, or, to be more precise, the just state. And what happens when this space for being is unjust? Here [in such a space], one is bound to be deprived of an opportunity for self-actualization and end up being deconstructed,³ i.e. lose the **self**, estrange the **self**, down-

1 William Gaddis, *A Frolic of His Own* (New York, London, Toronto, Sydney: Simon & Schuster, 1994), 13.

2 Plato, “Statesman,” *Plato in Twelve Volumes*, Vol. 12, transl. Harold N. Fowler (Cambridge, MA: Harvard University Press; London: William Heinemann Ltd, 1921), [267e]; [275a]; [293d]; [297b]; [307d]-[308a]; [309b]; [311c]. <https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:abo:tlg,0059,008:307b&lang=original> (15.09.2023).

3 In this specific case, the concept of deconstruction means breakdown, disintegration, i.e. deconstruction of **self**; for the collapse, disintegration of the initial intact construct of **self**.

right flee the **self**. However, every escape entails a **direction** of some sort—an alternative space, which one [**self**] will construct on their own, for themselves, in order to self-actualize, become human and reunite with the true **self**, estranged through existence in an inadequate [unjust] space.

Key questions to consider are: What does it mean to exist and what makes existence and coexistence possible? Why is existence and coexistence crucial? What does the concept of a just state entail? What does an alternative space for existence, created by the deconstructed **self**, look like? Why does the deconstruction of **self** take place and who is this **self**?

This research is based primarily on Nikolo Mitsishvili⁴'s eight miniatures from the 1910s, which will serve as a foundation for several important metaphors to be considered. In order to explicate literary metaphors and answer key research questions, the theoretical part of this work will draw upon the philosophical principles of, among others, Plato, Machiavelli, Kafka, Orwell, Nietzsche, Frisch and Camus. The goal is to analyze pertinent aspects of Mitsishvili's miniatures, the groundwork of this article, and to demonstrate how the author portrays an unjust state and a confined [non]human through his metaphors. It should also be noted that the premise of research undertaken for this article is not to elevate a particular author.

Where Do We Go from Here? Blind walking as an inherent desire to overpower the static state

The first metaphor: the principle of blind walking, considered as a state of submission in Nikolo Mitsishvili's *Where Do We Go from Here?*. Humans may be blinded or blind walking only in a space [state] of absurdity and permanent repetition. In such spaces [states], one is astray and aimless, locomoting in the dark.

The miniature tells the story of humans adrift in the murk. They are sailing against the wind, in utter darkness and beaten by waves—adversaries, such as the state itself. And, as they sail, these characters say, “We leave the murk only to find equal darkness⁵” Mitsishvili's miniature and the blind walking metaphor describe the kind of state that deprives one of consciousness, and

4 Who is Nikolo Mitsishvili? Georgian poet, writer and publicist. His real name is Nikoloz Sirbiladze (1896-1937). His texts were published in a variety of journals and papers from 1912 onwards. His editorial work commenced in 1917. He joined the *Blue Horn* society in 1918, and lived abroad between 1922 and 1926. He was imprisoned and executed in 1937. Ref. National Parliamentary Library of Georgia, Nikolo Mitsishvili, *Biographical Dictionary of Georgia*, <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000905/> (22.09.2023).

5 Nikolo Mitsishvili, “Where Do We Go from Here?,” *Hadji Murat's Severed Head*, ed. Zviad Kvaratskhelia (Tbilisi: Intelekti, 2010), 162.

annihilates, simultaneously advancing the principle of motion [walking] as means of escaping a confined space for being.

As argued by Plato in his *Republic*, in a space other than a just state [an adequate space to exercise freedom and become human], humans are but chained prisoners in a cave⁶. Mitsishvili's state, too, resembles the cave, in which equality is impossible to attain: If there is a prisoner, then there must be one who imprisons him, and that is certainly a distorted relationship in itself. In this cave, they shall never establish the kind of equality that can serve as a foundation for becoming human and exercising true freedom. As a result, the one who confines directs the thoughts of the confined, determining their content and boundaries: Shadows are perceived as real objects⁷, while the actual space beyond the cave is no longer perceptible. For Plato, in order to overcome this state of being, one must be unchained⁸, or, in other words, overcome motionlessness through motion. Mitsishvili, too, deems the redemption of permanent, infinite motion to be the sole path out of the dark into the light. The ability to overcome the static state of being is the vital principle here. The act of defeating the dark and escaping the cave may also be framed as survival through motion.

Franz Kafka also elaborates on the principle of escaping a confined space in his *In the Penal Colony*. Here, the protagonist is a traveler that introduces novel and progressive ideas into the state system, which Kafka describes as a colony⁹. The colony is essentially a kind of space that is identical to Plato's cave, representing an unjust state in which human consciousness is based solely on faith, and their traditions/attitudes are predefined¹⁰. Apart from the colony metaphor, Kafka also illustrates that of the traveler: A traveler is a human in permanent motion, i.e. the kind that may never be static per se, as he is constantly in motion, peripatetic. Kafka's traveler may only survive by deciding to leave the colony—by fleeing¹¹. The traveler essentially stands for transcendence over the static state of being, who will escape this confinement [the colony] and free himself from the chains, just like Plato's prisoner who only manages to face reality after breaking out of the cave¹².

6 Plato, "Republic," *Plato in Twelve Volumes*, Vols. 5 & 6, transl. Paul Shorey (Cambridge, MA: Harvard University Press; London: William Heinemann Ltd, 1969), [514a]-[514b].

7 Ibid., [515c].

8 Ibid., [515c]-[516b].

9 Franz Kafka, *In the Penal Colony*, transl. Ian Johnston (Global Grey ebooks, 2019), 12. <https://www.globalgreyebooks.com/ebooks1/franz-kafka/in-the-penal-colony/in-the-penal-colony.pdf> (14.09.2023).

10 Kafka, *In the Penal Colony*, 27.

11 Ibid., 27-28.

12 Plato, "Republic," [515d]-[516b].

***I Am “Human”*: The inhuman [quote-unquote human] kind of human**

The second metaphor: “Human,” i.e. quote-unquote human, or human with quotation marks¹³. In his miniature, *I Am “Human”*, Mitsishvili describes the kind of human that exists only figuratively, fictitiously. It is only through the elimination of these quotation marks that becoming genuinely, literally human is possible. These quotation marks become inseparable from the concept of being human in a space which predefines his existence. If this space is a cave/colony, while the human is chained and blind, he may never self-actualize as truly human, and his existence may be legitimately described as being “human,” i.e. human with quotation marks. The concept of being human can be rid of the stated quotation marks, and this human may emerge in the genuine sense of the notion, only in the kind of space that allows him to exist freely, without confinement.

იოსებ ემინი 1726 წელს ჰამადანში¹³ დაიბადა. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების გამო მის ოჯახს არაერთხელ მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.¹⁴ მოგვიანებით ემინმა დატოვა თავისი ოჯახი და ბედის საძიებლად ინგლისში გაემგზავრა. მან მალევე მოახერხა თავის გამოჩენა და ნორსამბერლენდის ჰერცოგის, ჰიუ პერსის (1714-1786)¹⁵ მხარდაჭერით, ვულვიჩის სამხედრო აკადემიაში დაიწყო სწავლა.¹⁶ თხზულების მიხედვით, სწავლის დასრულების შემდეგ ემინი ევროპის კონტინენტურ ნაწილში, სამხრეთ კავკასიასა და რუსეთის იმპერიაში მოგზაურობს, რის შემდეგაც 1763 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩადის და მეფე ერეკლე II-ს პირადად ხვდება. იოსებ ემინს ქართლ-კახეთის სამეფოში, დაახლოებით, 1763-1765 და 1767-1768 წლებში უნდა ემოგზაურა.

თხზულების მიხედვით, იოსებ ემინი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე 1763 წელს, რუსეთის იმპერიიდან კავკასიონის მთების გავლით შედის. იგი თავდაპირველად სტეფანწმინდაში ჩერდება, სადაც ადგილობრივი მმართველი წინასწარ გაფრთხილებულია ერეკლეს მიერ, რომ ემინს შესაბამისი მასპინძლობა გაუწიოს. რამდენიმე დღის შემდეგ, მეფის ბრძანებით ემინი ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქ თბილისში მიემგზავრება. მას თან აქვს რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლის, გრაფ ვორონცოვის მიერ (რუსეთის იმპერიის კანცლერი მიხაილ ილარიონოვიჩ ვორონცოვი (1714-1767)¹⁷) მის სახელზე გაცემული წერილი, რომელშიც იგი რეკომენდაციას უწევს

13 ქალაქი დასავლეთ ირანში.

14 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 5.

15 Hugh Chisholm, "Northumberland, Earls and Dukes of", in *Encyclopedia Britannica* Vol. 19 (11th ed.) (New York: Cambridge University Press, 1911), 787-788.

16 А.Р. Иоаннисян, *Иосиф Эмин* (Ереван: Издательство АН Армянского ССР, 1989), 33.

17 Hugh Chisholm, "Vorontsov", in *Encyclopedia Britannica* Vol. 28 (11th ed.) (New York: Cambridge University Press, 1911), 212-213.

ემინს და ურჩევს ერეკლე მეფეს მის სამსახურში მიღებას.¹⁸ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ემინმა რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლებთან დაახლოება ინგლისელი მეგობრების სარეკომენდაციო წერილებითა და მხარდაჭერით მოახერხა.

უშუალოდ ქართლ-კახეთში ჩასვლამდე ემინმა ორჯერ გაუგზავნა წერილი ერეკლე II-ს და მეფეს თავისი სამსახური შესთავაზა.¹⁹ საინტერესოა ერეკლესთან გაგზავნილი პირველი წერილი,²⁰ რომელიც მან ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნის დროს დაწერა, ესე იგი, იმ დროს, როდესაც ემინი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიაში ნამყოფი არ ყოფილა. წერილის პირველივე აბზაცში ემინი ერეკლეს ქართველებისა და სომხების მეფედ მოიხსენიებს. იგი იქვე უმხელს მეფეს თავის ძირითად მიზანს ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მოსახლე სომეხი ხალხის გათავისუფლების შესახებ. ასევე, აღნიშნავს, რომ ასეულობით წლის განმავლობაში ქართველი და სომეხი ქრისტიანი ხალხები ირანის მიერ იყვნენ დამორჩილებულნი, ხოლო ახლა ისინი მისი ქვეშევრდომები არიან და, შესაბამისად, ირანის ტყვეობიდან თავისუფლები. იქვე დასძენს, რომ დადგება დრო, როდესაც ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილი ქრისტიანებიც მოიპოვებენ თავისუფლებას.²¹ ხოლო, რაც შეეხებათ ირანის გავლენისგან გათავისუფლებულ სომეხებს, აქ, ემინი უპირველესად ერევნის სახანოსა და ყარაბაღის ხუთ სამელიქოს გულისხმობს. ამრიგად, პირველი წერილიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ემინის წარმოდგენაში ერეკლე II ქართველებისა და სომხების მფარველი და მეფეა. შესაბამისად, მისი უშუალო ძალისხმევით გარეშე შეუძლებელი იქნება ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხების გათავისუფლება, ამ საქმეში კი იოსებ ემინი ერეკლეს თავის თავსა და სამსახურს სთავაზობს.

საინტერესოა ერეკლე მეფისა და ემინის პირველი შეხვედრა, როდესაც ის ამბობს: „...I have left a country which is no less than a paradise upon earth, and preferred Georgia or Armenia, which, without you, (whom God preserve,) would be no more than a chaos...“²² ცხადია, ემინი ამ შემთხვევაში ინგლისს ადარებს სამოთხეს, სადაც მან არაერთი წარმატებული მეგობარი შეიძინა და სამხედრო განათლებაც მიიღო. აგრეთვე,

18 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 205-206.

19 ემინის თხოვნების მიხედვით, ამ წერილებზე იოსებ ემინს ერეკლე II-ისგან პასუხი არასოდეს მიუღია.

20 იქვე, 108-113.

21 იქვე, 108-109.

22 [„...მე დავტოვე ქვეყანა, რომელიც დედამიწაზე არანაკლები სამოთხეა და ვარჩიე საქართველო ან სომხეთი, სადაც თქვენს გარეშე (უფალი გფარავდეთ) ქაოსის მეტი არაფერი იქნებოდა...“]. იქვე, 206.

როგორც ირკვევა, ემინის აზრით, ერეკლე მეფის გარეშე სომხეთი და საქართველო²³ ქაოსისთვის იქნებოდნენ განწირულები. ამავდროულად ემინი თავის ჩანაფიქრს უმხელს ერეკლეს და სამხედრო რეფორმის გატარებას სთავაზობს, რომელიც გულისხმობს სამხედრო აკადემიის მსგავსი დაწესებულების შექმნას. აგრეთვე, ემინი პოპულარიზაციას უწევს ევროპულ სამხედრო გამოცდილებას და დასძინს, რომ ევროპული საბრძოლო ხელოვნების გამოყენების შემთხვევაში ერეკლე ნებისმიერი აზიური სახელმწიფოს არმიის დამარცხებას შეძლებს. მართალია, ერეკლე იწონებს ემინის შეთავაზებას, მაგრამ დაბეჯითებით უსვამს ხაზს, რომ სამხედრო აკადემიის შექმნა თანხების გარეშე, მხოლოდ ენთუზიაზმით შეუძლებელია.²⁴

პოლიტიკური კრიზისი ირანთან

ნადერ-შაჰ ავშარის (ირანის შაჰი 1736-1747 წლებში)²⁵ მკვლევლობის შემდეგ ირანში დიდი არეულობა დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, სხვადასხვა ჯგუფებსა და ფეოდალებს შორის სისხლისმღვრელი ომები დაიწყო. შედეგად კი ქაოსში ჩაძირული ირანი ნელ-ნელა კარგავდა გავლენის სფეროებს.²⁶ დაახლოებით, თხუთმეტ წლიანი ქაოსი, ირანის სათავეში ზენდების დინასტიის მოსვლით დასრულდა. 1760-იანი წლებისთვის ქერიმ-ხან ზენდს (ირანის მმართველი, ვექილი²⁷ 1751-1779 წწ.)²⁸ კონკურენტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დამარცხებული ჰყავს და პრაქტიკულად ის ირანს უკვე ერთპიროვნულად მართავს.²⁹

მეფესთან აუდიენციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იოსებ ემინის ცნობით, ერეკლე მეფე ირანის ვექილის, ქერიმ-ხან ზენდისგან საგანგაშო ცნობას იღებს. როგორც ირკვევა, ქერიმ-ხან ზენდმა ირანში ყველა კონკურენტი დაამარცხა და ახლა სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად მიემართება. ირანის მმართველი ერეკლეს ულტიმატუმს უგზავნის და ფინანსურ ვალდებულებებთან ერთად სამეფო ოჯახის წევრებისა და დიდებულების ოჯახის წევრების მასთან გაგზავნას ითხოვს.³⁰

23 იოსებ ემინი ქართლ-კახეთის სამეფოს ძირითადად მოიხსენებს საქართველოდ.

24 იქვე, 207-208.

25 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 472.

26 ლუიზა შენგელია, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს (თბილისი: მეცნიერება, 1973), 61-62.

27 რწმუნებული, მეურვე. ქერიმ-ხანმა სწორედ ეს ტიტული აირჩია.

28 John H. Lorentz, *Historical Dictionary of Iran* (Lanham: The Scarecrow Press, 2007), 156.

29 შენგელია, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, 89-90.

30 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 209.

ქერიმ-ხანის მიერ ერეკლესთვის გაგზავნილ ულტიმატუმთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის ერეკლე II-ის სამეფო კარის ისტორიკოსი ომან მდივანბეგ ხერხეულიძე. სამაგიეროდ, იგი საუბრობს 1760 წელს ერეკლეს მიერ ქერიმ-ხანის ერთ-ერთი მოწინააღმდეგისა და კონკურენტის, აზატ-ხანის (ავღანური წარმოშობის სამხედრო ლიდერი, გ. 1781 წ.)³¹ შეპყრობასა და მის ირანის ვექილთან გაგზავნაზე.³² ამ პოლიტიკური ნაბიჯის დამსახურებით, ქერიმ-ხან ზენდსა და ერეკლე მეფეს შორის პოლიტიკური ურთიერთობები დათბა და შედეგად ირანმა აღიარა ერეკლეს უპირობო პოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიაზე.³³ სამხრეთ კავკასიაში ქერიმ-ხანის მიერ ერეკლეს ძალაუფლების აღიარებასთან დაკავშირებით ომან ხერხეულიძე აღნიშნავს, რომ ერეკლეს ამგვარი პოლიტიკური მანევრის შემდეგ ირანის ვექილმა სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა ხანს ერეკლე მეფის მორჩილებსკენ მოუწოდა.³⁴ საყურადღებოა, რომ ერეკლეს მიერ აზატ-ხანის შეპყრობის და მისი ქერიმ-ხანისთვის გადაცემის შესახებ ცნობას თავის საისტორიო თხზულებაში თეიმურაზ ბაგრატიონიც (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მონარქის, გიორგი XII-ის ვაჟი, 1782-1846)³⁵ გვაწვდის და დასძენს, რომ საპასუხოდ ქერიმ-ხანმა ერეკლეს მადლობა შესაბამისი საბოძვარით დაუბრუნა.³⁶ ვფიქრობ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი ამ „საბოძვარში“ ომან ხერხეულიძის მსგავსად, ქერიმ-ხანის მიერ ერეკლეს სახანოებზე ძალაუფლების აღიარებას გულისხმობს. ცხადია, სამხრეთ კავკასიის სახანოებთან მიმართებით, უპირველესად, ერევნის, განჯისა და ნახჩევანის სახანოებზეა საუბარი, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს მოხარკე სახანოები იყვნენ.³⁷

აზატ-ხანთან დაკავშირებით, ემინი განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. თხზულების მიხედვით, ქერიმ-ხანის ულტიმატუმის მიღების შემდეგ ერეკლე მეფემ რჩევა სთხოვა ემინს, რომელმაც კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნია ერეკლეს მხრიდან ქერიმ-ხანის პირობებზე დათანხმება და მას ბრძოლის წამოწყება შესთავაზა. თავისი პოზიციის გასამყარებლად ის აზატ-ხანის მაგალითს იშველიებს. მისი თქმით, თავის დროზე აზატ-ხანი მართლაც ერეკლე მეფეს დაუმარცხებია და შემდეგ ტყვე ავღანელებს 300 თუმნად მიუყიდათ ქე-

31 John R. Perry, *Karim Khan Zand* (Oxford: Oneworld publications, 2006), 47.

32 ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა (თბილისი: მეცნიერება, 1989), 58-59.

33 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი II, 207-208.

34 ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 59.

35 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 176.

36 თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია (თბილისი: მეცნიერება, 1983), 51.

37 Tsutsiev, *Atlas of the Ethno-Political history of the Caucasus*, Map N3, 6.

რიმ-ხანისთვის. ამრიგად, ერეკლესა და აზატ-ხანის დაპირისპირების, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის ქერიმ-ხანისთვის გაგზავნის ფაქტს, ქართველი მემათიანეების მსგავსად, ემინიც ადასტურებს, თუმცა მათგან განსხვავებით, იგი შუამავლებად ავლანელებს ასახელებს, რომელთაც აზატ-ხანი 300 თუმნად მიჰყიდეს ირანის ვეჯილს.³⁸ აზატ-ხანის შემთხვევის შემდეგ, როგორც ვახსენეთ, ქერიმ-ხანსა და ერეკლე II-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობები მოწესრიგებულია. ამდენად, უცნაურად გამოიყურება ემინის აღნიშნული ცნობა ქერიმ-ხანის ულტიმატუმთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ჩვენ ხელთ არსებულ სამეცნიერო მასალებში ირანის მმართველის შესახებ მსგავსი ცნობა არ მოიპოვება.

ემინი განაგრძობს ამბის თხრობას და გვამცნობს, თუ როგორ გადაურჩა ქართლ-კახეთის სამეფო ქერიმ-ხანის რისხვას. ამის მიზეზად კი იგი ირანში ერთ-ერთი მხედართმთავრის ქერიმ-ხანის ძმის ზეჯი-ხანის მიერ წამოწყებულ აჯანყებას ასახელებს, რის გამოც ქერიმ-ხანი იძულებული გახდა, მოეხსნა საკუთარი ლაშქარი და ჩქარი ტემპებით ირანის სიღრმეში დაიწყო სვლა.³⁹ ზეჯი-ხანი ირანის ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი იყო, რომელმაც თავი ჯერ კიდევ ფათჰ ალი-ხან ავშარზე გამარჯვების დროს გამოიჩინა. მისი აჯანყების შემდეგ ქერიმ-ხანმა თავის ლაშქართან ერთად დატოვა სამხრეთ კავკასია და ისპაჰანისკენ გაემართა. საბოლოოდ, ქერიმ-ხანმა აჯანყებული ძმა დაამარცხა და ზეჯი-ხანი კვლავ მისი ერთგული მსახური გახდა. ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქერიმ-ხანს 1762-1763 წლისთვის უკვე ყველა კონკურენტი და მოწინააღმდეგე დამარცხებული ჰყავს და შესაბამისად, იგი ირანის დიდი ნაწილის მმართველია.⁴⁰

ცხადია, რომ იმჟამად ირანის ჯარების სამხრეთ კავკასიიდან გასვლა ერეკლე II-ის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა, მეტადრე, რომ ქერიმ-ხან ზენდის რეგიონში გაჩერება პირდაპირ თუ ირიბად ქართლ-კახეთის სამეფოს უსაფრთხოებას ემუქრებოდა. თუმცა, რამდენადაც სასიხარულო ფაქტი იყო ერეკლესთვის ქერიმ-ხანის ირანში დაბრუნება, იმდენად სამწუხარო აღმოჩნდა ეს იოსებ ემინისთვის. როგორც ირკვევა, ქერიმ-ხანის ირანში გაბრუნებისას ემინმა ერეკლეს მასზე ზურგიდან აღევნება და თავდასხმა შესთავაზა, რაზედაც ერეკლე მეფემ უარი თქვა.⁴¹

ერეკლეს ასეთ კატეგორიულ უარს რამდენიმე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ. უპირველეს ყოვლისა ის, რომ 1760-იანი წლების ქართლ-კა-

38 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 210.

39 იქვე, 210-211.

40 Perry, *Karim Khan Zand*, 51-54.

41 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 211-212.

ხეთი არ იყო ის სახელმწიფო, რომელიც ძლიერი მოკავშირის გარეშე, დამოუკიდებლად შეძლებდა ირანზე გალაშქრებას. ასევე, როგორც ვახსენეთ, ამ დროისთვის ირანში ზენდების დინასტიის ხელშია ძალაუფლება კონცენტრირებული და იგი აღარ არის ქაოსით მოცული. ეს გარემოება კი, პოტენციურად, ერეკლეს სამხედრო კამპანიის მარცხის რისკს ზრდის. აგრეთვე, 1760-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოს არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნდა ირანთან; მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლეს გავლენა მის სამეფოს საზღვრებს სცდებოდა და სამხრეთ კავკასიის სახანოებზე ვრცელდებოდა – ეს მდგომარეობა კი თავად ქერიმ-ხანისთვისაც მისაღები იყო. დაბოლოს, 1750-იანი წლების მსგავსად, ქართლ-კახეთის სამეფოს უპირველეს გადასაჭრელ პრობლემად კვლავ ლეკების უკონტროლო მარბიელი ლაშქრობები რჩებოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაში ერეკლე II-ის მხრიდან ირანისკენ მიმავალი ქერიმ-ხანის ლაშქრისთვის გზის მოჭრა და თავდასხმა სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა პოლიტიკური თვითმკვლელობა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ემინის თხზულებიდან ერთ-ერთი მონაკვეთი: „...But to speak the truth, Emin⁴² was not at all pleased with Carim's marching back from Romia* (Urmi) to Ispahan; had that prince come to Georgia, he might have acquired the glory of dying honourably, or have performed service sufficient to win the prince's heart, and thus have succeeded in his main design, delivering the Armenians, and forming a respectable alliance with Georgia, and then becoming tributary to a Christian power“...⁴³ როგორც აქედან ირკვევა, ქერიმ-ხან ზენდის სამხედრო ძალა “Romia* (Urmi)”-ში, ესე იგი ქალაქ ურმიასთან ან ურმიას ტბის მახლობლად იყო დაბანაკებული. აგრეთვე, ამ შემთხვევაში ემინი გულახდილად გვიზიარებს თავის ძირითად ამოცანებს: ერეკლე II-ის გულის მოგება, ქართველების მხარეზე სომხების მოსალოდნელ კონფლიქტში ჩართვა და გამარჯვების შემდეგ ხალხებს შორის ღირსეული ალიანსის ჩამოყალიბება.

ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ქართველ და სომეხ ხალხებს შორის ღირსეული ალიანსის ჩამოყალიბებაში ემინი, შესაძლოა, ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდეს, მეტადრე, რომ „ღირსეული ალიანსი“ მხოლოდ ისეთ ალიანსს შეი-

42 იოსებ ემინი თავის თხზულებაში ყოველთვის მესამე პირში საუბრობს.

43 [„...მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ემინს სულაც არ ესიამოვნა ქერიმის რომიდან* (ურმიდან) ისპაჰანში დაბრუნება; ეს ხელმწიფე [ქერიმ-ხანი] რომ ჩამოსულიყო საქართველოში, ის [ემინი] შეძლებდა ღირსეულად მომკვდარიყო, ან მეფის გულის მოსაგებად საკმარისი სამსახური შეესრულებინა და ამით მიეღწია თავისი მთავარი გეგმისთვის – დაეხსნა სომხები და დაემყარებინა საპატიო კავშირი საქართველოსთან. და შემდეგ გამხდარიყო ქრისტიანული ძალაუფლების დამხმარე...“]. იქვე, 211.

ძლება ეწოდოს, როდესაც ყველა მხარე თანასწორ მდგომარეობაშია და შესაბამისად, მათი პოლიტიკური ინტერესები დაცულია. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით.

ლეკების საკითხი 1760-იან წლებში

ომან ხერხეულიძის საისტორიო თხზულების მიხედვით, ფაქტობრივად, მთელი 1760-იანი წლები ერეკლეს ლეკების მოგერიება და სამეფოში მათი თარეშის აღკვეთა უწევს. ცხადია, ლეკების მარბიელი თავდასხმები არ და ვერ დარჩებოდა ემინის ყურადღების მიღმა. ქერიმ-ხან ზენდთან დაკავშირებული ცნობების შემდეგ ემინი მოგვითხრობს ერეკლესა და ლეკების ერთ-ერთი ბელადის, სამოცდათვრამეტი წლის, ჩონჩოლ-მუსას დაპირისპირების შესახებ. საგულისხმოა, რომ ომან ხერხეულიძის ცნობების მიხედვით, ჩონჩოლ-მუსა ჯერ კიდევ 1750-იანი წლებიდან არბევდა ქართლ-კახეთის სამეფოს და მის შეპყრობას ქართველები ვერ ახერხებდნენ.⁴⁴ ემინი მოგვითხრობს, რომ ამჯერად ჩონჩოლ-მუსა 200 მეომართან ერთად ქართველებს ცოცხლად შეუპყრიათ და ჯორზე შესმული მეფისთვის მიუყვანიათ.⁴⁵ როგორც ირკვევა, სიკვდილისთვის განწირული ლეკთა ბელადი ერეკლეს წარსულს ახსენებს და მას ბრალს სდებს, რომ თავის დროზე სწორედ მისი და მამამისის, თეიმურაზ II-ის წაქეზებით არბევდა და იმონებდა ქართლის სამეფოს მოსახლეობას. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ გვაწვდის ომან ხერხეულიძე. ემინის თხზულების მიხედვით, ჩონჩოლ-მუსას შეპყრობამდე მცირე ხნით ადრე, ერეკლე მეფესა და იოსებ ემინს შორის საუბარი შედგა, სადაც ემინმა მეფეს განუცხადა, რომ სწორედ ლეკების და მათი მარბიელი ლაშქრობების წყალობით ინარჩუნებდა ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოში ასეთ ძლიერ ავტორიტეტსა და ძალაუფლებას. მისი აზრით, ლეკები ერეკლეს საუკეთესო სამხედრო ძალას წარმოადგენენ, მეტადრე, რომ სწორედ ისინი (ლეკები) არბევენ და ალატაკებენ ქართულ სათავადოებს, რის შედეგადაც ყველა თავადი იძულებული ხდება ერეკლეს ერთგულ ქვეშევრდომად დარჩეს. ემინის თქმით, ერეკლე თავდაპირველად ყურადღებას არ აქცევს ლეკების შემოსვლას ქვეყანაში, ხოლო მას შემდეგ, რაც სოფლებს გაანადგურებენ და ხალხს დაიმონებენ, მეფე მიემართება და უმცირესი სამხედრო დანაკარგებით ანადგურებს ლეკებს. ამრიგად, იგი იძენს დამპყრობლის სახელს. ხოლო, მეორე მხრივ, გადატაკებული და მარბიელი ლაშქრობებისგან გადაქანცული თავადები იძულებულნი

44 ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 57-58.

45 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 214.

ხდებიან მას უსიტყვოდ ემსახურონ. ამის შემდეგ ემინი უფრო შორს მიდის და იხსენებს შაჰ-აბასის (ირანის შაჰი 1588-1629 წლებში)⁴⁶ პერიოდის მოვლენებს, როდესაც მისი შემოსევების შემდეგ ქართლელმა თავადებმა დახმარების ნაცვლად მრავალი კახელი თურქებს მიჰყიდეს, რის შედეგადაც დაცარიელდა კახეთის სამეფო. ნადერ-შაჰის ხელდასხმით ერეკლე კახეთის მეფე გახდა და ამ დროიდან თავადების დამორჩილების მიზნით იწყებს ქვეყნის მართვას: მართალია, ის არ ჰყიდის თავის ქვეშევრდომებს მუსლიმებზე, მაგრამ ამას იგი ლეკების ხელით აკეთებს. თავად ერეკლეს კი ქრისტიანთა მცველის სახელი აქვს და ბოლოს ამატებს: “...You have only this to answer before God, and the world will vouch for you, that you have sold no Christian as slaves to the Mahomedans like the nobles of Cartuel; but you have suffered them by thousands and thousands to be made captives by the Lazguis”...⁴⁷ ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასაწყისში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო,⁴⁸ თუმცა ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი არ არის ამ ურთიერთობათა ანალიზი. ხოლო, რაც შეეხება ერეკლე II-ის პოლიტიკას ლეკების მიმართ, დიდი ალბათობით, იოსებ ემინი ცდება. მაგალითისთვის გავიხსენოთ 1760 წელს თეიმურაზ II-ის რუსეთის იმპერიაში დიპლომატიური მისიით გამგზავრება. ამ დიპლომატიური მისიის ერთ-ერთი მიზანი რუსეთის იმპერიის მხრიდან, ლეკების შემოსევების აღკვეთის მიზნით, ქართველების ცოცხალი ძალით ან ჯარების დასაქირავებლად საკმარისი თანხით დახმარება იყო. საგულისხმოა, რომ ამ დიპლომატიურ მისიას შედეგი არ ჰქონია, მეტადრე, რომ იმჟამად რუსეთის იმპერია „შვიდწლიან ომში“ იყო ჩართული და მისი ყურადღება მთლიანად ევროპისკენ იყო მიმართული. ამასთან, 1762 წლის დასაწყისში რუსეთის იმპერატორი ელისაბედ I (1709-1762)⁴⁹ გარდაიცვალა. ამ მოვლენიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა თეიმურაზ II-ც.⁵⁰ ემინის თხზულების მიხედვით, თეიმურაზ II-ისა და იოსებ ემინის ყოფნა რუსეთის საიმპერატორო კარზე ერთმანეთს ემთხვევა. რუსეთში ყოფნისას მან პირადად გაიცნო

46 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 62-63.

47 [„...თქვენ მხოლოდ ამაზე უნდა გაცეთ პასუხი ღმერთს და სამყარო დაგიმოწმებთ, რომ ქართლელი დიდებულებივით არცერთი ქრისტიანი არ მიგიყიდიათ მუსლიმებისთვის მონებად; მაგრამ თქვენ გამო ათასობით მათგანი მოხვდა ლეკების ტყვეობაში...“] Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 212-214.

48 ნიკოლოზ ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტომი IV (თბილისი: მეცნიერება, 1967), 115-116.

49 Hugh Chisholm, “Elizabeth (Petrovna)”, in *Encyclopedia Britannica* Vol. 9 (11th ed.) (New York: Cambridge University Press, 1910), 283-285.

50 David Marshall Lang, *The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832* (New York: Columbia University Press, 1957), 154-155.

თეიმურაზი და მას სახლშიც სტუმრობდა. როგორც ირკვევა, მათ შორის ბევრჯერ შედგა პოლიტიკური შინაარსის საუბარი როგორც ქართლისა და კახეთის სამეფოებთან, ასევე სომხეთის და ლეკების პრობლემასთან დაკავშირებით. მეტიც, ემინი სამხრეთ კავკასიაში ჩასვლას სწორედ თეიმურაზთან ერთად აპირებდა.⁵¹ საინტერესოა მისი სიტყვები ელისაბედ I-ისა და თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შესახებ: "...But, alas! To the great misfortune of Emin, and to all the Armenians, she died in the month of December; and exactly a fortnight after, died king Tahmuraz of Georgia. Emin was left again fatherless and motherless".⁵²

აგრეთვე, არგუმენტად გამოდგება 1754 წლის მჭადიჯვრის და 1755 წლის ყვარლის ციხის ბრძოლები, როდესაც ლეკების ერთ-ერთი ბელადი ნურსალ-ბეგი დაესხა თავს ქართულ სამეფოებს. ორივე შემთხვევაში თეიმურაზმა და ერეკლემ ლეკების თავდასხმას სწრაფად უპასუხეს და გაიმარჯვეს.⁵³ ასევე, საყურადღებოა, 1760 წლის ბრძოლა ატოცის ციხესთან, სადაც ერეკლე II-მ ლეკების ბელადები ჩონჩოლ-მუსა და კოხტა-ბელადი დაამარცხა.⁵⁴ ამასთან, ომან ხერხეულიძის მიხედვით, მხოლოდ 1760-იან წლებში, მცირე ბრძოლების გარდა, ერეკლესა და ლეკებს შორის შვიდი ბრძოლა მოხდა. ყველა შემთხვევაში ერეკლემ ლეკების თავდასხმას მყისიერად უპასუხა და გაიმარჯვა.⁵⁵ ამრიგად, ვასკენით, რომ ამ შემთხვევაში ემინის მოსაზრება მეტწილად მცდარია.

ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის პროექტი (1760-იანი წლები)

ემინის თხზულების მიხედვით, ლეკებთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ ერეკლე მეფე ემინს ერევნის სახანოში სალაშქროდ კონკრეტულ გეგმას სთავაზობს, რის შემდეგაც ემინი მიწერ-მოწერას იწყებს ოსმალეთის იმპერიაში მდებარე ქალაქ მუშის წმინდა კარაპეტის მონასტრის ეპისკოპოს ოვანთან. ოვანის პასუხიც არ აყოვნებს და მას დახმარებას აღუთქვამს. იგი მზად არის ამ სამხედრო ოპერაციის სასარგებლოდ 4000 სომეხი მებრძოლი მიაშველოს ემინს, თუმცა მხო-

51 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 173-177.

52 [...მაგრამ, ემინის და ყველა სომეხის საუბედუროდ, ის [ელისაბედ I] გარდაიცვალა დეკემბერში; და ზუსტად ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მეფე თეიმურაზი. ემინი ისევ უმამოდ და უდედოდ დარჩა.] იქვე, 176-177.

53 დ. მეგრელაძე, *ლეკიანობა* (თბილისი: ისტორიული მემკვიდრეობა, 2011), 92.

54 იქვე, 112.

55 ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, 58-60.

ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წამოწყებას ერეკლე II დაუჭერს მხარს.⁵⁶ ეპისკოპოსის იმედები ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მცხოვრებ სომხებს, იეზიდებსა და ასირიელებს ემყარებოდა. საყურადღებოა, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის ოსმალეთის იმპერიაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი იყო. ამასთან, ადგილობრივი რეგიონების მმართველი ფაშების⁵⁷ ძალაუფლების ზრდის ხარჯზე სუსტდებოდა სულთნის, ესე იგი, ცენტრალური ხელისუფლების გავლენა. ყოველდღიურად უარესდებოდა ადგილობრივი სომხური მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. გარკვეულწილად, ამით აიხსნება ისიც, რომ იმუამად სომხური მოსახლეობა სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა გაერთიანებულ იყო ქართულ ლაშქართან, რათა ერთობლივი ძალებით დასხმოდნენ თავს ოსმალეთის იმპერიას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები სოლომონ I-ის (იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში)⁵⁸ პოლიტიკური წარმატებაც, რომელიც 1760-იან წლებში მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა ოსმალებისთვის წინააღმდეგობის გაწევას.⁵⁹

აღსანიშნავია, რომ იოსებ ემინმა ჯერ კიდევ ანატოლიაში, ერევანის სახანოსა და ყარაბაღში მოგზაურობისას დააინტერესა სომეხი დიდებულები და სასულიერო პირები სომხური მოსახლეობის გათავისუფლების გეგმით, თუმცა რეალური ბრძოლისა და აჯანყებისთვის მზადყოფნას მხოლოდ ანატოლიელი სომეხები და განსაკუთრებით ეპისკოპოსი ოვანნი გამოთქვამდნენ. საყურადღებოა, რომ ოვანნი მოკლე დროში მოახერხა იეზიდების, ქურთებისა და ნესტორიანელი ასირიელების მიმხრობა.⁶⁰ როგორც ზემოთ ვახსენეთ, ემინის თხზულების მიხედვით, მათ მიერ აჯანყების წამოსაწყებად ერეკლე II-ის ერთი ბრძანებაც კი საკმარისი იქნებოდა.

ემინისა და ეპისკოპოს ოვანნის მიერ დაგეგმილი აჯანყება ანატოლიაში არ დაწყებულა, რადგან ახალი სამხედრო კამპანიის წამოწყებაზე ერეკლემ თავი შეიკავა. ამ შემთხვევაში ერეკლეს თავშეკავებულობა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მიზეზებით შეიძლება აიხსნას. პირველი, რომ მსგავსი სამხედრო კამპანია მეტად სარისკო და საფრთხის შემცველი იქნებოდა ერეკლესთვის. აჯანყების მხარდაჭერა ან/და დახმარების გაწევა (ცოცხალი ძალით, ფინანსური

5 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 216-217.

57 მმართველები.

58 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 585-586.

59 L. U. ჯაყხიას, *ჰაყ თოილიქიქი შასთილქიქი*, 3. IV (ხრეცას: ჰაყხასას სსრ ფითილქიქისსეჩი ასაქნეჩაქი ჰრასთარასქიქიქიქი, 1972), 203-206.

60 გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში (თბილისი: მეცნიერება, 1982), 263.

სახსრებით) მასში თანამონაწილეობას ნიშნავს და ვინაიდან აჯანყება უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, ესე იგი ანატოლიაში, უნდა წამოწყებულიყო, ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ოტომანებისთვის ეს პირდაპირ ომის გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა. აგრეთვე, ერეკლე ამგვარ პოლიტიკურ ნაბიჯს ძლიერი მოკავშირის გარეშე ვერ გადადგამდა. მოსალოდნელი კონფლიქტის შემთხვევაში კი ასეთ მოკავშირედ იმხანად მხოლოდ ერთი სახელმწიფო – რუსეთის იმპერია შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს საკუთარი, პირადი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა ოსმალეთთან: უპირველეს ყოვლისა, ერეკლე, საუკუნეების წინ, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში არსებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, ახალციხის საფაშოზე აცხადებდა პრეტენზიას.⁶¹ ეს პოლიტიკური მიზანი დადასტურდა კიდევც რუსეთ-ოსმალეთის ომში (1768-1774), რადგან ამ ომში მონაწილეობისას ერეკლეს ძირითადი მოტივაცია ახალციხის საფაშოს ტერიტორიების მიერთება იყო.⁶²

ამასთან, გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორიც. უშუალოდ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ომის წარმოებას მყარი ეკონომიკა და ფინანსური შესაძლებლობები სჭირდება. ის, რომ 1760-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნია, თავის მხრივ, ემინის თბზულებაშიც დასტურდება, როდესაც ერეკლემ სამხედრო აკადემიის შექმნასთან დაკავშირებული შეთავაზება მოიწონა, თუმცა ემინს ფინანსური სახსრების უქონლობაზე მიუთითა. ვასკვნიტ, რომ 1760-იან წლებში, ერეკლეს პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები, უპირველესად ქართული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის გეგმებში იმუამად არ შედიოდა სამხრეთ კავკასიაში მიმოფანტული სომხების გაერთიანება და მათთვის სახელმწიფოს შექმნა. ამრიგად, კავკასიური პოლიტიკის თვალსაზრისით, 1760-იან წლებში ერეკლე II-ს გრძელვადიან და ამავედროულად სტრატეგიული მნიშვნელობის მიზანი იყო რეგიონში ოსმალეთის პოზიციების შესუსტების ხარჯზე ქართლ-კახეთის სამეფოს პოზიციების გაძლიერება, რაც, თავის მხრივ, რეგიონში ირიბად რუსეთის იმპერიას აძლიერებდა. ხოლო რაც შეეხება მოკლევადიან ამოცანებს, ერეკლესთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი იყო სამეფოს არსებული საზღვრების ლეკების თავდასხმებისგან დაცვა და მეორე მხრივ, დაქვემდებარებული პოლიტიკური ერთეულების (ერევნის, განჯისა და ნახჩივანის სახანოების) შენარჩუნება. მაგალითისთვის,

61 ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები (ტფილისი: სახელმწიფო სტამბა, 1919), 38-39.

62 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი II, 217.

მხოლოდ ერევნის სახანო ხარკის სახით ქართლ-კახეთის სამეფოს წლიურად 3000 თუმანს უხდიდა.⁶³

აგრეთვე, პოლიტიკური თვალსაზრისით დასაფიქრებელია სომხური ეკლესიის არაერთგვაროვანი პოზიციაც. თავად ემინის თხზულებიდანაც ირკვევა, რომ მისი პროექტი, ესე იგი, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მიერ აჯანყების წამოწყება, მოგვიანებით კი ერთიანი, ფედერაციული ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის საკითხი ეჩმიაწინის და განსაკუთრებით სიმეონ ერევანცის (სრულიად სომეხთა კათალიკოსი 1763-1780 წლებში)⁶⁴ ინტერესებში არ შედიოდა. როგორც ირკვევა, არამხოლოდ აჯანყების წამოწყება, არამედ თავად იოსებ ემინის ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ყოფნაც დაუშვებლად მიაჩნდა სიმეონ კათალიკოსს. ემინის თხზულების მიხედვით, სიმეონ კათალიკოსმა ერეკლეს წერილი მისწერა, სადაც ხაზგასმით მოიხსენიებს ერეკლე II-ს სომხეთისა და საქართველოს მეფედ, ამავდროულად იგი მეფისგან უგუნური „სომეხი პრინცის“ [ესე იგი იოსებ ემინის] სამეფოდან გაძევებას მოითხოვს. ამ წერილს ერეკლე ძალიან გაუბრაზებია – მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ შეეძლო სიმეონს მისთვის სომხეთის მეფე ეწოდებინა და იმავე წერილში იოსებ ემინი სომხეთის პრინცად მოეხსენებინა. ან საერთოდ, როგორ შეიძლებოდა ჰამადანში დაბადებული ემინის „პრინცად“ მოხსენიება.⁶⁵

სიმეონ კათალიკოსის მოღვაწეობისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ იგი ნამდვილად არ იყო ის ადამიანი, რომელიც ერეკლეს ასეთ უტაქტო და ორაზროვან წერილს გაუცნობიერებლად მისწერდა. სიმეონის მიერ ერთსა და იმავე წერილში ერეკლეს სომხეთის მეფედ, ხოლო ემინისა სომხეთის პრინცად მოხსენიება ერთადერთ მიზანს – ერეკლესა და ემინს შორის შუღლის ჩამოგდებას ემსახურებოდა. სიმეონს საამისოდ არაერთი მოტივი ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, სიმეონ კათალიკოსი ძალიან კარგად იცნობდა მეფე ერეკლეს და შესაბამისად იცოდა, თუ რა პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობები ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს არ შესწევდა იმის ძალა, რომ სომხური მოსახლეობის გათავისუფლების მიზნით, საბრძოლო მოქმედებები უშუალოდ ოსმალეთის იმპერიაში ეწარმოებინა. ასეთ რისკზეც რომ წასულიყო ერეკლე და სომხური მოსახლეობის დახმარებით გარკვეული წარმატებისთვის მიეღწია, ოსმალებთან ერთად ირანთან და-

63 ლია გიგაური, საქართველო სიმეონ ერევანცის „მემუარებში“ (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა), 1997, 11.

64 იქვე, 4.

65 Emin, Life and Adventures of Emin Joseph Emin, 218-219.

პირისპირებაც მოუწევდა. სამხრეთ კავკასიაში ახალი ფედერაციული მოწყობის ტიპის ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის პროექტი ხომ საკუთარ თავში, უპირველესად, სომხური მოსახლეობით დასახლებული რეგიონების (ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე ტერიტორიები, ერევნის და ყარაბაღის სახანოები) გაერთიანებას გულისხმობდა. რასაკვირველია, რომ 1760-იან წლებში ერეკლეს მხრიდან ამგვარი პროექტის განხორციელებას აუცილებლად მოჰყვებოდა ირანის მხრიდან წინააღმდეგობა, მეტადრე, რომ იმჟამად სამხრეთ კავკასიის სახანოების ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს ირანი თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. ამ უკანასკნელს ნათლად ადასტურებს ქერიმ-ხან ზენდის სამხედრო კამპანია თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოების წინააღმდეგ 1759-1763 წლებში.⁶⁶ აღნიშნული სამხედრო კამპანია, უპირველესად, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში ირანის პოზიციების გაძლიერებას ემსახურებოდა. აგრეთვე, საყურადღებოა, ქერიმ-ხანის დამოკიდებულება ერმიანის ეკლესიისადმი. როგორც ირკვევა, 1760-იანი წლებისთვის ერმიანის ეკლესიას ფორმალურად ირანის მმართველი მფარველობს. მაგალითისთვის საინტერესოა მატენადარანის სპარსული საბუთებიდან ერთ-ერთი დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ 1763-1764 წლებში, ფორმალურად, ქერიმ-ხანი ამტკიცებს სიმეონს კათალიკოსად და ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო ბრძანებასაც კი გასცემს.⁶⁷ ამ ყველაფერთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას აუცილებლად მოჰყვებოდა რეგიონში ძალთა ბალანსის რღვევა, რაც თავის მხრივ ახალი ომებისა და სისხლისღვრის რისკს ერთი-ორად გაზრდიდა.

საყურადღებოა, რომ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ერეკლე II-მ იოსებ ემინი მოატყუა. ამ ვერსიის თანახმად, რომელიც თავად იოსებ ემინის ავტობიოგრაფიულ თხზულებასთან მოდის წინააღმდეგობაში, სიმეონ კათალიკოსს თავის წერილში არ მოუთხოვია ემინის სამეფოდან გაძევება, არამედ მას უბრალოდ სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. თუმცა ერეკლემ ემინი დააჯერა, რომ სიმეონ კათალიკოსი მის გაძევებას ითხოვდა და, შესაბამისად, იგი ამ შემთხვევაში ვერ დაუჭერდა მხარს სომხური მოსახლეობის მიერ წამოწყებულ აჯანყებას. გამოდის, რომ თავად სიმეონი იოსებ ემინის ჩანაფიქრს მხარს უჭერს, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, მას აჯანყებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში არ მოიაზრებს.⁶⁸ მი-

6 Perry, Karim Khan Zand, 43-46.

6 K.P. Kostikyan, *Persian Documents of the Matenadaran*, Vol. 4 (Yerevan: Nairi, 2008), 188-191.

68 უაძღუე ღირასიას, ზაჟ – ილი – ყრასასკან ყიჩხარაქტერიქონსტერ ძე. ზარქი

უხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ამ მოსაზრებასაც აქვს ლოგიკური ახსნა, მას არ ვიზიარებთ, მეტადრე, რომ იოსებ ემინის თხზულებასთან ერთად, თავად სიმეონ კათალიკოსის მოქმედებებიდანაც ჩანს, რომ იგი იოსებ ემინის ჩანაფიქრის წინააღმდეგი იყო. აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ იმ მოცემულობას, რომ იმჟამად იოსებ ემინი საკმაოდ აქტიური პერსონაჟია ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე და ასევე ძლიერი კონტაქტებიც აქვს სომხურ მოსახლეობასთან, ძნელი დასაჯერებელია ისიც, თუ როგორ შეიძლებოდა მას ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი გამოჰპარვოდა და ასე ადვილად შეეყვანა ის ერეკლე II-ს შეცდომაში.

როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ერთიანი სომხური სახელმწიფო არ არსებობს. ამ ვითარებაში სომეხი ერის ერთადერთი გამაერთიანებელი ინსტიტუცია ეკლესიაა. ამრიგად, სომხურ ეკლესიას, ერთი მხრივ, შეთავსებული აქვს სახელმწიფოს ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული კუთვნილების ორიენტირი.⁶⁹

ემინის თხზულების მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოთხი სომხური ეკლესია (საკათალიკოსო) არსებობდა: ერმიაწინის (ერევნის სახანოში), კილიკიის (ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), ახტამარის (ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში) და განძასარის (ყარაბაღის სახანოში) საკათალიკოსოები.⁷⁰ ცნობილია, რომ სიმეონი დაულალავად ზრუნავდა საკუთარი ეკლესიის, ესე იგი ერმიაწინის საკათალიკოსოს გავლენის ზრდაზე და განსაკუთრებულად აღიზიანებდა განძასარის პატრიარქების განდგომა, შესაბამისად, ერმიაწინი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მაქსიმალურად შეემცირებინა განძასარის საკათალიკოსოს გავლენა სომხურ მოსახლეობაზე.⁷¹ აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სიმეონ კათალიკოსი არ დაუშვებდა იმას, რომ მის ნაცვლად სხვა სასულიერო პირს და მით უმეტეს საკუთარი ეკლესიის წიაღში, ეწარმოებინა რაიმე სახის პოლიტიკური შინაარსის მოლაპარაკებები ერეკლე მეფესთან. ამას ისიც ადასტურებს, რომ სიმეონმა, იოსებ ემინის მეგობარი და მოკავშირე, წმინდა კარაპეტის მონასტრის ეპისკოპოსი ოვანნი, ერეკლესთან და ემინთან მოლაპარაკებების დაწყებიდან მოკლე ხანში, კათოლიკეების მფარველობის და მწვალებლობის ბრალდებით განკვეთა ეკლესიიდან.⁷²

Երկրորդ კեսის (Մայր Աթոռ Ս. Էջմիածին, 2006), 84-85.

69 ეკა კვაჭანტირაძე, „ქართული თვითცნობიერება ისტორიულ რეტროსპექტივაში“, გული გონიერი, N5 (2013): 75-76.

70 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 218.

71 გიგაური, საქართველო სიმეონ ერევანცის „მემუარებში“, 9.

72 Иоаннисян, *Иосиф Эмин*, 126.

ამასთან, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სიმეონ კათალიკოსის ერთ-ერთი მიზანი არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება იყო. ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე რეგიონში ისეთი ძალა გამოჩნდებოდა, რომელიც შესაფერის წინააღმდეგობას გაუწევდა ოსმალებს და ირანს და სომეხ ხალხს მუსლიმთა ბატონობისგან გაათავისუფლებდა – ასეთ ძალად კი მას, უდიდესი ალბათობით, რუსეთის იმპერია ესახებოდა.⁷³ ხოლო, რაც შეეხება არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნების საკითხს, სიმეონ კათალიკოსი ერეკლე მეფეს, ერთი მხრივ, სომხეთის მეფედ აცხადებდა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ნებართვის გარეშე და შესაბამისად, მისგან დამოუკიდებლად საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდა. მაგალითისთვის, საინტერესოა ესაია ასურთა ეპისკოპოსის შემთხვევა, როდესაც იგი 1760-იანი წლების მიწურულს ერეკლე მეფესთან, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ასურთა შეერთებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებს აწარმოებდა. თბილისიდან მობრუნებული ეპისკოპოსი ესაია სიმეონ კათალიკოსის ბრძანებით, ერმიაწინის დილეგში აღმოჩნდა. 1770 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული წერილით ირკვევა, რომ ერეკლეს მის დასახსნელად განსაკუთრებული ზომების მიღებაც კი დასჭირვებია.⁷⁴ ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ სიმეონ კათალიკოსი არასოდეს განიცდიდა ინფორმაციის ნაკლებობას. იგი მუდამ ადევნებდა თვალს ერეკლე II-ის პოლიტიკას და ზოგადად, ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების საქმის კურსშიც იყო. ასეთ ვითარებაში სიმეონს აუცილებლად ეცოდინებოდა ისიც, თუ რა სახის მოლაპარაკებებს აწარმოებდა ესაია ასურთა ეპისკოპოსი ერეკლესთან. ამ შემთხვევაში სიმეონ კათალიკოსმა თავს უფლება მისცა, ქართველი მეფის ნაცვლად მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილება. ესაია ასურთა ეპისკოპოსის შეპყრობით ცხადი ხდება, რომ სიმეონი ირიბად მოვიდა წინააღმდეგობაში ერეკლე II-ის რეგიონულ პოლიტიკასთან.⁷⁵

სიმეონისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო სომხეთსა და ქართლ-კახეთში ევროპული ეკონომიკური ურთიერთობები, ცხოვრების წესი და განსაკუთრებით, კათოლიკე სასულიერო პირების მოგზაურობა და ქადაგება. ეს ნათლად დასტურდება მის მიერ ერეკლესადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი მეფეს საყვედურობს და კატეგორიულად სთხოვს ევროპელი სასულიერო პირების საკუთარი

73 იქვე, 141-142.

74 А.А. Цагарели, *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия* Т. II, В. I (Санкт-Петербург: орд. Проф., 1898), 60-61.

75 ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, 95-96.

სამეფოდან გაძევებას.⁷⁶ სიმეონმა კარგად იცოდა, თუ პოლიტიკურად რაოდენ რთულ მდგომარეობაში იყო იმჟამინდელი სომხური მოსახლეობა და საკუთრივ ეჩმიაწინი. იგი მუდამ ცდილობდა, დაბალანსებული პოლიტიკა ჰქონოდა ოსმალეთის იმპერიასთან და ირანთან. აგრეთვე, სიმეონი ხვდებოდა იმასაც, რომ ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნა ქართველთა წინამძღოლობით იგეგმებოდა, მეტადრე, რომ იმჟამად სომხეთს არ ჰყავდა მეფე და შესაბამისად, სომხეთის სრულუფლებიანი მმართველები ქართველი ბაგრატიონები გახდებოდნენ. სხვათა შორის, ამ საკითხს საკუთარ თხზულებაში ემინიც ეხმიანება. მას და ერეკლეს შორის გამართული ერთ-ერთი საუბრისას ემინს უთქვამს, რომ მისთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება სომხეთის ტახტზე კალკუტელი ჰოვსეფის ვაჟი, იოსებ ემინი ავიდეს, როდესაც რეალური სუვერენი, ესე იგი ერეკლე II, თავის შვიდ უფლისწულთან და ხუთ ანგელოზივით ლამაზ ქალიშვილთან ერთად, ცოცხალია.⁷⁷ ემინის თხზულების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ მას ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან რთულად წარმოედგინა საკუთარი თავი მომავალი სომხეთის სამეფოს ტახტზე. ყოველი შემთხვევისთვის, ამკარაა, რომ მისი, როგორც „სომხეთის პრინცის“ წინაშე მუდამ იდგა ლეგიტიმურობის პრობლემა. ამ საკითხს გარკვეულწილად ადასტურებს იოსებ ემინის მიერ ერეკლესადმი გაგზავნილი მეორე წერილი, რომელშიც იგი მეფეს ქალიშვილის ხელს სთხოვს (ამ დროს იოსებ ემინი ქართლ-კახეთის სამეფოში ნამყოფი არ არის და შესაბამისად, არც თავად ერეკლე II-ს იცნობს პირადად) და ქორწინების დამადასტურებელ საბუთს ითხოვს.⁷⁸ ამ გულახდილი წერილიდან, რომელიც 1760 წლით თარიღდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ემინს, როგორც ვაჭრის შვილს, ერეკლე II-სთან დანათესავება, ესე იგი, დინასტიის წევრთან შეუღლება უფრო მეტად შეუწყობდა ხელს, მეტადრე, რომ, როგორც თხზულებიდან ირკვევა, იოსებ ემინს სომეხი მოსახლეობა უხშირესად თავის „უფლისწულად“ და მხსნელად აღიარებს. იგი აცნობიერებდა, რომ არ იყო დიდგვაროვანი და არ ეკუთვნოდა არცერთ საგვარეულო ოჯახს. აუცილებელია იმის თქმაც, რომ ამ წერილს იოსებ ემინმა მოგვიანებით უწოდა თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა.⁷⁹

თავის მხრივ, ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა ქართველებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით, ავტომატურად გამოიწვევდა რეგიონში ერ-

76 მაისურაძე, *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში*, 267.

77 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 229.

78 იქვე, 155.

79 იქვე, 154.

მიაწინის ეკლესიის როლის დაქვეითებას. საყურადღებოა, რომ ემინის თხოვნების მიხედვით, ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების სურვილი თავად ერეკლესაც ჰქონია. ერეკლეს თქმით, ერთადერთი მიზეზი, რამაც ასე დააშორა ქართველი და სომეხი ქრისტიანი ხალხები ერთმანეთისგან, მათი განსხვავებული რწმენა-წარმოდგენებია. მეფის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ორივე მხარე უარს იტყოდა ზოგიერთ უსარგებლო რიტუალსა და წესზე; ასეთ შემთხვევაში კვლავ შესაძლებელი გახდებოდა ხალხებს შორის ძმობისა და ერთიანობის აღდგენა.⁸⁰ აღსანიშნავია, რომ ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების საკითხით თავის დროზე საქართველოს მონარქები – დავით აღმაშენებელი (საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში)⁸¹ და თამარი (საქართველოს მეფე 1184-1210 წლებში)⁸² იყვნენ დაინტერესებულები. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მათი მმართველობის დროს სომხეთის ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა.⁸³ ხოლო, რაც შეეხება ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხს, უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნემდე აღნიშნული საკითხი სერიოზულად არასოდეს დასმულა.⁸⁴ საგულისხმოა, რომ ქართველი და სომეხი ხალხების საერთო მიზნებისთვის გაერთიანების საკითხით ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში დაინტერესდნენ ქართული და სომხური პოლიტიკური წრეები. ვახტანგ VI-ს სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იმჟამინდელ წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირები ჰქონდა.⁸⁵ ხოლო მოგვიანებით, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ერთიანი ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ეპოქაში, უკვე სერიოზულად განიხილებოდა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1760-იანი წლებისთვის, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, ერეკლე II-ისა და სიმეონ კათალიკოსის პოლიტიკური ინტერესები, გარკვეულწილად, ერთმანეთს ემთხვევა იმ თვალსაზრისით, რომ ორივესთვის მნიშვნელოვანი იყო რეგიონში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნება. ხოლო, რაც შეეხება ერეკლეს ერევნის სახანოზე გალაშქრების სა-

80 იქვე, 228.

81 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 253.

82 იქვე, 598.

83 მაისურაძე, *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში*, 266.

84 ტუხაშვილი, *ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში*, 100.

85 მაისურაძე, *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში*, 203-204.

კითხს, იგი არა სიმეონ კათალიკოსის გავლენისა და ძალაუფლების შეზღუდვისკენ, არამედ, უპირველესად, ერევნის ურჩი მმართველის, ჰუსეინ ალი-ხანის დასჯისა და მისი დამორჩილებისკენ იყო მიმართული. ერეკლეს მხრიდან ერევანზე გალაშქრების ერთადერთი მიზანი სახანოში წესრიგის აღდგენა და ყოველწლიური ხარკის მიღების უზრუნველყოფა იყო. საგულისხმოა, რომ ომან ხერხეულიძის მიხედვით, 1760-იან წლებში ერეკლე მეფემ ერევნის სახანოში ორჯერ, 1767 და 1769 წლებში ილაშქრა – ორივე შემთხვევაში ერევნის ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ, რადგან ისინი თავს არიდებდნენ მეფისთვის მათზე დაკისრებული ხარკის გადახდას.⁸⁶ ხოლო, ბაგრატ ბაგრატიონის (გიორგი XII-ის ვაჟი, 1776-1841)⁸⁷ ცნობით, ერეკლემ ერევნელი ქურთების წინააღმდეგ 1764 წელს გაილაშქრა.⁸⁸

ამრიგად, ვასკვნით, რომ პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, სიმეონ კათალიკოსი, სამხრეთ კავკასიაში, უფრო მეტად რუსეთის იმპერიის გავლენის ზრდის მომხრეა, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოსი. საყურადღებოა, რომ იოსებ ემინის პოლიტიკური ორიენტაციაც 1760-იანი წლების დასასრულს დაშორდა ინგლისს და რუსეთის იმპერიისკენ გადაიხარა. მაგალითისთვის, ერეკლესთვის გაგზავნილ პირველ წერილში იოსებ ემინი ვერ მალავს ევროპული სახელმწიფოების და განსაკუთრებით, ინგლისის მიმართ აღფრთოვანებას. მოგვიანებით, როდესაც ემინი იწყებს მოგზაურობას და უშუალოდ ხდება ყველა მოვლენის თანამონაწილე, იცვლება მისი გეგმებიც და ახლა ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს არსებობას მხოლოდ რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ განიხილავს.⁸⁹

ემინის თხზულების მიხედვით, სიმეონ კათალიკოსის ულტიმატუმის შემდეგ ერეკლე II იღებს გადაწყვეტილებას და იოსებ ემინს ქართლ-კახეთის სამეფოს დატოვებას სთხოვს. ამის მიზეზად, რასაკვირველია, მეფე კათალიკოსის წერილს ასახელებს და ამბობს, რომ მას ამ შემთხვევაში სიმეონის წინააღმდეგ წასვლა არ შეუძლია (ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, თუ რამდენად უწევდა ერეკლე სიმეონის პოზიციას ანგარიშს). მეორე მიზეზად კი ერეკლე ემინის ფინანსურ უსახსრობას ასახელებს.⁹⁰ ზოგადად, ემინი თავის „თავგადასავალში“ საკუთარ წარუმატებლობებს ყველაზე ხშირად მის უსახსრობას მიაწერს.

86 ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 60.

87 Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia*, 167.

88 თამარ ლომოური, დავით ბატონიშვილი: ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი: ახალი მოთხრობა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941), 52.

89 Иоаннисян, *Иосиф Эмин*, 86-87.

90 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 233-234.

1765 წლის შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ

1765 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოდან გადაღების შემდეგ, იოსებ ემინი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის, სადაც იგი ერეკლე II-ის წინააღმდეგ წამოწყებული შეთქმულების ამბავს შეიტყობს. ის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შეთქმულების არსისა და ერეკლეს ბიძის, პაატა ბატონიშვილის (ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ვაჟი)⁹¹ აღსასრულის შესახებ. მისი ცნობით, პაატა ბატონიშვილი ერეკლეს წინააღმდეგ წამოწყებული შეთქმულების სულისჩამდგმელია. მან ქართველ დიდებულებთან ერთად ლეკების მიმხრობაც შეძლო და მეფის, მისი უფლისწულებისა და მთლიანად სამეფო ოჯახის ამოწყვეტა განიზრახა.⁹² ემინის ცნობით, შეთქმულება ეროვნებით სომეხმა დავითმა გასცა. იგი შეთქმულებთან ყოფილა შეკრული და მას შეთქმულების მიერ ხელმოწერილი წერილის ლეკებთან მიტანა ევალებოდა, რომლებიც საბუთით განსაზღვრულ დროს დაესხმებოდნენ თავს ერეკლე II-ს. დავალების შესრულების ნაცვლად, დავითმა წერილი მიუტანა მეფეს. ამის შემდეგ კი ერეკლემ, შეთქმულების მონაწილე დიდებულებთან ერთად, პაატა ბატონიშვილიც იხმო თავის სასახლეში.⁹³ ემინის თხზულებაში ვკითხულობთ: "...The prince asking Pala⁹⁴, his uncle, how his heart could suffer him to write to the enemy, that he would destroy, with his hand, both his nephew and his children? He said, so he would have done; upon which he was immediately cut to pieces"⁹⁵ როგორც ამ მონაკვეთიდან ირკვევა, ერეკლე II-მ ბიძამისი დაუყოვნებლივ დასაჯა სიკვდილით. საგულისხმოა, რომ თავის თხზულებაში, 1765 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულ ცნობებს თეიმურაზ ბაგრატიონიც გვაწვდის და იოსებ ემინისგან განსხვავებით, ის შეთქმულებაში მონაწილე ქართველი დიდებულების ვინაობას ასახელებს. ესენი არიან: სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი და მისი ვაჟი ალექსანდრე ამილახვარი, აგრეთვე, ელიზბარ თაქთაქიშვილი და გლახა ციციშვილი.⁹⁶ ამასთან, 1765 წლის შეთქმულებაზე საუბრისას თეიმურაზ ბაგრატიონი არ ახსენებს ლეკებს, ხოლო ემინის ცნობებით, როგორც აღვნიშნეთ, შეთქმულებაში ლეკების პირდაპირი თანამონაწილეობა დგი-

91 Lang, *The Last years of the Georgian Monarchy 1658-1832*, 158.

92 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 276.

93 იქვე, 276-277.

94 ემინი თხზულებაში პაატა ბატონიშვილს მოიხსენიებს "Pala"-დ.

95 [...მეფე [ერეკლე II] ეკითხება ბიძამის პაატას, როგორ დაუშვა, რომ მტერს მისწერა, რომ ის თავისი ხელით გაანადგურებდა თავის ძმისშვილსა და მის [ერეკლეს] შვილებს? მან თქვა, რომ ასეც მოიქცეოდა, რის შემდეგაც ის [პაატა ბატონიშვილი] ნაწილებად აკუწეს...]. იქვე, 277.

96 ბაგრატიონი, ახალი ისტორია, 52.

ნდება. აღსანიშნავია, რომ 1765 წელს, შეთქმულების გამოვლენისა და დამნაშავეთა დასჯის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის ძალაუფლება გამყარდა და ამიერიდან დიდებულებს მონარქზე ზეწოლის განხორციელება აღარ უცდიათ.⁹⁷

საყურადღებოა, რომ ამ მოვლენებამდე რამდენიმე ხნით ადრე, როდესაც ემინი ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა, ლეკებმა იცოდნენ, რომ ემინი ერეკლეს მიერ იყო გაძევებული და მას ლეკების 12 000-იანი ლაშქრით ქართველებზე გალაშქრება შესთავაზეს.⁹⁸ ამ ლაშქრობაში ემინს მონაწილეობა არ მიუღია. იგი ამ მოვლენასთან დაკავშირებით წერს: "...being assured in their own minds that he was provoked, and would not be reconciled to Heraclius, though, in truth, he would not have changed one Georgian Christian for all the Mahometans in Asia, but continued a true Armenian"...⁹⁹ ამ მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ემინს მუსლიმების მიმართ, თუმცა ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან თხზულების ერთიანი სურათიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკუთარი ერის ყველა უბედურებას სწორედ მუსლიმებს უკავშირებს. არ არის გამორიცხული, რომ ლეკების ქართლ-კახეთის სამეფოზე გალაშქრება 1765 წლის შეთქმულებასთან იყოს დაკავშირებული.

ერეკლე II-ის ბრძოლა გავლენებისთვის

ქართლ-კახეთის სამეფოში დაბრუნებამდე ემინი სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ, სომხური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში მოგზაურობდა. საინტერესოა მისი შეხვედრა ეპისკოპოს ოვანთან, რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სიმეონ კათალიკოსმა მწვალებლობის ბრალდებით მალევე განკვეთა ეკლესიიდან. ემინისა და ოვანის საუბრიდან ირკვევა, რომ ამჯერად ეპისკოპოსი ერეკლე მეფესა და სიმეონ კათალიკოსზეა განრისხებული. მისი აზრით, ერეკლეს და სიმეონის გამოა, რომ დღემდე სომხებსა და ასირიელებზე მუსლიმები ბატონობენ და რომ სწორედ მათ ჩაშალეს რამდენიმე წლის წინ ემინის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების გათავისუფლებას.¹⁰⁰ ემინის თხზულებაში ოვანი ერთ საყურადღებო წინადადებას ამბობს: "...

97 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი II, 210.

98 Emin, *Life and Adventures of Emin Joseph Emin*, 259-260.

99 [...დარწმუნებულები იყვნენ [ლეკები], რომ მას [ემინს] პროვოკაცია მოუწყვეს და ის არ შეურიგდებოდა ერეკლეს, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ის ერთ ქრისტიან ქართველსაც კი არ გაცვლიდა ყველა აზიელ მუსლიმზე და ჭეშმარიტ სომეხად დარჩებოდა...]. იქვე, 260.

100 იქვე, 377.

Prince Heraclius's name is as great now as Nadir Shah's; if he would but have assisted our prince Emin with an hundred Georgians, an hundred thousand Curdistan Armenians would have joined him, besides as many Assyrians and Nestorians, who could easily have found money”.¹⁰¹ ეს მონაკვეთი კიდევ ერთხელ ადასტურებს ერეკლე II-ის დიდ ავტორიტეტს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის. აგრეთვე, იგი ადასტურებს ამ ხალხების თავისუფლებისთვის ბრძოლის მზაობას.

ემინის თხოვნების მიხედვით, 1767 წელს, მისი ქართლ-კახეთის სამეფოში დაბრუნებიდან მოკლე ხანში განჯის სახანოში პოლიტიკური კრიზისი იწყება. თხოვნება დეტალურ ცნობებს გვაწვდის ერეკლე II-ისა და განჯის ხანის, შავერდის დაპირისპირების შესახებ. ასევე, თხოვნების ეს მონაკვეთი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან განჯის სახანოში პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ ერეკლეს ლეკების ლაშქართან უწევს შებრძოლება. ამ საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით ემინი მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდის.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნადერ-შაჰის დაღუპვის შემდეგ ირანში შინაომები დაიწყო, რამაც სახელმწიფო დაასუსტა და იმჟამინდელი გავლენის სფეროები დააკარგვინა. სხვა აზიურ ტერიტორიებთან ერთად, ირანის გავლენის სფეროს სამხრეთ კავკასიაც წარმოადგენდა და შესაბამისად, მათ შორის იგულისხმებოდა ყარაბაღის ხუთი სამელიქოც, ე.წ. ხამსა. XVII-XIX საუკუნეებში თანამედროვე მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე არსებობდა ხუთი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეული – გულისტანის, დიძაკის, ვარანდის, ხაჩენისა და ჯრაბერდის სამელიქოები. თითოეულ მათგანს სხვადასხვა დაწინაურებული ოჯახი მართავდა.¹⁰² საგულისხმოა, რომ XIII-XVIII საუკუნეების კავკასიაში „მელიქი“ ფეოდალის თანამდებობას აღნიშნავდა. შაჰ აბას I-ის მმართველობისას კი მელიქები შაჰზე დამოკიდებული ფეოდალები იყვნენ.¹⁰³ განსხვავებით სხვა პოლიტიკური ერთეულებისგან 1750-იან წლებამდე ყარაბაღის სამელიქოებს არ ჰყავდათ ერთპიროვნული მმართველი, ამდენად თითოეული მელიქი დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარ სამელიქოს.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1748 წელს, როდესაც ფანა

101 [„...ერეკლე მეფის სახელი ახლა ისეთივე დიდია, როგორც ნადერ შაჰის; ის [ერეკლე მეფე] რომ ჩვენს უფლისწულ ემინს ასი ქართველით დახმარებოდა, ასი ათასი ქურთისტანელი სომეხი შეუერთდებოდა მას, გარდა იმდენი ასურელისა და ნესტორიანელისა, რომელთაც ადვილად შეეძლოთ ფულის მოძიება...“]. იქვე, 377-378.

102 Raffi, *The Five Melikdoms of Karabagh (1600-1827)* (London: Taderon Press, 2010), 1-2.

103 ალექსანდრე ბოშივილი, მელიქის სახელო საქართველოში (თბილისი: არტანუჯი, 2013), 5.

ალი-ხანი, ყარაბაღელი მელიქების ერთმანეთზე წაკიდების გზით, ყარაბაღის ერთპიროვნული მმართველი – ხანი გახდა. ამავე წელს ფანა ალი-ხანი, ირანის ახალმა მმართველმა ადილ-შაჰმა, ფორმალურად, ყარაბაღის ხანად დაამტკიცა. 1751-52 წლებში ფანა ალი-ხანმა დაასრულა შუშის ციხესიმაგრის მშენებლობა და ქალაქი შუშა ამიერიდან ყარაბაღის სახანოს ცენტრად გამოცხადდა.¹⁰⁴ რუსი ისტორიკოსი, პიოტრ ბუტკოვი (1775-1857)¹⁰⁵ აღნიშნავს, რომ ფანა ალი-ხანი თავიდანვე აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა და საკუთარი ძალაუფლების გაგრძელებას მეზობელ სახანოებზეც ცდილობდა. იგი 1749 წელს დაესხა თავს განჯის სახანოს, რის შემდეგაც განჯელებმა და ყარაბაღელმა სომხებმა დახმარებისთვის თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს მიმართეს.¹⁰⁶ ქართველები განჯისკენ ლაშქრით დაიძრნენ. მოახლოებული საშიშროების გამო ფანა ალი-ხანმა მოხსნა ქალაქ განჯის ალყა და ყარაბაღში გაბრუნდა. თეიმურაზი და ერეკლე საბრძოლველად ყარაბაღში გადავიდნენ და ფანა ალი-ხანი დაამარცხეს.¹⁰⁷ 1752 წელს განჯის მმართველმა, შავერდი-ხანმა თეიმურაზ მეფეს მასზე დაკისრებული ყოველწლიური ხარკის გადახდა შეუწყვიტა. ამის შედეგად თეიმურაზმა და ერეკლემ განჯის სახანოზე გაილაშქრეს. შავერდი-ხანს შაქის ხანი აჯი-ჩალაბი დაეხმარა და 1752 წლის 12 აპრილს გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამავე წლის 1 სექტემბერს თეიმურაზმა კვლავ გაილაშქრა განჯის სახანოზე. ამჯერად შავერდი ხანი და მისი მოკავშირეები, შაქის ხანი აჯი-ჩალაბი და მისი ვაჟი ალა-ქიში, დამარცხდნენ.¹⁰⁸ თულქითეფეს ბრძოლასთან დაკავშირებით ცნობებს თეიმურაზ ბაგრატიონიც გვაწვდის და აღნიშნავს, რომ განჯისა და შაქის სახანოების წინააღმდეგ ბრძოლაში თეიმურაზს ჩერქეზები დაეხმარნენ.¹⁰⁹ აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ თულქითეფეს ბრძოლასთან დაკავშირებით დეტალურ ცნობებს გვაწვდის ქართველი მემკვიდრე პაპუნა ორბელიანი. მისი საისტორიო თხზულების მიხედვით, ერეკლე მეფის აჯი-ჩალაბთან დამარცხების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოში კრიტიკული ვითარება იყო. იმ დროს, როდესაც ერეკლე ჩერქეზებთან აწარმოებდა მოლაპარაკე-

104 Eldar Ismailov, “The Khans of Karabakh: The Roots, Subordination to the Russian empire, and Liquidation of the Khanate”, *The Caucasus & Globalization*, Vol. 8, issue 1-2 (2014): 132-134.

105 ვახტანგ გურული, მეფე ერეკლე და რუსეთი (თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2018), 10.

106 П. Г. Буткова, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, часть I* (Санкт-Петербург: Типография Академии наук, 1869), 237-238.

107 იქვე, 238.

108 იქვე, 239-240.

4 “გვალვა”: “ხოლო მეყვსეულად, შემდგომად ჭირისა მას მათ დღეთასა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოსცვივდიან ზეცითაც, და ძალნი ცათანი შეიძრნენ” (10); მათეს სახარება, 24:29: “ხოლო მეყსეულად, შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთამასა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოცვივენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ” – “სახარებაჲ მათჴს თავისაჲ”, წგ-ში: *ძველი ქართული ახალი აღთქუმაჲ სქოლიოებით*, გვ. 104 (ზღრ. მარკოზის სახარება, 13:24-25 – “სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ”, იქვე, გვ. 136-137).

5 “ვინ დაწერა? – ანდრია სალოსმა” (9) – როგორც ჩანს, იგულისხმება ეგრეთ წოდებული “ანდრიას აპოკალიფსი”, რომელიც “წმიდა ანდრია სალოსის ცხოვრების” შემადგენელი ნაწილია (დაწერილია დაახლოებით მეათე საუკუნეში); ბერძნული ტექსტი და გამოკვლევა მის შესახებ: *The Life of St. Andrew the Fool*, Edited by L. Rydén, Uppsala, Vol. 1-2, 1995; ტექსტის ქართული ვერსიების შესახებ: ენრიკო გაბიდაშვილი, *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია*, თბ., 2004, გვ. 135-136.

სობა შესაძლო სიახლეთაგან სასიკეთოს არაფერს ელის, რაკი სიახლე, სავსებით შესაძლებელია, ნიშნავდეს მომაკვდინებელ საფრთხეს, სიკვდილს, განადგურებას⁶, ამავე დროს, ზოგიერთ იქაურთა – განსაკუთრებით, განათლებულთა და ახალგაზრდათა – შორის დასადგურებულა განწყობა, რომ ქვეყანა უნდა გარდაიქმნას და რწმენა, რომ, მათი თუ მათნაირთა მოწადინებით, მალე გარდაიქმნება კიდევც.

შესაბამისად, მოთხრობის პერსონაჟები უმთავრესად იყოფა ორ ნაწილად: ერთი მხრივ, რელიგიური განწყობით გამსჭვალული გლეხები, რომლებიც უცდიან აპოკალიფსურ მომავალს, ხოლო, მეორე მხრივ, მათივე თანასოფლელები, რევოლუციური სულისკვეთების პირები (მასწავლებელი, ექიმი, სტუდენტები), რომლებიც აპირებენ დამკვიდრებული წეს-წყობილების შეცვლას, ძალადობრივ დამხობას და ემზადებიან ახალი წესრიგის დასამყარებლად.

სოფლის მასწავლებელი, მიხა წეროძე, და ახალგაზრდობა მოელიან იმგვარ მერმისს, როცა “მშრომელთა” ერთობლივი მმართველობის შედეგად საყოველთაო თანასწორობა დადგინდება: “უთანასწორობა გაქრება, როდესაც მშრომელი ხალხი თვითონ მოჰკიდებს ხელს თავისი ცხოვრების მართვასა და აშენებას!” (25). მემამბოხეთა შეხედულებით, მათი სანუკვარი მიზნის მისაღწევად, – ადამიანთა გასათანაბრებლად, – საჭიროა ძალაუფლების მოპოვება, რადგან ყველა შეძლებულსა და მესაკუთრეს ქონება “ძალით უნდა წაართვა” (26). ამგვარი მისწრაფების ადამიანებს ქრისტიანული რელიგია დაბრკოლებად მიაჩნიათ მათი მიზნებისათვის, რაკი თვით იესო ქრისტემაც “არ მოსპო უთანასწორობა [...]. იგი თვლიდა, რომ მდიდრებისა და ღარიბების არსებობის გარეშე ქვეყანა წარმოუდგენელია” (25). თვალსაჩინოა, რომ მათთვის მიუღებელია სარწმუნოება არა მარტო თავისი გამოვლენის სახით, არამედ თავისი არსითაც:

ჩვენი ახალგაზრდობა ღმერთის არსებობას უარჰყოფს. სარწმუნოება ზღაპრად მიაჩნია მას. იგი ამტკიცებს, რომ ღმერთს არ შეუქმნია ქვეყანა, რომ ადამიანია მეფე ბუნებისა, რომ იგი თვითონ არის ღმერთი... (24).

თავის მხრივ, ქრისტიანობას, ან, უფრო ზუსტად, იმდროინდელ ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ-იმპერიულ ეკლესიას მოთხრობაში წარმოადგენს ხანშიშესული კარისმერეთელი დეკანოზი იაკობ ფხაკაძე, წიგნიერი და გამჭრიახი მღვდელი, რომელიც თავის გარემოში არც საზოგადო-სასულიერო გავლენას მოისაკლისებს: “ფხაკაძე გა-

6 რუსეთის იმპერიაში გავრცელებულ აპოკალიფსურ განწყობათა და მათი წარმოშობისა თუ წინამორბედების შესახებ: J. Eugene Clay, “Apocalypticism in Eastern Europe”, in: *The Encyclopedia of Apocalypticism*, Vol. 3: Apocalypticism in the Modern Period and the Contemporary Age, New York/London: Continuum, 2000, p. 293-321.

ნათლებული კაცი იყო. მას კიევის სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და ეპისკოპოსის ტოლ კაცს უწოდებდნენ” (14). თუმცა მისი შინაგანი ცხოვრება სრულებით განსხვავდება იმისაგან, როგორადაც იგი საკუთარ თავს აჩვენებს ან როგორც მას სხვები ხედავენ: გარდა იმისა, რომ დეკანოზი მთლიანად დაცლილია ზნეობრივი მუხრუჭებისაგან, მას უარყოფილი აქვს პირადი სარწმუნოებაც (“იაკობ ფხაკაძე ორპირი, ურწმუნო და ეშმაკი კაცი იყო” – 15), მაგრამ ამის შესახებ არაფერი იციან მისმა თანასოფლელებმა და ირგვლივ მყოფთა შორის მას აღმატებული სახელი, სულიერი ავტორიტეტი მოუპოვებია (“ლამაზ და წარმოსადეგ მოხუცს ხალხი წმინდანს უწოდებდა” – 15). თავის ნამდვილ ცხოვრებას კი ფხაკაძე საკუთარი “ათი მცნებით” წარმართავს, რომელსაც სავსებით ეშმაკისეული შინაარსი და მოწოდება აქვს (თუმცა მწერალი მას “იეზუიტურ სიბრძნის კოდექსს” არქმევს⁷).

მოთხრობაში ცხადად ჩანს, თუ რამდენად მოხერხებულად იყენებს ეს სამღვდელო პირი, ერთი მხრივ, სხვათა რელიგიურ განწყობებს და, მეორე მხრივ, საკუთარ ცოდნასა თუ უნარებს ადამიანების სამართავად და მათზე ძალაუფლების დასამყარებლად. ამ მიზანსწრაფვის ხორცშესასხმელად მას სწორედ სათანადო დროდ მიაჩნია გვალვა, სოფელში წარმოქმნილი ვითარება და, შესაბამისად, თანასოფელთა აპოკალიფსური მოლოდინები. რაკი დეკანოზმა, მეცნიერული ცოდნის საფუძველზე (გიმნაზიის დირექტორის დახმარებით, – კერძოდ, ბარომეტრის საშუალებით), ზუსტად იცის, თუ რომელ დღეს მოვა წვიმა, მას შესაძლებლობა აქვს, თავისი ეს ცოდნა გამოიყენოს იმისათვის, რათა ჩვეულებრივი, ბუნებისმიერი მოვლენა სასწაულად გამოაცხადოს. ფხაკაძეს მიაჩნია, რომ იმისათვის, რათა ხალხმა არ დაკარგოს სარწმუნოება, ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ ნდობა, აუცილებელია ამ ხალხის დაჯერება, რომ მოხდა ზებუნებრივი რამ, ღმრთაებრივი ძალის ჩარევა ყოფითობის ბუნებრივ მდინარებაში, – სასწაული: მისი სიტყვებით, “რწმენა სასწაულის გარეშე შეუძლებელია!” (16), “რწმენა სასწაულის გარეშე არ არსებობს” (17), ხოლო მისი თანამოსაუბრე და თანამოაზრე, გიმნაზიის დირექტორი, ალექსი ქვარიანი, ადასტურებს, რომ “სასწაული ათეისტსაც კი არწმუნებინებს ღმერთს” (16).

მღვდელმსახურს ნამდვილად სჯერა, რომ თავად ადამიანებს, – ტანჯვისა და უსასოობის პირობებში, – აუცილებლად სჭირდებათ რწმენა, რისი საფუძველიც უნდა გაამყაროს სასწაულმა:

7 კომუნისტურ-საბჭოთა იდეოლოგია ასე განმარტავდა სალექსიკონოდ იეზუიტს (გადატანითი მნიშვნელობით): “ფლიდი, ორპირი, ცბიერი ადამიანი”.

სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი ჩვენგან სასწაულს მოითხოვს. ხოლო როდესაც ეს გატანჯული, უმწუო ქმნილებები – ადამიანები შიშით არიან შეპყრობილნი, სწორედ მაშინ იქმნება საჭირო და მაღლიანი ნიადაგი რწმენისა და სასწაულისათვის (17).

ამგვარი შეხედულება მტკიცედ აქვთ გამჯდარი ეკლესიის სხვა მსახურთაც, – ამიტომაც დეკანოზის ორი თანამსახური, მღვდლები მარკოზი და პლატონი, ამგვარივე დარწმუნებით აცხადებენ:

- ხალხი სასწაულს მოითხოვს.
- სასწაული თუ არ მოხდა, ეკლესია უნდა დაგხუროთ (18).

მაგრამ რადგან მღვდლები მიწიერი არსებანი არიან, ხოლო მიწიერი არსებანი დამოუკიდებლად ვერასოდეს მოახდენენ სასწაულს, ფხაკაძეს მიაჩნია, რომ სასულიერო პირები იძულებული ხდებიან, თაღლითობის გზით მოატყუონ და დააჯერონ ადამიანები.

დედამიწაზე ქრისტეს ნაცვალნი, მისი მმოსავნი და მსახურნი ეკლესიისა, მოკლებულნი იყვნენ სასწაულის მოხდენის საშუალებას. [...] მათ მოატყუეს ხალხი და ღმერთისადმი ადამიანთა რწმენა საიდუმლოებაზე, სასწაულზე და ავტორიტეტზე დააფუძნეს. დაჰკარგეს რა საშუალება და უფლება სასწაულის მოხდენისა, ისინი იძულებული გახდნენ მიემართათ ტყუილისა, ხერხისა და ცბიერებისათვის... ამას ჩავდივართ ჩვენც! – თქვა დეკანოზმა (18).

ამდენად, დეკანოზ ფხაკაძის განცხადებით, რწმენა ეფუძნება საიდუმლოებას, სასწაულსა და ავტორიტეტს.

ამ მზაკვრული თვალსაზრისით, რაკი ადამიანების სამართავად აუცილებელია სასწაულის ჩვენება, ხოლო სასწაულის მოხდენა კი აღემატება ბუნებრივ ადამიანურ უნარებს, ამიტომ გარდაუვალია, ამოქმედდეს სიცრუე (“ტყუილი”), რომლით სარგებლობისათვის საჭირო ხდება მოხერხება, ცოდნა, უნარი (“ხერხი”), მაგრამ სიყალბის მოხმარებისას ხელისშემშლელ დაბრკოლებად არ უნდა აღმოჩნდეს პატიოსნება, ანუ ადვილად უნდა იქნეს გამოყენებული თვალთმაქცობა თუ თაღლითობა (“ცბიერება”). ამავე დროს, ტყუილი, მიწოდებული სასწაულის სახით, სარწმუნო ხდება ავტორიტეტის ძალით, რომელიც საბოლოო სიმყარეს ანიჭებს ამ სასწაულს, მაგრამ ეს მოვლენა, რომლის წყარო და საფუძველი უმეტესწილად სრულიად ბუნებრივია, არ უნდა აიხსნას, ხოლო მისი წარმოშობა უნდა დარჩეს დაფარული, დამალული, იდუმალი, ანუ არ უნდა გამოჟღავნდეს, რომ ის ემყარება ტყუილს, ხერხსა და ცბიერებას. შემდგომ, თავის მხრივ, სასწაულის დაჯერებას შედეგად მოჰყვება სარწმუნოების წარმომადგენელთა ავტორიტეტის გაძლიერება, რასაც ემყარება ძალაუფლება.

რამდენადაც იაკობ ფხაკაძე წინასწარ ფლობდა ცოდნას, – მოპოვებულს მექანიკური აპარატის გამოყენებით, – რაც სხვებს არ მოეხსენებოდათ (“ეს წვიმა და ღრუბლები ადგილობრივი წარმოშობისა იყო, ხვალ ისევ გვალვიანი დღე გათენდება” – 23), მას საშუალება მიეცა, წმიდა გიორგის ხატის გამოსვენებისა და მის წინაშე ლოცვა-ლიტანიის ჩატარების შემდეგ უცებ წამოსული წვიმა გამოეცხადებინა სასწაულად, რომელიც უეჭველად ირწმუნა მრევლმა. ხოლო შემდგომ, როცა წვიმა მალევე შეწყდა და ირგვლივ ისევ გვალვამ დაისადგურა, ხელახლა მობრუნებული განსაცდელი აიხსნა იმგვარად, რომ ის იყო შედეგი იმ ცოდვისა, რომელიც ეკლესიის გატეხით ჩაიდინეს ყაჩაღებმა, რაც თავად დეკანოზის მიერ იყო წინასწარ დაგეგმილი. ამდენად, გვალვის დაბრუნებაც შეფასდა სასწაულად, რადგანაც ის მიჩნეული იქნა სასჯელად ჩადენილი მკრეხელობის გამო. მღვდელმსახურის მზაკვრული ჩანაფიქრი საგულდაგულოდ იყო გათვლილი და დაგეგმილი:

განა არ შეიძლება ხალხის დარწმუნება, რომ ახალგაზრდობის უზენოობის, ღვთის შეგინების, გაუგონარი მკრეხელობისა და ეკლესიის გაძარცვის სურვილის გამო, წმინდა გიორგი განრისხდა და უბრძანა ღრუბლებს, გაბნეულიყვნენ?.. (23).

რაც შეეხება რევოლუციური განწყობისა და მოლოდინის ახალგაზრდებს, მათ მყარად სჯერათ, რომ მალე, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შედეგად, ისინი სასწაულის საცდურისაგან გაათავისუფლებენ ადამიანებს, რომელთა აუცილებელი გამოფხიზლების შემდეგ რელიგიური ბანგისაგან (რელიგიის მარქსისტული განმარტების მიხედვით) გაუძღვებიან მათ, ხოლო ისინი – ახალი წინამძღოლნი – სანუკვარ ძალაუფლებას მოიპოვებენ:

მალე იგრიალებს ქარიშხალი, ძველ კერპებს დაამხობს და ხალხი აღარ დაუჯერებს სასწაულებს. ისინი თავს დააღწევენ რელიგიურ თრობას და ჩვენ გამოგვყვებიან, ახალი და ნორჩი დასჯაბნის ძველს! (22).

მანამდე კი, სასწაული, რომელიც თავისი არსით იღუმალია, რადგან მისი ბუნებრივი ახსნა გლახებს შეუძლებლად მიაჩნიათ თავიანთი უცოდინარობის გამო, საშუალებას აძლევს დეკანოზ იაკობ ფხაკაძეს, არაფერი ემოქრებოდეს მის ავტორიტეტს, რაც მას უქმნის შესაძლებლობას, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება.

როგორც ჩანს, ალექსანდრე ქუთათელის “გვალვის” ეს პერსონაჟი, რომელიც აცხადებს, რომ სარწმუნოება დაფუძნებულია “საიდუმლოებაზე, სასწაულზე და ავტორიტეტზე” (18), მისდევს რელიგიის იმგვარ გაგებას, როგორსაც ემყარება დიდი ინკვიზიტორი, – მოქმედი პირი

ფიოდორ დოსტოევსკის (1821-1881) რომანიდან “ძმები კარამაზოვები” (“Братья Карамазовы”, 1880).

ესპანელი ინკვიზიტორი რომანში მონაწილეობს არა უშუალოდ, – იგი ჩნდება მხოლოდ წიგნში ჩართულ ზეპირ მოთხრობაში თუ იგავში (“პოემაში”), რომლის ავტორობა მიეწერება ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს, ღმრთისმებრძოლსა და, ამასთანავე, ღმრთისმადიებელს, ივან კარამაზოვს, რომელიც მის მიერ შეთხზულ ამ ამბავს დუქანში უყვება თავის ძმას, მონასტრის მორჩილს, ღრმად მორწმუნე ახალგაზრდა ალექსეი კარამაზოვს, ალიოშას.

ამ “პოემის” მიხედვით, ქვეყნად ხელახლა მოსული იესო ქრისტე, – მოქმედება ხდება სევილიაში, ესპანეთში, მეთექვსმეტე საუკუნეში, – ინკვიზიციის ციხეში აღმოჩნდება ქალაქში გაშლილი საქმიანობის გამო, რაც ისევ ადამიანების მიმართ უსაზღვრო სიყვარულსა და სასწაულებრივ სამსახურში – სწეულთა გამოჯანმრთელებასა და მკვდართა გაცოცხლებაში – გამოიხატა. სიკვდილით მოსალოდნელ დასჯამდე მას საკანში სასაუბროდ ესტუმრება ღრმად მოხუცი დიდი ინკვიზიტორი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იესო მხოლოდ უსმენს ინკვიზიტორის ხანგრძლივ მონოლოგს და არ აპირებს, პასუხი გასცეს მას. საბოლოოდ, ქრისტე უხმოდ აკოცებს მოხუცს, რომელიც გაუღებს მას დილეგის კარს და მოითხოვს მისგან, არასოდეს დაუბრუნდეს ადამიანებს.

მთავარი საყვედური, რასაც ინკვიზიტორი წარუდგენს იესოს, ისაა, რომ მან ადამიანებს მიანიჭა თავისუფლება, რითაც მათთვის სრულიადაც არ მოუტანია ბედნიერება: “რადგან არაფერი და არასოდეს არ ყოფილა ადამიანისა და ადამიანური საზოგადოებისათვის უფრო აუტანელი, ვიდრე თავისუფლებაა”⁸.

იგი ცდილობს, აუხსნას ქრისტეს, თუ რა არის ადამიანთა ნამდვილი მოთხოვნილება და რა სჭირდებათ მათ ბედნიერების განსაცდელად: რომ ადამიანმა უნდა დაძლიოს შიმშილი, დაპურდეს, ხოლო ამისათვის იგი თანახმაა, უარი თქვას თავისუფლებაზე, რადგან თავისუფალი ადამიანი ვერასოდეს გაძლება. კიდევ, ადამიანს სჭირდება არსება, რომელსაც უნდა ეთაყვანებოდეს და ენდობოდეს (მაგრამ არა მარტოხელად, არამედ სხვებთან ერთად, ერთობლივად), რომლის ნება-სურვილსაც უნდა ასრულებდეს და რომლის იმედიც მას უნდა ჰქონდეს, – უნდა სჯეროდეს, რომ იგი მფარველობას აღმოუჩენს ყოველგვარი განსაცდელისას. სწორედ ამისათვის არიან საგანგებო პირები, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, რათა ადამიანები უზრუნველყონ საკვებით, განცხრომითა და უსაფრთხოებით.

8 Ф. М. Достоевский, “Братья Карамазовы”, в кн.: Ф. М. Достоевский, *Полное собрание сочинений*: в тридцати томах, Том XIV, Ленинград: Наука, 1976, с. 230.

დიდი ინკვიზიტორი არწმუნებს იესოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია მორწმუნეთა რელიგიურ ცხოვრებაში და, ასევე, ადამიანთა მართვის საქმეში სასწაული, რომელსაც უპირატესობაც კი ენიჭება ღმრთის აღიარებასთან შედარებით: “როგორც კი ადამიანი უარყოფს სასწაულს, უმაღლეს უარყოფს ღმერთსაც, რადგან ადამიანი ეძებს არა იმდენად ღმერთს, რამდენადაც სასწაულს”⁹.

მაგრამ ამჯერადაც, სასწაული ემყარება ტყუილს, სიცრუეს, ხოლო იგი, ვინც მას იყენებს ძალაუფლების დასამყარებლად და გასამყარებლად, სარგებლობს ადამიანთა უცოდინარობით:

ჩვენ დავთანხმდებით, ავიტანოთ თავისუფლება და ვიბატონოთ მათზე, – ბოლოს იმდენად საშინელი გახდება მათთვის თავისუფლად ყოფნა. მაგრამ მათ ვეტყვით, რომ შენი მორჩილი ვართ და შენი სახელით ვბატონობთ. ისევ მოვატყუებთ მათ, [...] რადგან ჩვენ უნდა ვიცრუოთ¹⁰.

ამდენად, ადამიანების დასამორჩილებლად და მათი მხრივ ერთგულების გასამყარებლად მმართველები უნდა იყენებდნენ სასწაულს, დაფუძნებულს ტყუილზე, რაც, რა თქმა უნდა, ადამიანების ცხოვრებიდან გამორიცხავს თავისუფლებასა და არჩევანს:

არსებობს სამი ძალა, ერთადერთი სამი ძალა ამ ქვეყნად, რომელთაც შეუძლია სამუდამოდ გაიმარჯვოს და დაიმონოს ამ სუსტი ნებისყოფის ამბოხებულთა სინდისი, – მათი ბედნიერებისათვის. ეს ძალებია: სასწაული, საიდუმლოება და ავტორიტეტი¹¹.

დიდი ინკვიზიტორი ასე აღუწერს ამ მმართველთა საქმიანობას, მიზანსა და ხერხებს საუკუნეების განმავლობაში:

ჩვენ ნება გვქონდა, გვექადაგა საიდუმლო და გვესწავლებინა მათთვის, რომ მნიშვნელოვანია არა მათი გულების თავისუფალი გადაწყვეტილება და არც სიყვარული, არამედ საიდუმლო, რომელსაც ისინი ბრმად უნდა დაემორჩილონ, თვით მათი სინდისის მიღმა. ჩვენ ასეც მოვიქეციით. ჩვენ შევასწორეთ შენი თავდადება და დავაფუძნეთ ის სასწაულზე, საიდუმლოებაზე, ავტორიტეტზე. და ადამიანებს გაუხარდათ, რომ მათ კვლავ გაუძღვნენ როგორც ფარას და რომ მათი გულებიდან საბოლოოდ მოიხსნა აგრერიგად საშინელი ძღვენი, რამაც მათ ამდენი ტანჯვა მოუტანა¹².

9 იქვე, c. 233.

10 იქვე, c. 231.

11 იქვე, c. 232.

12 იქვე, c. 234.

თვალსაჩინოა, რომ სულიერ ცხოვრებას ენაცვლება სასწაული, ჭეშმარიტებას – საიდუმლოება, ხოლო თავისუფლებას – ავტორიტეტი.

ცხადია, რომ დიდმა ინკვიზიტორმა, მისმა მიმდევრებმა რელიგიის სახელით უარი თქვეს რელიგიაზე, ქრისტეს სახელით უარყვეს ქრისტე...

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ქუთათელის მოთხრობაში “გვალვა” დეკანოზ იაკობ ფხაკაძის მსჯელობა საიდუმლოების, სასწაულისა და ავტორიტეტის ირგვლივ ეფუძნება დოსტოევსკის “პომეას” დიდი ინკვიზიტორის შესახებ, რომელიც ცალკე თავადაა ჩართული რომანში “ძმები კარამაზოვები”.

ოლონდ უნდა დაზუსტდეს, რომ ის, რასაც დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი ნაწარმოებში მხოლოდ განსჯის საგნად აქცევს (თუმცა, სავარაუდოდ, ამ წესითვე ცხოვრობს და, საფიქრებელია, ამგვარადვე წარმართავს თანამოქალაქეთა ყოფას, მაგრამ რომანის მკითხველი მოვლენათა აღწერას ვერ ხედავს), დეკანოზი იაკობ ფხაკაძე ყოველდღიურ გარემოში – კარისმერეთის მოსახლეობას შორის – განახორციელებს დაუბრკოლებლად და შეუეჭვებლად.

მართალია, “ძმები კარამაზოვების” ეს მონაკვეთი მისი გამოქვეყნების დროიდანვე იპყრობდა მკითხველთა, მწერალთა, ლიტერატურის მკვლევართა, ფილოსოფოსთა თუ თეოლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას, ხოლო ამგვარ გამომხმაურებათა რიცხვი ნამდვილად დაუთვლელია, მაინც პირველი, ვინც საგანგებო ყურადღება მიაპყრო “ლეგენდას დიდ ინკვიზიტორის შესახებ” და საგანგებო წიგნი მიუძღვნა მას, იყო ვასილი როზანოვი (1856-1919). მისი მოზრდილი ნაშრომი – “ფ. მ. დოსტოევსკის ლეგენდა დიდი ინკვიზიტორის შესახებ” (“Легенда о Великом инквизиторе Ф. М. Достоевского”, 1894)¹³ – ავტორის სიცოცხლეში არაერთხელ გამოქვეყნდა (ბოლოს 1906 წელს).

ფაქტობრივად, ამ წიგნმა, რომელშიც გადმოცემულია “პომეის” სავსებით ახლებური და უჩვეულო ინტერპრეტაცია, სათავე დაუდო არა მარტო როზანოვის საჯარო აღიარებას, არამედ სახელი გაუთქვა რომანის ამ ჩართულ მონაკვეთსაც და ის ხანგრძლივ სამსჯელო საგნად აქცია.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომში დოსტოევსკისეული ლეგენდა ავტორმა მჭიდროდ დაუკავშირა აპოკალიფსურ განწყობებს და საკუთარი ტექსტი დატვირთა არაერთი დამოწმებით იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებიდან.

13 В. В. Розанов, “Легенда о Великом инквизиторе Ф. М. Достоевского”, в кн.: В. В. Розанов, *Полное собрание сочинений*: в 35 томах, Том 1, Санкт-Петербург: Росток, 2014, с. 13-162.

როზანოვის სიტყვებით, ისტორიული გარდატეხის ხანაში ადამიანი განსაკუთრებით მგრძობიარეა სასწაულის მიმართ და დაძაბული ელოდება მას:

ულმრობის ხანაში ადამიანებს ყური აქვთ მიპყრობილი ყოველივე უჩვეულოს, განსაკუთრებულის მიმართ, იმის მიმართ, სადაც დარღვეული ჩანს ბუნების კანონი. შეიძლება ითქვას, ამგვარ დროს არაფერს ეძებენ ისეთი მონდომებით, როგორც სწორედ სასწაულებრივს¹⁴.

უნდა ითქვას, სულაც არაა გამორიცხული, რომ ვასილი როზანოვის ამ გახმაურებულ ნაშრომს, დოსტოევსკისეული ლეგენდის როზანოვისეულ ინტერპრეტაციას იცნობდა ალექსანდრე ქუთათელი და, შესაძლოა, – პირველწყაროს, ანუ თავად რომანის გარდა, – სწორედ ამ წიგნის გამოძახილი შეიმჩნეოდეს “გვალვის” ავტორის მიერ ინკვიზიტორის, როგორც პერსონაჟის, აღთქმისას და დეკანოზ ფხაკადის სახის ჩამოყალიბებისას. ცნობილია, რომ როზანოვმა, ზოგადად, და ამ წიგნმა, კერძოდ, შესამჩნევი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის მოდერნისტულ კულტურაზე და, საფიქრებელია, არც ამ ეპოქის ქართველი მწერლებისათვის უნდა დარჩენილიყო უცნობი¹⁵.

“გვალვის” მოქმედი პირი, დეკანოზი იაკობ ფხაკადე, დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის კვალად, თავისი ცოდნის საშუალებით, – რომელსაც სასწაულად წარმოადგენდა, – აპირებდა ადამიანების მართვას, ძალაუფლების შენარჩუნებასა და ეკლესიის მიმართ მათი ერთგულების გამყარებას. თუმცა, საბოლოოდ, მისი მცდელობა და საქმიანობა მაინც უშედეგოდ დამთავრდა...

მოთხრობის მოკლე ეპილოგში, რომლითაც მთავრდება ნაწარმოების ბოლო გამოქვეყნებული ავტორისეული ვერსია (1974), ხელისუფლების მოპოვებისათვის მეზობლ მოჯანყებებისათვის მიუღწევიათ და ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა დამკვიდრებულა: “ძალაუფლებაც და მიწაც აჯანყებულ ხალხის ხელში გადავიდა” (26), თავად ეს მოვლენა კი სასწაულს უტოლდება (“რაც მათ წინათ სასწაულად მოეჩვენებოდათ” – 26). ნიშანდობლივია თავად მემამბოხეთა მოლოდინი ადრეული ბრძოლისას, რომ სასწაული გაუქმდებოდა (“ხალხი აღარ დაუჯერებს სასწაულებს” – 22) და ხალხი რევოლუციონერებს გაჰყვებოდა. ახლა კი სასწაულის ადგილი დაუკავებია იმდროინდელ ტექნოლოგიურ ცოდნას (იგულისხმება “გლეხების მიერ გაშენებული სარწყავი არხი” – 26), რამაც გვალვი-

14 В. В. Розанов, “Легенда о Великом инквизиторе Ф. М. Достоевского”, с. 88.

15 ალექსანდრე ქუთათელის უმცროსი თანამედროვის, აკაკი გაწერელიას, დამოკიდებულების შესახებ ვასილი როზანოვის მიმართ: მერაბ ლალანიძე, “ვასილი როზანოვი ქრისტიანობის გალავანს მიღმა”, წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში*, თბ.: მემკვიდრეობა, 2011, გვ. 418.

საგან დაიხსნა კარისმერეთელები და რასაც, როგორც ჩანს, შიმშილის საფრთხისაგან გადარჩენა და ადამიანების დაპურება მოჰყოლია (ადრე ტექნოლოგიურ ცოდნას მხოლოდ დეკანოზი ფხაკაძე ფლობდა). ამ დროს უკვე აღარავინ ელოდება რელიგიურ სასწაულს, ანუ ხსნას, მოტანილს სიწმიდის თაყვანისცემის საშუალებით: “გვალვის დროს ლიტანია, წმინდა გიორგის ხატის გასვენება და მისი განბანა დღეს არავის აზრადაც არ მოუვა” (26). შესაბამისად, მწერლის დასკვნითი განაცხადით, ბოლშევიკების ბატონობისას სასწაულის საჭიროება გამქრალა, ხოლო ადამიანთა აპოკალიფსური მოლოდინები გაქარწყლებულა და გაუჩინარებულა.

მაგრამ ის, რაც მოთხრობაში ბუნდოვნად ჩანს, – თუ როგორ ჩანაცვლა რელიგია და ეკლესია მარქსისტულ-ლენინურმა სწავლებამ, – ცხადად აღბეჭდილა მწერლის ფარულ პირად ჩანაწერებში, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალებისა და კომუნიზმის დაცემის შემდეგ გამოქვეყნდა:

რელიგიის ადგილი ამქვეყნად იდეალური საზოგადოების, კომუნიზმის შექმნის შესახებ მარქსისტულმა მოძღვრებამ დაიკავა. მარქსის გარდაცვალების მერმე ლენინი მარქსის (მამის) მემკვიდრედ (შვილად) მიიჩნის. [...] მარქსისა და ლენინის მოძღვრებამ ყველგან – დასავლეთსა და აღმოსავლეთში მოიკიდა ფეხი. მაგრამ რუსეთში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ნახევარსაუკუნოვანმა განუხორციელებელმა ექსპერიმენტმა, რომელმაც მრავალი მილიონი კაცი, ზღვა სისხლი და ცრემლი შეიწირა, შეარყია ლენინის მოძღვრებისადმი რწმენა¹⁶.

კომუნისტური იდეოლოგიაც რწმენას ითხოვდა, მაგრამ თუკი მას, – მოძღვრებას მიწიერი “სამოთხისა” და საყოველთაო თანასწორობის შესახებ, – ადამიანებისათვის სულაც არ მოაქვს უზრუნველობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების განცდა, ეს მოძღვრება მალე კარგავს მიმდევრებს.

ამავე დროს, ალექსანდრე ქუთათელს გულწრფელად მიაჩნდა, რომ როგორც რელიგიური რწმენა, ისე რელიგიის მიბაძვით შექმნილი ნებისმიერი მოძღვრება უცხო იყო, საზოგადოდ, ქართველი ადამიანისათვის. მას ქართული საჯარო თუ კულტურული გარემო ბუნებრივად და სიღრმისეულად არარელიგიურად მიაჩნდა. პროზაიკოსის ერთ სტატიაში, რომელიც კერძო ლიტერატურულ თარიღს, – ნიკოლოზ ბართაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავს, – ეძღვნება (1945), იგი ამგვარად მსჯელობს ქართველი ადამიანების ხასიათისა თუ მისწრაფებათა შესახებ:

¹⁶ ალექსანდრე ქუთათელი, *უბის წიგნაკი*, თბ.: ლიტერატურის მატრიცა, 2009, გვ. 32-33.

ქართველი თავისი ხასიათით ოპტიმისტია, მოქმედი, მეზრდოლი, გამბედავი და მხიარული ბუნების მქონე. [...] იგი ცხოვრებას აღმერთებს, სიკვდილის ეშინია. მას საიქიო და სულის უკვდავება არ სწამს. იგი წარმართია უფრო, ვიდრე ქრისტიანი. [...] იგი მატერიალისტი უფროა, ვიდრე იდეალისტი¹⁷.

ამ თვალსაზრისით, თუკი ადამიანი ცხოვრების მოყვარული, მხიარული და უშიშარია, მაშინ მას არ სწამს, რომ არსებობს არამიწიერი ცხოვრება, თუმცა – უცნაურად – შიშითაა მოცული სიკვდილის წინაშე. იმდროინდელი მკაფიო ტერმინოლოგიური გამიჯვნის კვალობაზე, ქუთათელი ქართველ ადამიანებს მატერიალისტური – და არა იდეალისტური – ხედვის მქონეთა შორის მიუჩენს ადგილს. მწერალს მიაჩნია, რომ შესაძლებელია დასკვნების გაკეთება ეროვნული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ზოგადად თვისებებზე, ცალკეული პიროვნული გამორჩეულობისა თუ გამოყოფა-გამოკვეთის გარეშე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხალხი, – კერძოდ, ამ შემთხვევისას, ქართველი ხალხი, – მოთხრობაში “გვალვა” გამოყვანილია, როგორც უძველესი და უწყვეტი მთლიანობის მატარებელი ერთიანობა, კოლექტივი, რომლის არსებობა ქალდეასა თუ ხეთების დროიდან იღებს სათავეს და ისევ აგრძელებს არსებობას: “ეს ხალხი ქალდეადან, ხეთიდან მოდიოდა, მოვიდა და არ უჩანს დასასრული ხალხთა მოდგმის სვლას...” (19). სავარაუდოდ, ამ აღწერისას არეკლილი უნდა იყოს მწერლისდროინდელი გავრცელებული თვალსაზრისები, – საკმაოდ ფართოდ გაზიარებული საისტორიო-სალიტერატურო-სახელოვნო წრეებში და ნიშნულად, ხშირად მითოლოგიზებულად ასახული სხვადასხვა ლიტერატურულ ტექსტში, – ქართველი ხალხის წარმოშობისა და მისი პრეისტორიის შესახებ¹⁸. ჩანს, ავტორს მტკიცედ სჯერა, რომ ისინი, ვინც აღმოსავლეთის უდაბნოები გამოიარა, ვინც საუკუნეების განმავლობაში აშენებდა თუ იბრძოდა, არ გამწყდარა და მის დროსაც, მის გვერდით ის ადამიანებია, ვინც “კვლავ ხნავენ მიწას, სთესავენ პურს, აშენებენ ვაზს, საწნახლებში სწურავენ ყურძენს, მიწაში ჰყრიან ვეება ქვევრებს... ისმის ჰოროველა, ნადური, მხედრული, მრავალყამიერი და საარაკო ცეკვა-თამაში” (19). პროზაიკოსის აზრით, ერის არსებობა მთლიანი და განუყოფელია, მისი ყოფნა არასოდეს მთავრდება, ხოლო რელიგიური რწმენა მაინც წარმავალი, დროებითი, მბჟუტავია, და ერთ დღეს ის აუცილებლად გაქრება, მით უმეტეს, ქართველებს

17 ალექსანდრე ქუთათელი, “რამდენიმე მოსაზრება ბარათაშვილზე”, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 15 (68), 1945 (მითითებულია წგ-დან: აკაკი ბაქრაძე, *თხზულებანი*, ტომი III, თბ.: ნეკერი/ლომისი, 2004, გვ. 323).

18 ამ თეორიათა ქართულ ლიტერატურაში ასახვის მხატვრულად განხილვა: როსტომ ჩხეიძე, *ქალდეას მონატრება*, თბ.: ლომისი, 2002, გვ. 26-70.

შორის, რომელთაც, ბუნებრივი, საუკუნოვანი თვისებით, “საიქიო და სულის უკვდავება არ სწამს”.

დაბოლოს, ალექსანდრე ქუთათელის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში, დეკანოზ იაკობ ფხაკაძის გარდა, მოთხრობიდან “გვალვა”, მოიპოვება კიდევ ერთი სასულიერო პირის სახე, – პროზაიკოსის მთავარ მხატვრულ ნაწარმოებში, მის ოთხწიგნიან რომანში “პირისპირ” (რომანის გამოქვეყნება დაიწყო 1930 წელს)¹⁹, თუნდაც არა როგორც უშუალოდ თხზულების პერსონაჟი, რომელიც მოქმედებს სხვა პერსონაჟთა შორის, არამედ როგორც თხრობის საგანი: წიგნში რამდენჯერმე საუბრობენ სახელგანთქმული მღვდელმთავრის, იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის, შესახებ, – კერძოდ, მაშინ, როცა რომანის პერსონაჟები ქუთაისში თუ მის შემოგარენში აღმოჩნდებიან.

აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების მრავალრიცხოვან პერსონაჟთა უდიდეს ნაწილს ჰყავს ნამდვილი პროტოტიპები, რომელთა არსებობა ისტორიულად დასტურდება, მაგრამ ამ პროტოტიპთა სახელები თხზულებაში ოდნავ, დაახლოებით ან სრულიად შეცვლილია²⁰. თუმცა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის (1825-1896) ნამდვილი სახელი რომანის ტექსტში უცვლელადაა შენარჩუნებული.

ნაწარმოების მთავარი გმირი, სტუდენტი კორნელი მხეიძე, ქუთაისში ბაგრატიის ტაძრის ნანგრევების დათვალიერებისას გადაეყრება იქაურ ბერს, რომელიც იმჟამად დარაჯად მსახურობს და პირველად სწორედ იგი ჩამოაგდებს სიტყვას გაბრიელის ირგვლივ:

ღმერთმა აცხონოს გაბრიელ ეპისკოპოსის სული. [...] იგი მეტად განათლებული, ჭეშმარიტად ღვთისმორწმუნე კაცი და ნამდვილი წმინდანი იყო²¹.

შემდგომ, კორნელი, მეგობარ მხატვართან, მიხა მაჭავარიანთან, ერთად, დედასთან ჩადის, მშობლიურ კარისმერეთში, – სოფლის სახელწოდება იგივეა, რაც “გვალვაში”, – და ამჯერად, იქაურ მეზობელ იონა ჩხეიძესთან²² საუბრისას, ეს დამხვედრი იხსენებს გაბრიელ

19 რომანის შესახებ ბოლოდროინდელ გამოკვლევათაგან: დიმიტრი თუმანიშვილი, “სახვითი ხელოვნება ალექსანდრე ქუთათელის რომანში “პირისპირ””, *ლიტერატურული ძიებანი*, XLI, 2021, გვ. 208-223; ავტორისეული დამოკიდებულება ასახულია მოკლედ: მერაბ ლალანიძე, “მცირედი სათქმელი დიმიტრი თუმანიშვილის ნარკვევის გამოქვეყნების გამო”, *იქვე*, გვ. 223-225.

20 რომანის პერსონაჟთა პროტოტიპების შესახებ: როსტომ ჩხეიძე, *ბედი პავლე ინგოროყვასი*, თბ.: ჩვენი მწერლობა, 2015, გვ. 84-85.

21 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, წიგნი მესამე, წგ-ში: ალექსანდრე ქუთათელი, *თხზულებანი: 4 ტომად*, ტომი II, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1972, გვ. 188.

22 კარისმერეთელი იონა ჩხეიძე მთავარი მოქმედი პირია, ასევე, ალექსანდრე ქუთათელის ვრცელ მოთხრობაში “იონა და მანანა” – ალექსანდრე ქუთათელი, “იონა და მანანა”, წგ-ში: ალექსანდრე ქუთათელი, *თხზულებანი: 4 ტომად*, ტომი III, გვ. 278-367.

ეპისკოპოსს და თავის სიყმაწვილისდროინდელ შეხვედრას მასთან, მღვდელმობღვრის სიცოცხლის მიწურულს, როცა იგი უკვე სიკვდილის პირას იმყოფებოდა.

უნდა ითქვას, რომ ცნობილი ქართველი მღვდელმთავრის რომანისეული დახასიათება შესამჩნევად განსხვავდება მისი საზოგადოდ დამკვიდრებული სახისაგან (რომლის განმტკიცებაში გამორჩეული მნიშვნელობა მოიპოვა ილია ჭავჭავაძის განმაურებულმა სიტყვამ, წარმოთქმულმა გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვისას, გელათში²³): კერძოდ, ეპისკოპოსის მოგონებისას და მის შესახებ მსჯელობისას რომანის პერსონაჟები გამოთქვამენ თვალსაზრისს, რომ ცხოვრების დასასრულისას მას შერყეული ჰქონდა პირადი სარწმუნოება, რაც ცხადად უკავშირდება მის სულიერ დასნეულებას, მის მიერ სულიერი წონასწორობის დაკარგვას, რაც, რომანის ამ პერსონაჟის, იონას, გადმოცემით, შესამჩნევად ეტყობოდა ცნობილ სასულიერო პირს (“იგი დასნეულდა კიდევ და სულით დაავადების ნიშნები დაეტყო”²⁴; “სიკვდილის ჟამსაც კი არ მოვშორებულვარ მის სასთუმალს, თუმცა ძალიან ძნელი იყო ნახევრად შეშლილი კაცის შექცევა”²⁵).

უნდა ითქვას, რომ გადმოცემა გაბრიელის მშვიდგონიერი დაუძღურების ირგვლივ არ წარმოადგენს მწერლის გამოგონებას, – როგორც ჩანს, რომანისტი ამ შემთხვევისას ეფუძნება გარდაცვლილი მღვდელმთავრის ვრცელ და საფუძვლიან ბიოგრაფიას (ფაქტობრივად, დღემდე ერთადერთს), რომლის ავტორია დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე²⁶.

კელენჯერიძის მიერ ეპისკოპოს გაბრიელის სიცოცხლის ბოლო თვეებისა და დღეების აღწერა აღსავსეა სურათებით, როცა იგი, უკვე სიკვდილს მიახლოებული, ვეღარ არკვევს თავის ადგილ-სამყოფელს, კარგავს გარემოს განცდას, დაულაგებლად და არეულად მეტყველებს, ვერ ჩერდება ერთ ადგილას და განუწყვეტლივ მიისწრაფვის სადმე სხვაგან²⁷.

23 ილია ჭავჭავაძე, “სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”, წგ-ში: ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული*: ოცტომად, ტომი XIII, თბ.: ილიას ფონდი, 2007, გვ. 214-219.

24 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, გვ. 196.

25 იქვე.

26 მელიტონ კელენჯერიძე, *გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)*, ქუთაისი: ძმობა, 1913 (ხელახალი გამოცემა: მელიტონ კელენჯერიძე, *გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)*, 2006); შდრ., ასევე, მელიტონ კელენჯერიძე, *უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა*, ქუთაისი: ი. კილაძისა და ი. მელაძის სტამბა, 1903 (ხელახალი გამოცემა: მელიტონ კელენჯერიძე, *უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა*, თბ.: ცის ნამი, 2009).

27 აღსანიშნავია, რომ გაბრიელის სიკვდილისწინა აშლილობა უფრო მძაფრადაა აღწერილი კელენჯერიძის ადრეულ წიგნში (1903).

ეპისკოპოსის ბიოგრაფოსი – თავადაც სამღვდელო პირი ასე აღწერს მღვდელმთავრის აღსრულებას:

1896 წელს სიკვდილის სარეცელზე ერთი კვირის უსმელ-უჭმელი, პირგაულებელი და თვალბეზარული, ცნობადაკარგული და მოქვითინე ჭირისუფალთაგან გარეშემორტყმული, ამ ტირილზე უეცრად თვალებს აჭყეტს გიჟურად, საშინლად და რომ თავის წინ დაინახავს მოქვითინე, მორჩილად თავისსავე გაზრდილ ძმისწულს გიორგი ახვლედიანს, გაფოცებული ეკითხება მას:

– ვინა ხარ შენ?!

– შენი გაზრდილი გიორგი, ჩემო დილო ბატონო! უპასუხებს შეშინებული ყმაწვილი.

ხალხი განცვიფრებულია ამ სანახაობით.

– ჩემი ცოლ-შვილი სად არის, არ იცი?!

ხალხში ქვითინია. შეშინდა ყველა.

– სამოთხეში, ბატონო!

– სამოთხეშია?!.. ჰმ... კარგი, კარგი! რა კეთილი კაცი ყოფილხარ შენ!.. ამ სიტყვებზე ისევ დახუჭა თვალები და საუკუნოდაც!²⁸

მსგავსად, ოღონდ უფრო მოკლედ მოუთხრობს მსმენელებს ამ საბოლოო საუბრის შესახებ რომანში “პირისპირ” იონა ჩხეიძე (და არა მომაკვდავის ბიოგრაფიული ძმისწული):

მისი აღსასრულის უამიცი დადგა. ერთხელ ცნობადაკარგულმა მოხუცმა შემომხედა და ვერ მიცნო. საწოლზე წამოიწია და აღელვებით მკითხა: “მითხარი, სად არის ჩემი ცოლ-შვილი?” ცოლ-შვილის დარდი სტანჯავდა და არ ასვენებდა უბედურს. არც კი დაფიქრებულვარ, ისე მივუგე: სამოთხეში არის, ბატონო-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ გაბრწყინდა მანამდე შეძრწუნებული მისი სახე. თვალები სიხარულის ცრემლით აევსო და მითხრა: იცოცხლე და გაიხარე, რა კეთილი და ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, შენგან ნამდვილი ადამიანი გამოვაო²⁹.

ცხადად ჩანს, რომ მწერალი თავის ამ თხრობას ეპისკოპოს გაბრიელის შესახებ, – თითქმის სიტყვასიტყვით, – აფუძნებს მისი ბიოგრაფოსის წიგნს. უნდა აღინიშნოს, რომ რომანის ტექსტშიც შენარჩუნებული სამოთხის რწმენის მომაკვდავისეული გაცხადება და, ასევე, სიხარულის განცდა როგორც მისი არსებობის, ისე მის ახლობელთა იქ

28 მელიტონ კელენჯერიძე, *გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა*, გვ. 49-50 (ხელახალი გამოცემა, გვ. 59); შდრ.: “– ჩემი ცოლ-შვილი სად არის, ჰკითხა ერთხელ სანახავად მოსულს გიორგი ახვლედიანს, რომელიც მასთან გაზრდილი იყო. – სამოთხეში, ბატონო, უპასუხა შეშინებულმა ყმაწვილმა. – ოჰ, რა კეთილი კაცი ყოფილხარ, რომ მანუგეშებ! ჩემი ცოდვებისათვის დამსაჯა ღმერთმა, ჩემი ცოდვებისათვის” – მელიტონ კელენჯერიძე, *უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა*, გვ. 20 (ხელახალი გამოცემა, გვ. 20).

29 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, გვ. 196-197.

ყოფნის გამო საფუძველს აცლის მწერლის ვარაუდს, თითქოს მღვდელმთავარი სიკვდილის წინ დაეჭვებით აღიქვამდა მიღმიერი სამყაროსა თუ სულის მარადიულობის სინამდვილეს.

ახლობლებთან საუბრისას სტუდენტ კორნელი მხეიძეს ებადება შეკითხვა, შესაძლოა თუ არა გაბრიელს, როგორც მეცნიერს, პროფესიონალ მკვლევარს, განმარტებული ფსიქოლოგიური ნაშრომის ავტორს, ერწმუნა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებანი: “ნეტავ, ღმერთი, ქრისტეს აღდგომა, სამოთხე და უკვდავება თუ სწამდა გაბრიელს”³⁰, – კითხულობს იგი იჭვნეულად.

თავის მხრივ, იონა ჩხეიძეც, საკუთარ სიყმაწვილისდროინდელ მოგონებებზე დაყრდნობით, არაა დაჯერებული, შეინარჩუნა თუ არა რწმენის სიმტკიცე ეპისკოპოსმა გაბრიელმა სიცოცხლის ბოლომდე: “ვერ გეტყვი, გაბრიელ ეპისკოპოსს მართლა სწამდა თუ არა ღმერთი, ადამიანის სულის უკვდავება და სამოთხე”³¹.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სავარაუდო ბზარი, გაჩენილი მოხუცი გაბრიელის ქრისტიანულ აღმსარებლობაში მისი მიხრწნილების ჟამს, აღწერილი მწერლის (და არა ბიოგრაფოსის!) მიერ, სრულიად განსხვავდება დეკანოზ იაკობ ფხაკაძის შეგნებული ურწმუნოებისაგან, რაც თაღლითურად, თვალთმაქცურადაა შეფარული უცხო თვალთაგან და თანაც იმგვარად, რომ მორწმუნე თანასოფლელებს იგი გულწრფელად მიაჩნიათ წმიდანად. ამდენად, რომანისეული ეპისკოპოს გაბრიელის ეს რელიგიური ჭოჭმანი, მით უმეტეს, დამძიმებული მისი მშვიინვერი აშლილობით, არანაირად არ გამოხატავს რამენაირ უზნეობასა თუ ცბიერებას, ან თუნდაც ტყუილს ირგვლივ მყოფთა მიმართ. ამ მხრივ, მწერალი შეუბღალავად ტოვებს გაბრიელის დამკვიდრებულ სახეს, აღბეჭდილს პიროვნული უმწიკვლოებით³².

თუმცა კორნელი მხეიძეს, საერთოდ, წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ მეცნიერული ხედვა და რელიგიური რწმენა შესაძლებელია უთავსდებოდეს ერთმანეთს და, მისი აზრით, ეს ორი განზომილება ვერც გამთლიანდებოდა გაბრიელის პიროვნებაში. თავის ამ თვალსაზრისს იგი ამგვარი დაჟინებით გამოთქვამს, როცა მიმართავს საკუთარ დედას:

გაბრიელი ხომ განათლებული, ფსიქოლოგიის დარგში მომუშავე კაცი იყო! შეუძლებელია, ღრმად არ ეფიქრა მას სიცოცხლისა და სიკვდი-

30 იქვე, გვ. 197.

31 იქვე, გვ. 198.

32 შდრ.: “მართლაც საკვირველია ეს პირი; იგი სულ მოკლე დროს გადაიქცა ხალხურ გმირად და ცოტა ხნის შემდეგ, ვგონებ, საარაკოდაც შეიქნეს იგი, როგორც თამარ დედოფალი. ბევრი რამ საგულისხმოა მაზე დაცული ხალხის ხსოვნაში” – მელიტონ კელენჯერიძე, *გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა*, გვ. 36 (ხელახალი გამოცემა, გვ. 49).

ლის, სიზმრების, ხორცისა და სულის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ამ საკითხებზე ფიქრმა მიიყვანა ამქვეყნად არსებული ყველა ხალხი ღმერთისა, იმქვეყნიური ცხოვრებისა და ადამიანის სულის უკვდავების იდეამდე. [...] მაგრამ შეუძლებელია ისეთ მეცნიერ კაცს, როგორც გაბრიელი იყო, სწამებოდა ის, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს: ადამიანის აღდგომა და სამარადჟამო ცხოვრება, სულის უკვდავება და სამოთხე. როგორც თვით ქრისტეს აღდგომა, აგრეთვე ქრისტეს მიერ მკვდართა აღდგინება ზღაპარია, რომელსაც სავსებით აბათილებს თანამედროვე მეცნიერება. [...] როგორ შეეძლო გაბრიელს, მეცნიერების, ფსიქოლოგიის დარგში მომუშავე კაცს, სულის უკვდავება, მკვდართა აღდგომა სამოთხეში მათი გადასახლება ერწმუნებია?³³

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ მსჯელობა სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირების ირგვლივ რომანში უკავშირდება სწორედ ეპისკოპოს გაბრიელის სახელს, რომლის შესახებ ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები შეუძლებელია არ სცოდნოდა რომანის ავტორს:

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის³⁴.

ილიასეული ეს შეხედულება ალექსანდრე ქუთათელს, ჩანს, მეტად საკამათოდ მიაჩნდა. იქ, სადაც მეცხრამეტე საუკუნის მწერალი ორი სივრცის შეთანხმებასა და შერწყმას ხედავდა, მეოცე საუკუნის რომანისტიკისათვის შეუთანხმებლობისა და დაპირისპირების ასპარეზი აღმოჩნდა. ღირსშესანიშნავია, რომ თავიანთი ამდენად განსხვავებული თვალსაზრისების გადმოცემა ორივე შემოქმედმა ეპისკოპოს გაბრიელის მაგალითით სცადა.

კორნელი მხეიძის თვალსაზრისით, გაბრიელის პიროვნულმა გაორებამ, რაც გარდაუვალად უნდა აღმოცენებულიყო მეცნიერებისა და სარწმუნოების შეთავსების მცდელობისას, სულიერად გატეხა მღვდელმთავარი, – განსაკუთრებით, მისი ცხოვრების დაწრეტისას: “ტანჯვამ და მწუხარებამ, უკვდავების ძიებამ და ეჭვმა დაასწულა იგი”³⁵.

33 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, გვ. 197-198.

34 ილია ჭავჭავაძე, “სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს”, გვ. 216.

35 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, გვ. 198; თვალსაჩინოა, რომ ეპისკოპოსის სიკვდილის მიზეზების მწერლისეული ძიება, რომელიც სულიერ განზომილებას არ სცდება, სავსებით განსხვავდება ბიოგრაფოსის სამედიცინო შეფასებისაგან: “ბოლოს იგონებდა სინანულით პეტერბურგში დასწვლულს ბუასილით, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოუწამლა და მის სიკვდილზედაც ღიღი გავლენა

სტუდენტი ვერ იჯერებს, რომ ეპისკოპოს გაბრიელს შეეძლო ბოლომდე ერწმუნა რელიგიური მოძღვრება, რაც, საერთოდ, – როგორც მას მიაჩნია, – გამოგონილია ადამიანების სამართავად თუ დასაშოშმინებლად (ამ შემთხვევისას, როგორც ჩანს, იგი იზიარებს მარქსისტულ შეხედულებას რელიგიის წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ, – შესაბამისად, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ სხვა გარემოებისას მას ასე მიმართავენ: “ტყუილად არ გიწოდებენ შენ ბოლშევიკს”³⁶):

რელიგია ილუზიაა! ღმერთი, საიქიო, სულის უკვდავება და სამოთხე სიკვდილის შიშით შეძრწუნებული ხალხის დასამშვიდებლად არის მოგონილი. გაბრიელ ეპისკოპოსს, ეტყობა, სწამდა და არცა სწამდა სულის უკვდავება³⁷.

რომანის არა მარტო მთავარ მოქმედ პირს, არამედ, სავარაუდოდ, თავად რომანის ავტორსაც მიაჩნია, რომ რელიგია ვერანაირად ვერ გაძლებს მეცნიერული თუ ტექნიკური მიღწევების პირისპირ, რადგან ცოდნის გაღრმავება და გაფართოება სავსებით გააუქმებს სულის უკვდავების რწმენას, რითაც ბოლო მოეღება სარწმუნოების საჭიროებას ადამიანთა დასამშვიდებლად:

[რელიგია] ველარ აკმაყოფილებს თანამედროვე ეპოქის რეალისტურ მსოფლმხედველობაზე აღზრდილ გონებას. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სრულიად აბათილებენ ადამიანის სულის უკვდავებაზე გავრცელებულ ზღაპარს³⁸.

ამ მოსაზრებით, დადგება დრო, როცა რელიგიური შეხედულებები ველარ შეძლებს ადამიანთა აზრებისა და ქმედებების მართვას, ისევე როგორც რელიგიის წარმომადგენელი ველარ მოახერხებენ თავიანთი ძალაუფლების დამყარებას ადამიანებზე.

ეპისკოპოს გაბრიელის გახსენებისა და მას მოდევნებული მსჯელობის შედეგად სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთობის ირგვლივ, რომელშიც რომანის რამდენიმე მოქმედი პირი მონაწილეობს, გაჩნდება აზრი, რომ წამოჭრილი საკითხები იმდენად მნიშვნელოვანი და მიმზიდველია, შესაძლოა, საგანგებო მხატვრული ნაწარმოების საგნადაც კი გამოდგეს, ხოლო ამგვარ საქმეს – თუნდაც მოთხრობის შექმნას – შესთავაზებენ კიდევ დამწყებ მწერალს, კორნელი მხეიძეს: “შეიძლება მოთხრობა დასწერო”³⁹.

იქონია” – მელიტონ კელენჯერიძე, *გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა*, გვ. 30 (ხელახალი გამოცემა, გვ. 41).

36 ალექსანდრე ქუთათელი, “პირისპირ”, გვ. 194.

37 იქვე, გვ. 198.

38 იქვე.

39 იქვე, გვ. 199.

კორნელი არ ეწინააღმდეგება ამ მოწოდებას, თუმცა მიიჩნევს, რომ ასეთი ჩანაფიქრის ხორცშესხმას განსაკუთრებული უნარი სჭირდება:

გაბრიელის უკანასკნელი დღეები [...] მართლაც საინტერესო თემაა, მაგრამ იგი დიდად ნიჭიერ და ფართო გონების მქონე მწერალს მოითხოვს⁴⁰.

არაა გამორიცხული, რომ ალექსანდრე ქუთათელის რომანში – “პირისპირ” – პერსონაჟთა მიერ გამოთქმულმა სურვილმა რამდენადმე, თუნდაც შორეული გამოძახილი მაინც პოვა მწერლისავე მოთხრობაში – “გვალვა”.

40 იქვე.

ირაკლი რობაქიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

irakli.robakidze918@hum.tsu.edu.ge

მითოსური პარადიგმები გრ. რობაქიძის რომანში „ქალღმერთის ძახილი“

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რობაქიძის რომანების პოეტიკის მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიურ საფუძვლებს „ქმნის, ერთი მხრივ, ი.ვ. გოეთეს პირველფენომენის მოძღვრება, მეორე მხრივ, ფრ. ნიცშეს კონცეპტი მარადიული დაბრუნების შესახებ“ (ბრეგაძე 2013, 173).

შესაბამისად, რობაქიძის რომანების ანალიზისთვის აუცილებელია გოეთეს ზემოაღნიშნული სწავლებისა და ნიცშეს კონცეპტის გააზრება.

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ეკუთვნის ნარკვევი „მცენარეთა მეტამორფოზის ახსნის ცდა“ (1790 წელი), რომელშიც მან, მცენარეებზე ერთწლიანი დაკვირვების საფუძველზე, განავითარა საკუთარი შეხედულებები. მისი დასკვნის თანახმად, განვითარების ყოველ ეტაპზე მცენარის თითოეული ნაწილი პოტენციურად შეიცავს მთლიანი მცენარის აღმოცენების შესაძლებლობას (მაგ. ფოთოლი თავის თავში ატარებს მთლიანი მცენარის წარმოშობის უნარს). ის მცენარეს იკვლევდა ორი კუთხით – ერთი მხრივ, მორჩობიდან ყლორტამდე (ანუ წინ, ზრდისაკენ) და, მეორე მხრივ, ყლორტიდან მორჩობამდე (ანუ უკან) – და ორივე შემთხვევაში ამჩნევდა, როგორც უკვე ვთქვით, თითოეული ნაწილისაგან მთლიანი მცენარის წარმოშობის უნარს. გოეთეს აზრით, მცენარის ცალკეულ ნაწილთა აღნიშნული შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ ეს ნაწილები ატარებენ მთლიანი მცენარის შინასახეს, ანუ პირველფენომენს. მცენარის შემთხვევაში პირველფენომენი არის პირველმცენარე.

„Urpflanze“ (გერმ. უმარტივესი მცენარეული ორგანიზმი) – ასე უწოდა გოეთემ შინაგან სახეს.

რობაქიძეს ამ იდეის ნათლად გასაგებად მოჰყავს მეცნიერ ჰანს დრიშის მიერ ჩატარებული ცდა: დრიშმა აიღო ზღვის ბურძგვის სი-

ნსილა და გაკვეთა ის ორად. წესით, მათგან უნდა წარმოშობილიყო ორი ცალი სინსილა, ნახევარ-ნახევარი, მაგრამ შედეგი სხვაგვარი აღმოჩნდა: მივიღეთ ორი სინსილა, მაგრამ არა ნახევარ-ნახევარი, არამედ – მთელი, მთლიანი. რობაქიძე აღნიშნავდა: „გასაოცარია საიდუმლო მთელისა, რომელიც ყოველთვის მთელი რჩება, მაშინაც კი, როცა იგი ნაწილდება (რობაქიძე 2012ბ, 89)

ქართველი მოაზროვნე წერდა: „ამ რიგად: „პირველ მცენარე“ შინაგანი სახეა მცენარის და როგორც ასეთი, ასე ვთქვათ, მისი მითიური რეალობა“ (რობაქიძე 2012ა, 87).

რობაქიძეზე გოეთეს ზემოაღნიშნულმა სწავლებამ უდიდესი გავლენა იქონია, რაც ქართველი ავტორის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „გოეთეს სწავლება თაურფენომენის (იგივეა, რაც პირველფენომენი – ი.რ.) შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა“ (რობაქიძე 2009, 313).

რობაქიძეს მიაჩნდა, რომ „თაურმცენარის იდეით უმნიშვნელოვანესი პრობლემები ერთბაშად იჭრება. პირველად მსოფლიო ისტორიაში ყოფიერება წარმოდგენილია, როგორც მითიური რეალობა“ (რობაქიძე 2012ა, 37).

მან გოეთეს ზემოთ განხილული მოძღვრება მიუსადაგა ყოფიერებას. როგორც სწორად მიუთითებს კონსტანტინე ბრეგაძე, სამყაროს რობაქიძისეული ონტოლოგიური სურათის მიხედვით, ყოფიერებას საფუძვლად უდევს მეტაფიზიკურ-ტრანსცენდენტური, მითოსური პირველსაწყისები. რობაქიძე ტრანსცენდენტურობასა და ემპირიას, ანუ მითოსურ და ისტორიულ სინამდვილეს, ურთიერთგანმსაზღვრელ მთლიანობად თვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ემპირიულ ფენომენში, ანუ საწყისში (გარეგანში), მოცემულია მისივე არაემპირიული, ანუ მითოსური პირველსაწყისი (შინაგანი). არაემპირიული, მითოსური პირველსაწყისი თავს იჩენს ემპირიულ, ისტორიულ ფენომენში და მარადიულად უბრუნდება თავის თავს – სწორედ ასე გადაიაზრებს გრ. რობაქიძე ნიცშესეულ მარადიული დაბრუნების მითს.

ფრიდრიხ ნიცშე მარადიული დაბრუნების მითის საკუთარ კონცეპტზე წერს ნაშრომში „ასე იტყოდა ზარათუსტრა“: გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლხედვით, ერთი და იგივე საგანი მარადიულად ბრუნავს წრეზე, თანაც მხოლოდ საგანთსამყაროში, ემპირიულ სივრცეში, რადგან ნიცშეს თანახმად, „ღმერთი მკვდარია“ და, ამდენად, ტრანსცენდენტალური სივრცე გაუქმებულია.

რობაქიძე წერილში „ჩემი ცხოვრება“ აღნიშნავდა:

ზეკაცის იდეა, რამდენადაც ეს „ზარათუსტრაშია“ გაშლილი, განსაკუთრებით დამაჯერებლობით არ მეჩვენება. დიონისურმა ფე-

ნომენმა („ტრაგედიის დაბადება“) დამატყვევა და კიდევ უფრო მეტად მარადიული დაბრუნების იდეამ... ეს იდეა ისეა ახსნილი, როგორც პითაგორის კომენტაროტები აკეთებდნენ, რაც ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან თუკი მე ჩემ თავს მარადიულად ვუბრუნდები, როგორ შეიძლება ზეკაცია გავხდე? [...] ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი გოეთეს, მის სიტყვებში მეგულებოდა ამ იდეის ახსნა. (რობაქიძე 1996, 313-314)

ნიცშესეული მარადიული დაბრუნების მითის არსი რობაქიძემ ძირეულად შეცვალა. ისევე როგორც ყოფიერების გააზრებისას, ქართველი ავტორი ამ შემთხვევაშიც გოეთეს ურფენომენის სწავლებას დაეყრდნო. რობაქიძე ამ იდეას ვრცლად მიმოიხილავს ესეში „თაურშიში და მითოსი“:

„თაურსაწყისი ჩვენში წარუშლელად ციალებს, იგი იღუმალ ყოველ საგანსა და მოვლენაში ბატონობს. ამგვარად, წარმოიშობა ყოფიერების მითიური აღქმა, რომელიც ამ სახით მარადიული უკანდაბრუნების იღუმალ იდეაში პოულობს გამოხატულებას“ (რობაქიძე 2012ა, 32).

მამასადამე, რობაქიძის მსოფლხედვით, თაურსაწყისი მარადიულად იჩენს თავს ემპირიული (ისტორიული) სინამდვილის ცალკეულ გამოვლინებებში. ეს გამოვლინებები კი, თავის მხრივ, უბრუნდება თაურმენომენს. ანუ მარადიული უბრუნდება თავის თავს ცალკეულში (ისტორიულში) და არა პირიქით, როგორც ეს ნიცშეს მიერ არის გააზრებული.

რობაქიძემ მარადიული დაბრუნების იდეის საკუთარი კონცეპტი მხატვრულად ასახა რომანში „ქალღმერთის ძახილი“. ნაწარმოებში რეალური ისტორიული ქალის, ივლიტე გელოვანის, მხატვრულ სახეში წარმოჩენილია მითოსური ქალი, ქალღმერთი დალი.

ამრიგად, ისტორიულ-ემპირიულ ფენომენში (ე.ი. ივლიტეში) თავს იჩენს მისივე არაემპირიული, ანუ მითოსური პირველსაწყისი (ე.ი. ქალღმერთი დალი) და ამგვარად, მარადიული უბრუნდება თავის თავს ცალკეულში, ისტორიულში.

თავად რობაქიძე წერდა: „ჩემი რომანი „მეგი“, ვიტყვი აქ, ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხელი მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი. სამეგრელო, არა მარტო გეოგრაფიულად, მითიური გაგრძელებაა სვანეთისა, საცა „მითოს“ უშრეტ ბუდობადაა განვრცობილი. იქ მედეა – აქ დალი [...]“ (რობაქიძე 1996, 233).

მამასადამე, „ქალღმერთის ძახილი“ რეალურ ქალწულში (აქ: ივლიტეში – ი.რ.) მითური ქალის (აქ: ნადირობის ქალღმერთ დალის) განცხოველების ცდაა.

თუკი „გველის პერანგში“ მარადიული დაბრუნების მითის რობა-

ქიძისეული კონცეპტი წარმოჩენილია არჩიბალდ მეკევის მხატვრულ სახეში, მის მიერ მამის ძიებაში, „ქალღმერთის ძახილში“ აღნიშნული იდეა შემოქმედებითად აისახება თანბი მარგიანის მხატვრულ სახეში, მის აღქმასა და ტრფობაში.

„გველის პერანგში“ არჩიბალდი ეძებს მამულს, მამას, რაც მისი ისტორიული (ანუ გარეგანი) სვლაა. ამ ძიებაში, – (გრ. რობაქიძისვე სიტყვებით რომ ვთქვათ) – „მამულის“ ნახვაში იელვებს ხანისხან: თაური ყოვლისა, „მამა“ უზენაესი“ (რობაქიძე 2012ბ, 189). ეს კი მითოსური (ანუ შინაგანი) ხაზია.

მაშასადამე, ისტორიულ-ემპირიულ ფენომენში (მამაში) თავს იჩენს მისივე არაემპირიული, მითოსური პირველსაწყისი (უზენაესი მამა).

რაც შეეხება „ქალღმერთის ძახილს“, აქ ისტორიულსა და მითოსურს შორის კონფლიქტია. თანბის აღქმაში, მის ტრფობაში ორი ქალის – ისტორიულისა (ივლიტესა) და მითოსურის (დალის) – სიყვარული უპირისპირდება ერთმანეთს. გმირი მისწავვის მიწიერი ქალის დაუფლებისაკენ, რაც ისტორიული (ანუ გარეგანი) სვლაა. თუმცა ამ გზაზე, მის აღქმაში, ტრფობაში, ივლიტეში (ანუ ისტორიულ ფენომენში) იელვებს ქალღმერთი დალი (ანუ მითოსური პირველსაწყისი). მიწიერი ქალის დაუფლებასთან ერთად, თანბი მარგიანს სურს ეზიაროს, თანაგანიცადოს მითოსური ქალის, დალის სიყვარული. ეს მითოსური (ანუ შინაგანი) ხაზია.

„ქალღმერთის ძახილში“ მარადიული დაბრუნების კონცეპტთან მხატვრულადაა შერწყმული მითი სვანეთის ქალღმერთის, დალის, შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რობაქიძის რომანებიდან „ქალღმერთის ძახილი“ ყველაზე ნათლად უკავშირდება მითოლოგიას.

აღსანიშნავია, რომ „როგორც დალის მითს, ისე რომანში აღწერილ სხვადასხვა რიტუალს მწერალი საკუთარი მოდიფიკაციით გვთავაზობს“ (წიფურია 2022, 193).

მაგ., დალის მითში ისტორიულ ფენომენსა და მითოსურ პირველსაწყისს ორი სხვადასხვა ქალი (პერსონაჟი) – შესაბამისად, ქალღმერთის რჩეული მონადირის, ბეთქილის რძალი თამარი და ნადირთ პატრონი დალი – განასახიერებს. რობაქიძის რომანში კი ისტორიულისა და მითოსურის კონფლიქტი გადატანილია ერთი გმირის მხატვრულ სახეში. სახელდობრ, ქალღმერთის რჩეული მონადირის, თანბი მარგიანის აღქმაში, მის ტრფობაში ისტორიულ ქალში, ივლიტე გელოვანის მხატვრულ სახეში წარმოჩინდება მითოსური ქალი, ქალღმერთი დალი.

ამასთან დაკავშირებით, წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ რობაქიძე აღნიშნავს: „დედოფალი ერთსა და იმავე დროს მითიური ქალიცაა და რეალურიც: ორმაგობა. თვითონ ორმაგობა: მითიური წამსავე რეალურში გადადის, რეალური მყისვე მითურში“ (2012ბ, 189).

დალის მითში ვხვდებით ორი ტიპის ტაბუს – ტოტემურსა და სექსუალურს, სასიყვარულოს. პირველი მათგანი გულისხმობს, რომ ქალღმერთს ჰყავს რჩეული ცხოველი, რომლის მოკვლაც მონადირეს ეკრძალება. აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში, ქალღმერთი განრისხდება და მონადირეს დასჯის.

რაც შეეხება სექსუალური ხასიათის ტაბუს, ის ქალღმერთის რჩეულ მონადირეს მიწიერ, მომაკვდავ ქალთან ურთიერთობას უკრძალავს. თუკი მონადირე ამ ტაბუს დაარღვევს, ეს ქალღმერთის ღალატად ჩაითვლება და მონადირე დაისჯება.

მითის მიხედვით, დალი თავის რჩეულ მონადირეზე, ბეთქილზე განრისხებულია. ამის მიზეზი დალისა და ბეთქილის დიალოგიდან ცნაურდება. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, დალის საჩუქარი, მძივები, ბეთქილს სასთუმლის ქვეშ დარჩა. მეორე ვარიანტის მიხედვით, მონადირეს ქალღმერთის საჩუქარი რძლის, თამარის, ბალიშის ქვეშ დარჩა. სიმღერის კიდევ ერთი ვარიანტი გადმოგვცემს, რომ დალის მიერ ბეთქილისთვის ნაჩუქარი ბეჭედი თამარს ფერხულში ეკეთა.

მაშასადამე, ბეთქილი გასცემს ქალღმერთის საიდუმლოს, უდიერად ეპყრობა მის ჯადოსნურ საჩუქარს. ბეთქილს ჰყავს სატრფო – რძალი თამარი. სწორედ ამის გამო ქალღმერთის რჩეული ცხოველი თეთრი შუნი, ირემი, ჯიხვი ან სხვ. (რამდენიმე პროზაული ვარიანტის მიხედვით, მონადირის კლდეზე ამტყუებელი ცხოველი თავად სახეცვლილი დალია) მას კლდეზე აიტყუებს. „კლდის წვერზე ასული მონადირე ხედავს, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ აქვს“ (ვირსალაძე 1964, 56). ბეთქილს კლდის წვერზე დალი დახვდება და მათი საუბრის შემდეგ, მონადირე კლდიდან გადაიჩენება.

დალის მითის მსგავსად, „ქალღმერთის ძახილშიც“ ორი ტიპის ტაბუს ვხვდებით, ტოტემურსა და სასიყვარულოს, სექსუალურს.

რობაქიძის ნაწარმოებში ორი ტოტემური ცხოველია – ქალღმერთის რჩეული თეთრი ხარჯიხვი (ჯოგის თვალი – ჯვეგ თვაალ) და ასევე ხარი, უსხვა.

რომანის მიხედვით, უსხვა ღერმერთსაა შეწირული. „სამი წლის წინ შავი, დიდი ხარი, რომელსაც შუბლზე ნახევარმთვარისებური თეთრი ლაქები ამშვენებდა, მსხვერპლად იქნა შერჩეული. ხარი თანბის ოჯახს ეკუთვნოდა. სამი წლის მანძილზე იგი იყო გაღმერთებული და განებივრებული, ნებიერა ტოტემი“ (რობაქიძე 2012გ, 102). მას ოთხი წლის განმავლობაში ყველაფრის ნება აქვს: სადაც უნდა და რამდენ

ხანსაც უნდა იქ იბალახებს, მას არავინ გააგდებს თავისი საძოვრიდან, არც ძალით მიაბამს ვინმე ბაგაზე და ა.შ. მეხუთე წელს კი ხარი მსხვერპლად უნდა შეწირონ და მისი ხორცი მთელმა ტომმა გაინაწილოს. სვანური ტომის რწმენით, უსხვა „ერთდროულად მსხვერპლიც იყო და ღმერთიც და ვინც მის ხორცს იგემებდა, ისიც ღვთაებრიობას იქნებოდა ნაზიარები“ (იქვე, 101).

თუმცა „ქალღმერთის ძახილში“ ტოტემური ტაბუ ირღვევა, თანაც ორგზის, ანუ ორივე ტოტემურ ცხოველს კლავენ.

უსხვა მსხვერპლად შეწირვამდე თავადმა ოთარ დადემქელიანმა მოკლა. ტექსტიდან ცნაურდება, რომ დადემქელიანმა არ იცოდა ხარის რჩეულობის შესახებ, თუმცა ამის მიუხედავად, უშგულელთა მთელი ტომი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მათ შურისძიება გადაწყვიტეს. გულბანების ოჯახმა თავადი სახლში სტუმრად შეიტყუა, დანარჩენმა უშგულელებმა კი მასპინძელი ოჯახის წინ მდებარე ეკლესიის ერთ-ერთი სათოფედან ესროლეს დადემქელიანს. სტუმარს ტყვიამ მხარი გაუკაწრა. ის გადარჩა და დაუმშვიდობებლად წავიდა უშგულიდან.

მართალია, თავადი არ მოუკლავთ, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის წმინდა წესი შებღალული გახლდათ. იყო კიდევ რაღაც, რაც მოდემის ცნობიერებაში იგრძნობოდა: უსხვას მკვლელის მოკვლის ნება ერთბაშად, ერთი ამოსუნთქვით გატყდა და ყოველმა უშგულელმა დაკარგა რწმენა. მთელი ტომი დაემსგავსა გონებადანისლულ, ინსტიტუტზელახულ მხეცს, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი სხეულისა და სამყაროს ერთიანობის შეგრძნება. (იქვე, 157)

თანასოფლელებზე უარესად გრძნობდა თავს რომანის მთავარი გმირი, თანბი მარგიანი. ტომმა დაკარგა ღირსება და, შესაბამისად, ის დაკარგა თანბიძაც. ამასთანავე, მან, როგორც პირველმა მონადირემ და ჯადოქარმა უშგულში, დაკარგა ძალაუფლება. თანბიმ ვერ შეაჩერა შურისძიების მცდელობა სტუმართან მიმართებით. ოთარ დადემქელიანი თანბის სატრფოს, თავად იულონ გელოვანის მეუღლის, ივლიტე გელოვანის ძუძუმტე იყო და მარგიანი ფიქრობდა, რომ როცა დადემქელიანი ქალს ლეჩხუმში, გელოვანის სასახლეში სტუმრად ეწვეოდა, თანბისა და მისი ტომის ამ სირცხვილს მოუყვებოდა, რითაც უშგულელი მონადირე სატრფოს თვალში დამცირდებოდა.

თუკი ტომის არჩეული უსხვას შემთხვევაში ტოტემურ ტაბუს დადემქელიანი არღვევს, რომელიც თანბის ტომს არ ეკუთვნის, არამედ პირიქით, მტრობს მას, ქალღმერთის რჩეულ ცხოველს, თეთრ ხარჯიხვს თავად თანბი მარგიანი კლავს.

ამდენად, ტოტემური ტაბუ რომანში მეორედ ირღვევა. შედეგად,

„ტომის სიცოცხლის წვენი ასევე მოწამლული იყო. ყოველი კაცი გამოშრალად და გამოცარიელებულად გრძნობდა თავს, თითქოს, მის წიაღში ჭა ჩამშრალიყო. რალაც სხვაც მიემატა ყველაფერ ამას. ზოგიერთებს ღამით ესმოდათ საზარელი, ტკივილით აღსავსე ღრიალი და ბევრი ირწმუნებოდა, მოკლული უსხვა ყვირილით მოითხოვს შურისგებასო“ (იქვე, 175).

1. მეგრელთა ყოფა-ცხოვრებას ძველ დროში და ახლა; ძირითად სამეურნეო-დარგობრივ საქმიანობას; ტრადიციულ მეგრულ სამზარეულოს; სხვადასხვა ტიპის, დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურის აღწერას.

2. მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებს, მითოლოგიურ სამყაროს და მათთან დაკავშირებულ საკრალურ დამოკიდებულებებს, რიტუალურ ქცევას, წესებს, ატრიბუტებს;
3. სათავგადასავლო ამბებს, ზღაპრებს, შელოცვებს;
4. გეოგრაფიული ადგილების ტოპოლოგიურ დახასიათებას, ტოპონიმთა ხალხურ ეტიმოლოგიებს.

სოციოლინგვისტური კითხვარი, რომლის მიზანია სამეგრელოში თანამედროვე სოციოლინგვისტური სიტუაციის აღწერა, შემუშავდა გუდრიხ დილმანის კონცეფციაზე დაყრდნობით (Dillman 1978, 80), რომელიც განასხვავებს კითხვის შინაარსის ხუთ ტიპს: *ქცევა, რწმენა, ცოდნა, დამოკიდებულებები და ატრიბუტები*.

1. **ქცევა:** ენობრივ-კულტურული ვითარება (მაგ. ნათესაობის ფორმები, რიტუალები, მისალმება/გამომშვიდობება და ა.შ.);
2. **შეხედულებები:** მეგრელთა აზრი მათი ენობრივი სამყაროსა და სხვა ენების ზეგავლენის შესახებ;
3. **ცოდნა:** ენის ათვისება, რომელიც უკავშირდება თაობათა შორის ცოდნის გადაცემას მოზრდილებსა და ბავშვებს შორის;
4. **დამოკიდებულებები:** მეგრელთა დამოკიდებულება საკუთარი ენისა და მისი ენობრივი მახასიათებლებისადმი;
5. **ატრიბუტები:** ინფორმაცია ინფორმატორების შესახებ (მაგ. სქესი, ასაკი და ა.შ.).

ფონეტიკური დამუშავება-გაშიფვრის შემდეგ ველზე მოპოვებული მასალის გადატანა ხდება FLEx-ის პროგრამაში, რაც გულისხმობს ტექსტის სტრუქტურირებას, აბზაცებად და წინადადებებად სწორად დაყოფას, გამყოფ ნიშნად წერტილის გამოყენებას, რაც მეგრულის, როგორც ზეპირი ენის, ტექსტისათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ის პაუზისთვის სხვა ნიშნებს იყენებს. დამუშავების შემდგომ ტექსტები ინტეგრირდება FLEx-ის პროგრამის ტექსტურ ბაზაში და ტექსტი აღიწერება ექსტრალინგვისტური ინფორმაციის გათვალისწინებით. შემდგომ ეტაპზე კი ჩაიწერება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით (IPA), ინგლისურ ენაზე ითარგმნება და მუშავდება ლექსიკურად და გრამატიკულად. კონვერტირებისათვის გამოიყენება სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი ტექსტური კონვერტორი (გერსამია და ლობჟანიძე 2022).

2022 წელს მარტვილის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სოფლებში ჩაწერილი ტექსტებიდან FLEx-ში შეტანილია და ყველა პარამეტრის მიხედვით დამუშავებულია 102 გვერდიანი მასალა, საათობრივი მოცულობით – 6 სთ 23 წთ, რაც შეადგენს 3 481 წინადადებასა და 26 972 სიტყვაფორმას.

ლინგვისტურ მონაცემთა დამუშავების ამ ეტაპის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მეგრული ენის იმ სტრუქტურული და ლექსიკური ცვლილებების შესახებ, რომლებსაც ნათლად აჩვენებს თანამედროვე მეგრული მეტყველების ამსახველი საველე მასალა.

მეგრული ენის დიალექტები არ ისწრაფვიან უნიფიკაციისაკენ და ინარჩუნებენ სხვაობებს ფონეტიკურ და მორფონოლოგიურ დონეზე.

ფონეტიკა-ფონოლოგია

1. **ხმოვანთა გემინაცია.** ხმოვანთა ე.წ. სიგრძის /გემინაციას აპირობებს: ა) უფრო ხშირად მორფემათა საზღვარზე ხმოვანი ინვენტარის შემცველი მორფემების შეხვედრა და ასეთ შემთხვევაში თითოეული ხმოვანი ფუნქციური ღირებულების მქონე სეგმენტის ფონემური ინვენტარია; ბ) სიტყვის ინლაუტში ან აუსლაუტურ ნაწილში ხმოვნის ფონეტიკურად დაგრძელება, რომელსაც უფრო პროსოდიული ღირებულება აქვს. მიმდევრულად ორი ხმოვანი სენაკურ-მარტივლურს ახასიათებს, იშვიათად – ზუგდიდურს, რადგან ამ უკანასკნელში გემინირებული მიმდევრობები ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მონოფონემური ხდება ან საერთოდაც შეიძლება ნულში გადავიდეს ანუ ზედაპირულ სტრუქტურაში არ იყოს წარმოდგენილი.

2. **ხმოვანთა ნეიტრალიზაცია.** ნეიტრალური ხმოვანი, რომელიც მეგრულში /ი/ და /უ/ ხმოვნების დავიწროების შედეგია, კვლავ აქტიურად ვლინდება ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში, იშვიათად მარტივლის ტექსტებშიც (მაგვანს „ქვევრს“, *მიამიძღეს* „შიგნთ გვედო“, *გემდგდეს* „გვედგა“, *ართიანქკმა* „ერთმანეთთან“, *შარვარს* „შარვალს“, *ქმაძღუო* „ეცვა...“) ჩნდება.

ნეიტრალური ხმოვანი თანამედროვე მეგრულში ფუნქციონირების არეალს იფართოებს, იგი აქტიურად ჩნდება სონორების შემდეგ, ასევე თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითის /-ი/ ნიშნის მონაცვლედ: ბაბ-ღ „ბაბუა“, ბებ-ღ „ბებია“, წეს-ღ „წესი“, მუთუნ-ღ „არაფერი“, დნაბად-ღ „დანაბადი“, გიშაჭღ-ღ „გამოკერილი“, ბრღ-ღ „ბევრი“, გურ-ღ „გული“, თხიბ-ღ „თხელი“, ოსურ-ღ „ცოლი“, ოჭნახ-ღ „საწნახელი“, ჟანგბად-ღ „ჟანგბადი“, ჟირ-ღ „ორი“, რაგად-ღ „ლაპარაკი“, რკიაფ-ღ „კვილი“, სკან-ღ „შენი“, სკვამ-ღ „ლამაზი“ და ა.შ.

3. **ხმოვანთა მოკვეცა / „კვეცილი სტილი“:** სიტყვის აუსლაუტში სრულხმოვნობა სენაკურ-მარტივლურს ახასიათებს, ხმოვანთა შეკვეცით მიღებული „კვეცილი სტილი“ (ტ. გუდავა) ყველაზე შესამჩნევია წალენჯიხისა და ზუგდიდის ტექსტებში, ჩხოროწყუს ტექსტებში კი ორივენიარად გვხვდება, რესპონდენტთა ნაწილი ორივე სტილის წა-

რმოთქმას ურევს, ნაწილი კი მხოლოდ კვეცილი სტილით საუბრობს.

სამივე ფონეტიკური ნიშანი – *ხმოვანთა ნეიტრალიზაცია*, *ხმოვანთა გემინაცია* და *ხმოვანთა მოკვეცა* – ზეგავლენას ახდენს მეგრული სიტყვის შემადგენელ მარცვალთა რაოდენობაზე, ანუ დამარცვლის პრინციპსა და მახვილის ადგილზე სიტყვასა თუ ფრაზაში.

4. **მახვილი.** მახვილის დასმის წესები მეგრული სათავის ტოგო გუდავამ (გუდავა 1969) შეიმუშავა. იყო აღნიშნული წესის რეანალიზის ცდაც (იხ. შენგელია, ფონიავა და მემიშიში 2020), თუმცა, დოკუმენტირებული აუდიო მასალა აჩვენებს, რომ მეგრულში სიტყვათმახვილისა და ფრაზული მახვილის ადგილის დასადგენად საჭიროა მეგრული ტექსტების კორპუსულ ბაზა[ებ]ში მახვილის ადგილის მარკირება და მახვილის დასმის წესების ანალიზი უფრო დიდ მონაცემებზე დაყრდნობით.

ჩაწერილი ტექსტების მოსმენაზე დაყრდნობით კი დასტურდება, რომ მახვილით განსხვავებულ ზმნურ ფორმობრივ ომონიმას აპირობებს სიტყვის აუსლაუტის მდგომარეობა, თუ როგორ არის ის წარმოდგენილი – სრული თუ კვეცილი სტილით. აღნიშნული ნიშანი კი მეგრული ენის დიალექტთა მადიფერენცირებელი ნიშანია, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ომოფორმები სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობისაა.

მაგალითისათვის შდრ.:

(Z) AOR: [გო]სკირ „გაშრა“ – FUT: [გო]სკირუ „გაშრება“

(SM) AOR: [გო] სკირუ „გაშრა“ – FUT: [გო]სკირუუ „გაშრება“

(Z) AOR: [გო]კურცხ „გაიღვიძა“ – FUT: [გო]კურცხუ „გაიღვიძებს“

(SM) AOR: [გო]კურცხუ „გაიღვიძა“ – FUT: [გო]კურცხუ „გაიღვიძებს“

ომონიმია არ წარმოიქმნება ერთი დიალექტის დონეზე, მაგრამ ერთი ენის შიგნით მას სწორედ განსხვავებული დიალექტების მონაცემები ქმნის, იდენტური ფონემათიმდევერობა – მორფოლოგიური ფორმა, რომელსაც მახვილი სხვადასხვა მარცვალზე მოუდის და ერთმანეთს გრამატიკული ფუნქციით უპირისპირდება.

5. **იოტიზაცია, პალატალიზაცია.** მეგრული ენის ორივე დიალექტში იოტა პოზიციურად გამოვლენილი ბგერაა. პოზიციები რიგ შემთხვევაში ემთხვევა, ნაწილში კი დიალექტების მიხედვით განსხვავდება:

ა) ლ > ი კვლავ თვალსაჩინოა მარტივლური კილოს ბანძურ თქმაში სიტყვის ყველა პოზიციაში (ქაჯაია 1956): *დესხუძუხე* (< *ლე-სხულუხე*), *დე* (< *ლე* < *რე*) „არის“, *დაფენდი* (< *ლაფენდი* < *ლაჟაფენდი*) „თამაშობდი“, *ახაი* (< *ახალი*) „ახალი“.

საგულისხმოა, რომ /ლ/ ფონემა ხშირად შენარჩუნებულია სხვა ენათა გავლენით დამკვიდრებულ ფუძეში, თუნდაც მაშინ, როცა ის ჩასმულია მეგრულ მორფომოდელში: *დეტალურო* „დეტალურად“, *ბოთლის* „ბოთლს“, *კულტურამ* „კულტურის“, *წელიწადიმ* „წელიწადის“, *სურვილი* „სურვილი“, *გავრცელებულქ* „გავრცელებულმა“, *განმავლობას* „განმავლობაში“, *ხალხის* „ხალხს“, *ამავდროულლო* „ამავდროულად“ და სხვ.;

ბ) შ > ღ პროცესი, როცა -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ორივე დიალექტის ტექსტებში დასტურდება. მარტვილის ტექსტებში: *თუთაად ბოფოშოთ* (< თუთამ ბოლოშოთ) „თვის ბოლომდე“, *კატუდ ბირცხად თოს* (< კატუმ ბირცხამ თოლს) „კატის ფრჩხილის თვალს“, *დიხაად ფუნქცია* (< დიხამ ფუნქცია) „მიწის ფუნქცია“ და სხვ. ზუგდიდურში: *ბილბაშიმ შქას* (< ბილბაშიმ შქას) „თამადის შუაში“, *თინეფიმ ქუდეშ* (< თინეფიმ ქუდეშ) „მათი სახლის“, *თხად სკუა* (< თხამ სკუა) „თხის შვილი“ და სხვ.;

გ) ი > ე ცვლილება როგორც ძირეულ, ისე აფიქსური მორფემების ფონემურ ინვენტარში, მარტვილურისთვის დამახასიათებელი ნიშანია: *ქეშოხვამიდეუს* < *ქეშოხვამილუეს* < *ქეშოხვამილუეს* „შეახვედრეს“, *გითოძიქედკო* < *გითოგიჩქედუკო* „გამოგჩენოდა“, *გეგაძუნუდ* < *გეგოაძუნუდ* „არ დაყვებოდა / არ მიჰყვებოდა“ და სხვ.;

დ) გი > ე: მეორე ობიექტური პირის ნიშანი /გ-/ პალატალიზებულია, როცა მას /ი/ ხმოვანი მოსდევს, რომელიც ქცევის ნიშანია; ის ფუნქციურად შეიძლება იყოს ხმოვანპრეფიქსული თავსართი ან ზმნისწინის შემადგენელი ფონემური ინვენტარი: *გე-ე-შაგორი* > *გე-გი-შაგორი* „გამოარჩიე“, *ვა-ე-ლამდეს* < *ვა-გი-ლამდეს* „არ აპირებდი“, *გეგნო-ე-ღონანქია* < *გეგნო-გი-ღონანქია* „გადაგიყვანო“ და სხვ., აღნიშნული პროცესი ხშირია წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში;

ე) ტექსტებში გამოვლინდა პალატალიზებული /მო/, /მე/ ხმოვნები, რომლებშიც არ იგულისხმება ფუნქციურად დატვირთული ორი ფონემა, რაც არც ისე იშვიათია მორფემათა საზღვარზე, როგორცაა მაგ.: *გ-ე-ე-ოთ-ი-კონ* < *გ-ე-გ-ი-ღოთ-ი-კონ* „უნდა ამოგეძირკვა“, არამედ იქ, სადაც მათი გაჩენა მოსალოდნელი არ არის. მაგ. წალენჯიხის ტექსტებში: *გე-ე-ო-ბუნდუ* „ამოასხამდა“ და სხვ.; ჩხოროწყუს ტექსტებში: *გე-ე-ო-ციკინუ* „წამოყო“, *გი-ე-ო-ვიძანდეეს* „დააკლავდენ“, *ქიგ-მე-ბღვი* „დავდევი“.. მარტვილი: *გი-ე-ო-ვიძანდეეს* „დააკლავდენ“, *თითო-მე-ულ* „თითოეული“, *ჟა-მე-ნჩღოვითი* „ორმოცდაათი“ და სხვ.

მორფონოლოგია და მორფოლოგია

1. მორფემათა საზღვარზე ფონეტიკური გარდაქმნის წესები (იხ. Кипшидзе 1914; გუდავა და გამყრელიძე 1981) დაცულია ზუგდიდურში, ხოლო მარტვილის ტექსტებში ამოსავალი მორფემები წარმოდგენილია სრული ფონეტიკური ინვენტარით. ჩხოროწყუს ტექსტებში კი ორივე არეალისათვის დამახასიათებელი ვითარება ვლინდება, რაც ინტერფერენციული ზონის დამახასიათებელი ნიშანია.

2. მიცემითი ბრუნვის ნიშნების განაწილების პრინციპები იგივეა. ასევე, ვლინდება არაკანონიკური კომპლექსების გარდაქმნის საკითხები მორფემათა საზღვარზე მოთხრობითსა და მიცემითში. სახელის რიცხვის ალომორფების განაწილება დიალექტების მიხედვით არ შეცვლილა (იხ. კარტოზია და სხვ. 2010). მოთხრობითსა და მიცემითში ანაპტიქსური -ი ხმოვნიათი სახელური პარადიგმა თანაბრად ვლინდება როგორც მარტვილურ, ასევე ზუგდიდურ ტექსტებშიც; საგულისხმოა, რომ /ი/ ხმოვნის ჩართვას უკვე განზოგადებული სახე აქვს და ჩართულია იქაც, სადაც ამის ფონოტაქტიკურად შეზღუდვა არ არის – სონორების შემდეგ: ბოთლის „ბოთლს“, ყამბარის „ყავარს“; ლ > ღ -ის შემდეგ: სტომის < სტოლის „მაგიდას“, მწვანილის < მწვანილის „მწვანილს“, ედის < ელის „იელს“, მოსავადის < მოსავალს „მოსავალს“ და სხვ.

3. ზმნურ მორფემათა სლოტებში პირის ნიშნის ადგილი არის ძირიდან მარცხნივ მეორე სლოტში. დადგენილი წესებია: ა) პირის ნიშანი ფუძის ანლაუტურ თანხმოვანთან შეხვედრის შემდეგ ზუგდიდურში გარდაიქმნება ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისად და სუბიექტური პირის /ვ-/ მორფემა {ბ-, ფ-, პ-, მ-, Ø-} ალომორფებით რეალიზდება, ხოლო ობიექტური /მ-/ {ბ-, ფ-, პ-, ვ-, Ø-} ნიშნებით; ბ) პირის ნიშნის მეტათეზისი ზმნის ძირში მხოლოდ ზუგდიდურში ხდება (მაგ. ვ-მუშენქ > მუ-ბ-შენქ „ვმუშაობ“), რითაც ის განსხვავდება მარტვილურ-სენაკურისგან (იხ. კარტოზია და სხვ. 2010; ქირია და სხვ. 2015).

სამეგრელოში მოპოვებული ახალი საველე მასალა პირის ნიშნებთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წესები შეცვლილი არ არის და შენარჩუნებულია დიალექტთა განმასხვავებელ ერთ-ერთ თავისებურებად, თუმცა ახალი ტენდენციებიც ვლინდება, კერძოდ:

ა) მარტვილის ტექსტებში ვ- პირისნიშნის ვარიანტის პარალელურად თავს იჩენს ჰომოგენურად გარდაქმნილი პირისნიშნის ვარიანტები: ფ-ცხოვრენტ, „ვცხოვრობთ“, ფ-ხვადუთ „ვხვდებით“, გიე-ბ-რვდედით „დავრობდით“, ქიმეე-ფ-თით „მივდივით“, ფ-ჩხომა-

ანქ „ვთევზაობ“; ქიმიი-ბ-ლანთ „მოვიტანთ“; გე-ბ-ძუნა „გვაღვეს“; ქო-დო-ბ-დობოდუთ „დავსნდებით“; ვა-ბ-გინაფაფუდენდითია „ვგებულობდით“ და სხვ. ალომორფი /ბ-/ მკვეთრების წინა პოზიციაში გვხვდება, მაგ.: ვა-ბ-ტემებუენდითია „არ ვტოვებდით“, ქომო-ბ-კიდი „მოვიკიდე“, ი-ბ-ტყობუდით „ვიმალებოდით“, ბ-ჭუნდით „ვწვავდით“ და სხვ.

ბ) წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში [-1] და [-2] მორფემათა სლოტები ხშირად იცვლება, ანუ პირის ნიშანი გადაისმევა ხმოვანი პრეფიქსის (ქცევის ნიშნის) შემდგომ: გეკ-ი-ბ-კვათ < *გეკო-ვ-ი-კვათი „ამოვიჭერი“; ვეთ-ი-ბ-ლანქ < *გეთო-ვ-ი-ლანქ „გამოვიტან“; დ-ი-ბ-ჭყანქ < *დო-ვ-ი-ჭყანქ „დავიწყებ“; დ-ი-ბ-გურე < *დო-ვ-ი-გურე „დავისწავლე“; დ-ი-ბ-ძახი < *დო-ვ-ი-ძახი „დავიძახე“; გ-ი-ბ-ჭყოლიდე < *გო-ვ-ი-ჭყოლიდე „დავივიწყე“..

ბ) ქართულიდან შემოსულ ზოგიერთ ფუძეში პირველი სუბიექტური პირის ორი ნიშანი ჩანს, ერთი ანლაუტში, მეორე კი ფუძეს ორ ნაწილად ხლეჩს (1) (2):

(1) ვ-ა-ბ-ზროვნ-ენ-ქ „ვაზროვნებ“ შდრ. ძირი: აზროვნ-
S1-R1-S1-R1-Th-S1sg

(2) ვ-ა-ბ-რსებ-ენ-ქ „ვარსებობ“ შდრ. ძირი: არსებ-
S1-R1-S1-R1-Th-S1sg

4. იმპერფექტივის აღმნიშვნელი თმV-/მV- ალომორფები, რომლებიც პირველი და მეოთხე სერიების მოდელელებში შედის და მოქმედების პროცესს აღნიშნავს (ქობალავა 2010), დამახასიათებელია მარტივული ტექსტებისათვის, თუმცა რამდენიმე შემთხვევა ზუგდიდური კილოკავის (resp. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს) ტექსტებშიც გამოვლინდა.

5. მარტივული რესპონდენტების ნაწილი ნამდა „რომ“ კავშირის მნიშვნელობით ნამდგა „რომელიც“ ფორმას იყენებს:

(3) კირით დო ტუტათ ინახებუუ მაგვანიი დინახდე, **ნამდგა** ობიქ ვემეკიდაასენ.

„კირით და ნაცრით ინახება ქვევრი, რომ ობი არ მოიკიდოს“;

(4) **პათეშ უკუდ მოხვად თეშ, ნამდგა** ართმაჟია ქეშდოხვამიდეუეს. „ამის მერე მოხდა ისე, რომ ერთმანეთს შეგვახვედრეს.“

ცვლილებები სინტაქსურ კონსტრუქციაში

ახალგაზრდების მეტყველება განსხვავებულია ასაკოვანი რესპონდენტების მეტყველებისგან ლექსიკურადაც და სინტაქსურადაც.

მეგრულში სპეციფიკურია წინადადების ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ქართულს ხშირად არ ემთხვევა, ამიტომაც ასა-

კოვანი ადამიანების ქართულ საუბარში ხშირია ამ კონსტრუქციის პირდაპირ გადმოტანის მცდელობა, რაც მათ მეტყველებას ქართულისთვის არაბუნებრივს, თუმცა მეგრულისთვის სავსებით დასაშვებს ხდის. ახალგაზრდა, განსაკუთრებით 20-35 წლის რესპონდენტებში მეგრულისათვის ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციების ქართულის მიხედვით შეცვლა /გამარტივება შეინიშნება, ეს განსაკუთრებით უარყოფით ნაცვალსახელიან ვარენო „არ არის რომ“; ვარდუო „არ იყო რომ“ კონსტრუქციებს ეხება:

(5) ხოჯეფი სოდე ვარდუო კირდუნ თი ადგილს ოხოჯურს უძახდეს (რესპ. ოფელია ცქვიტაია, 75 წლის)

„ხარები სადაც არ იყო რომ ება, იმ ადგილს სახარეს ეძახდენ.“
შდრ.

ხოჯეფი კირდუნ თი ადგილს ოხოჯურს უძახდეს.

„ხარები რომ ება, იმ ადგილს სახარეს ეძახდენ.“

(6) ასე ასეიანი ვარენო შეუდარე ართიანსუნი, ვეშიდარინე.

(რესპ. ჯაირან. გოგუა. 81 წლის)

„ახლა ახლანდელი არ არის რომ შეუდარო ერთმენტს, ვერ შედარდება.“

შდრ.

ასე ასეიანი ქეშეუდარე ართიანსუნი, ვეშიდარინე.

„ახლა ახლანდელი რომ შეუდარო ერთმანეთს, ვერ შედარდება.“

2022 წლის მასალაში ვარდუო-ს გამოყენების 15, ხოლ ვარენო-ს გამოყენების 9 მაგალითი გვხვდება ასაკოვან რესპონდენტებში. ახალგაზრდებში მათი გამოყენების არცერთი მაგალითი არ დასტურდება. მაგალითი (7) კი იმის დასტურია, როგორ არის დესემანტიზირებული ან და „თუ“ კავშირის მნიშვნელობის აღქმა შესუსტებული, როცა პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გამოყენებულია თუ კავშირის მეგრული და ქართული ვარიანტები:

(7) ანუ თუ დაგამთქნარენსუდა, თიწკია უეჭვეი მუნაჟამა რე.

„ანუ თუ დაგამთქნარებს [თუ], მაშინ უეჭველად მოჟამული არის“
(რესპ. გიორგი სხულუხია, 25 წლის)

ლექსიკური შედგენილობა. სესხება. ენათა გავლენა

ლექსიკური თვალსაზრისით თვალსაჩინოა რამდენიმე ტენდენცია:

1. კოდების გადართვა ზედა ასაკობრივი ზღვრის (75-დან ზევით) რესპონდენტებს არ ახასიათებთ. ქვედა ასაკობრივ ზღვარში L2 ქართულია და ჩნდება წინადადების ან ცალკეული სიტყვების დონეზე.

განმაპირობებელი ფაქტორი სხვადასხვა ჩანს. ქართული სალიტერატურო ენის, როგორც განათლების ენის, გავლენა მეგრულზე ცალკეული ლექსემების დონეზეც აისახება, რაც თვალშისაცემია დაახლოებით 60-65 წლამდე რესპონდენტებში;

2. ნასესხობების თვალსაზრისით ენაში კვლავ გამოიყენება რუსიზმები, რომლებიც ადრინდელი შემოსული და დამკვიდრებულია, შეთვისებულია მეგრულის ლექსიკურ სისტემასთან (*პროლი, სტოლი, შკაფი, გარდერობი, პლატოკი, პატალოკი, ფეჩქი, დურაქი, დვარეცი, ზაბორი, კრასკა, ბიდონი, ბოჭკა, სტოიკა, სტოლბა, ტოკი, ხადავოი, დრუჟბა, ნასოსი, პისტოლეტი, ბენზინი, სალიარკა, გაზი, სეტკა, კასრული, ვილკა, ჩუგუნი, პადელნიკი და სხვ.*). ახალგაზრდების მეტყველებაში იკვეთება ზოგი სიტყვის ქართულით ან მეგრული სიტყვებით ჩანაცვლების მცდელობა, მაგ.: ზაბორი / ლობერი, ტოკი / დენი, დვარეცი / სასახლე, დურაქი / სულელი და სხვ.

საერთაშორისო სიტყვებთან ერთად (*ტელევიზორი, ტელეფონი, აეროპორტი, აეროპლანი, კომპიუტერი და სხვ.*), ახალგაზრდების მეტყველებაში აქტიურ მიმოქცევაშია ტექნოლოგიებთან და სოცქსელებთან დაკავშირებული ლექსიკა: *ინსტაგრამი, ფეისბუქი, ტიკტოკი, გუგლი, მესინჯერი, ვოცაპი, სკაიპი და ა.შ.*

3. მორფოლოგიური ნასესხობები არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ორიოდ მაგალითს, როცა ობიექტის მრავლობითობა, რომლის გამოსახატავად მეგრულს დამოუკიდებელი მარკერი არ გააჩნია, აღინიშნება ქართული /გვ-/ პრეფიქსით: *გვ-იწვენს „გვიწევს“; გვ-იყვენა „გვიყვებიან“; გვ-ამართლენა „გვამართლებენ“.*

L2-ის გავლენით დამკვიდრებული ფორმობრივი მოდელირება ორი ძირითადი გზით ხორციელდება: ა) სახელის ან ზმნის ძირი / ფუძე ქართულია და მეგრულ მორფოლოგიურ ყალიბშია ჩასმული; ბ) ფორმა ქართულ და მეგრულ მორფემებს (ძირეულს, აფიქსურს) შერეულად შეიცავს. ასეთ შემთხვევაში ქართული მორფემების მნიშვნელობები დესემანტიზირებულია.

FLEx-ის პროგრამაში ინტეგრირებისათვის მზად არის 2023 წლის საველე ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალის 8 საათი, რომელიც მოიცავს სენაკის, აბაშის, ხობის, ფოთის, ზუგდიდის და ჩხოროწყუს ტექსტებს. აღნიშნული მასალის ანალიზის შემდეგ (რასაც ასევე დავემატება სამურზაყანოულის ტექსტების ანალიზი) გვექნება სრული სურათი თანამედროვე პერიოდისათვის მეგრულის ენობრივი (ლექსიკურ-გრამატიკული) მდგომარეობისა და მისი დიალექტების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ. ასაკობრივად განსხვავებულ რესპონდენტთა მეტყველების ერთმანეთთან შედარება კი საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ ენობრივი ცვლილებების თვისობრიობა და რაოდენობა, რამაც უნდა განსაზღვროს ენის საფრთხეში ყოფნის ხარისხი.

დამოწმებანი

- გერსამია, რუსუდან და ირინა ლობჯანიძე. 2022. *მეგრულის კონვერტორი* <https://irinalobzhanidze.com/megrelian/converter/converter.html> . ბოლო წვდომა 2022 წლის 15 ივნისი.
- გუდავა, ტოგო. 1969. მახვილის ადგილისათვის მეგრულში. კრებულში: *გიორგი ახვლედიანი – 80, საიუბილეო კრებული*, რედ. შოთა ძიციგური, 106-111, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გუდავა, ტოგო და თამაზ გამყრელიძე. 1981. თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში. კრებულში: *აკაკი შანიძეს*, რედ. შოთა ძიციგური, 202-243. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კარტოზია, გურამ, რუსუდან გერსამია, მათა ლომია და თათა ცხადაია. 2010. *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*. თბილისი: მერიდიანი.
- ქაჯაია, ოთარ. 1956. /ლ/ ფონემისათვის მეგრულის მარტვილურ-ბანძურ თქმაში. *ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები*, ტ. III.
- ქირია, ჭაბუკი, ლალი ებუგბაია, ომარ მემიშიში და მერაბ ჩუხუა. 2015. *ლაზურ-მეგრულის გრამატიკა I. მორფოლოგია*, თბილისი: მერიდიანი.
- ქობალავა, იზაბელა. 2010. აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათვის მეგრულში. *ენათმეცნიერების საკითხები I-II*: 234-249.
- Кипшидзе, Иосиф. 1914. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Петербург: Типография Императорской Академии Наук.
- შენგელია, ეთერ, ნათია ფონიავა და მათა მემიშიში. 2020. *მეგრულ-ლაზური ინტონაცია*, თბილისი: უნივერსალი.
- Bowern, Claire. 2008. *Linguistic Fieldwork: A Practical Guide*. Basingstoke, UK: Palgrave Macmillan.
- Dillman, Don A. 1978. *Mail and Telephone Surveys: The Total Design Method*. New York: Wiley.
- Gippert Jost, Nikolaus P. Himmelmann and Ulrike Mosel, eds. 2006. *Essentials of Language Documentations*. Berlin: Mouton de Gruyter.
- Moseley, Christopher and Alexandre Nicolas. 2021. UNESCO: World Atlas of Languages: Mingrelian. UNESCO. <https://en.wal.unesco.org/languages/mingrelian>.
- SIL Fieldworks Language Explorer (FLeX), Version 9.1. (2024, January 01). Retrieved from Fieldwork: Language Technology: <https://software.sil.org/fieldworks/>

ირინა ლობჯანიძე, ერეკლე მალრაძე, სვეტლანა ბერიკაშვილი,
ანზორ გოზალიშვილი, თამარ ჯალალონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

ქართული ენის უნივერსალური სინტაქსური ანოტირების პრინციპები*

ნაწილი 1. შესავალი

ბუნებრივი ენის დამუშავების მთავარ ამოცანას წარმოადგენს უნივერსალური ენობრივი რესურსების შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენისთვის, რომლებსაც განეკუთვნება სხვადასხვა ენობრივი პროექტის ფარგლებში შექმნილი როგორც პროგრამული მომსახურება, ასევე მონაცემთა ბაზები (მაგ. უნივერსალური სინტაქსური დამოკიდებულებები (UD),¹ უნივერსალური მორფოლოგია (UniMorph),² ფრაზეოლოგიური შესიტყვებების პარსინგი (PARSEME)³ და სხვ.). უნივერსალური დამოკიდებულებების პერსპექტივიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს უნივერსალურ დამოკიდებულებათა ინიციატივა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ენის კროსლინგვისტურ ანოტირებას სინტაქსურ ხეთა ბანკების გაზიარების მიზნით. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ეს რესურსი არც ერთ ქართველურ ენას არ მოიცავს, არც ქართულს მოიცავდა 2023 წლამდე. აღნიშნული კი გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: პირველი, ქართული განიცდის მონაცემების უკმარისობას; მეორე, რესურსები, რომლებიც იქმნება სხვა ენებისათვის, ნაკლებად გამოსადეგია ქართულისათვის ანოტირების მორფოსინტაქსური სქემატური სხვაობების გამო. ამავდროულად, რესურსები, რომლებიც შეიქმნა ქართულისათვის, როგორცაა მორფოლოგიური ანალიზატორი და

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-20496]. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

1 იხ. <https://universaldependencies.org/>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

2 იხ. <https://unimorph.github.io/>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

3 იხ. <https://typo.uni-konstanz.de/parseme/>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

გენერატორი (Lobzhanidze 2022) ახდენენ ლემების, მეტყველების ნაწილებისა და მორფოსინტაქსური ტეგების მიწერას, თუმცა არ ახდენენ ომონიმურ განმსგავსებას და სინტაქსურ ანალიზს; ასევე, მონაცემები ქართული ენის კორპუსიდან (GLC)⁴ და KartNLP⁵ არ არის საკმარისი ზემოხსენებული მიზნებისათვის.

ქართული ენის სინტაქსური ანოტირების სქემების შემუშავება საფუძველს წარმოადგენს რთული მორფოლოგიის მქონე ენების სინტაქსური პარსინგისათვის და, ასევე, მცირე რესურსების მქონე ენების (როგორცაა ქართველური ენები) დამუშავების გაუმჯობესებისათვის. წინამდებარე ანგარიში აღწერს ქართული ენის სინტაქსური ანოტირების სქემების შემუშავებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს და წარმოადგენს ქართული ენის მორფოსინტაქსური კომპიუტერული ანალიზისა და უნივერსალურ სინტაქსურ დამოკიდებულებათა პროექტის (# FR-22-20496) ანგარიშის ნაწილს.

ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოკლედ აღწერს სხვადასხვა ენობრივ რესურსს, რომელიც ხელმისაწვდომია ქართული ენის შემთხვევაში (XPOS დონე) ანოტირების და ტეგირების სხვადასხვა დონეზე, არსებულ კორპუსებს და მათი მონიშვნის დონეებს და აღნიშნავს სინტაქსური ანოტირების საჭიროებას. მეორე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც გამოიყენება ქართული ენის არსებული ტეგსეტების უნივერსალურ დამოკიდებულებათა ფორმატთან დასაკავშირებლად ენაზე დამოკიდებული ტეგსეტის (UPOS) და თვისებათა ტეგსეტის (FEATS) დონეზე და იმ ფუნქციებზე, რომლებიც გამოტოვებულია UPOS და FEATS დონეზე, ხოლო მესამე ნაწილში განიხილება ქართული ენის სინტაქსური ანოტირების პრინციპები შესაბამისი ფორმატის ფაილების მაგალითზე (Georgian-ud-test.conllu, README.md და ა.შ.) და ენობრივი დოკუმენტირების ფაილები (introduction.md და index.md), რომლებიც უკვე ატვირთულია GitHub⁶-ზე. მეოთხე ნაწილი აჯამებს შესრულებულ სამუშაოს და აღწერს სინტაქსური ხეთა ბანკის განვითარების სამომავლო პერსპექტივას.

ნაწილი 2. ქართული ტეგსეტის უნივერსალურ დამოკიდებულებათა ტეგსეტთან დაკავშირების პრინციპებისათვის

სინტაქსური უნივერსალიების კვლევის თეორიული საფუძველი, როგორც წესი, ორ თეორიულ ჩარჩოს მოიცავს, კერძოდ, ფუნქციონა-

4 იხ. <http://corpora.iliauni.edu.ge/>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

5 იხ. <https://kartnlp.iliauni.edu.ge/>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

6 იხ. https://github.com/UniversalDependencies/UD_Georgian-GLC/tree/dev/ და https://github.com/UniversalDependencies/docs/blob/pages-source/_ka/, ბოლო წვდომა; 2023 წლის 2 დეკემბერი.

ლურ-ტიპოლოგიურს (გრინბერგი 1966 და სხვ.) და ფორმალურ-გენერაციულს (ჩომსკი 1976 და სხვ.). ბუნებრივი ენის დამუშავების ფარგლებში ზემოაღნიშნული თეორიული ჩარჩოების გამოყენება, ძირითადად, ორიენტირებულია ერთიან მიდგომაზე, რომელიც უზრუნველყოფს კროსლინგვისტურ ენობრივ აღწერას მეტყველების ნაწილების (PoS) ტეგირების, კომპონენტებისა და დამოკიდებულებათა პარსინგისა და კორპუსზე დაფუძნებული მიდგომების დონეზე. ქართულისათვის ანოტირების სქემის შემუშავების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ენობრივი უნივერსალიებისა და შესაბამისი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური სტრუქტურების აღწერა, ხოლო პრაქტიკულ საფუძველს – კომპიუტერული ენობრივი რესურსების გამოყენება სინტაქსური ანალიზისთვის. აღნიშნული წინაპირობები გამოიყენება შემდეგი მიზნების მისაღწევად: ა) ქართული ენის სინტაქსური ფუნქციებისა და დამოკიდებულებების განსაზღვრისათვის; ბ) ქართულის ენის ანოტირების სახელმძღვანელოს შესადგენად; გ) ცალკეული მეტყველების ნაწილებისათვის (PoS) უნივერსალურ დამოკიდებულებათა ანოტირების სქემის შესამუშავებლად წინადადების შემდეგი ტიპებისათვის: მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი; დ) სატესტო ხეთა ბანკის შესაქმნელად. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა მჭიდროდ უკავშირდება დამოკიდებულებათა გრამატიკის მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ქართული წინადადებების მონაცემთა სახით წარმოსადგენად, რადგანაც ქართულს, ისევე როგორც სხვა ენებს, აქვს იერარქიული სტრუქტურა (კვაჭაძე 1996), რომელიც მოიცავს სახელურ შესიტყვებებს, ზმნურ შესიტყვებებს და ა.შ.

არსებული მონაცემების შეჯერების მიზნით, ქართული ენის არსებული ტეგსეტები (Lobzhanidze 2021, 2022) შედარდა უნივერსალურ დამოკიდებულებათა ტეგსეტს და შემუშავდა უნივერსალურ დამოკიდებულებათა ქართული ენის შესაბამისი ტეგსეტების ორი სია:

- უნივერსალური მეტყველების ნაწილების (UPOS) ტეგების სია ემსახურება მეტყველების ძირითადი ნაწილების მონიშვნას. UPOS ტეგების გარდა, უნივერსალურ დამოკიდებულებათა (CoNLL-U) ფორმატი უზრუნველყოფს ქართული ენისათვის დამახასიათებელი მეტყველების ნაწილების ტეგირებას პირობითი ენობრივი (XPOS) ტეგების გამოყენებით. შესაბამისად, .conllu ფორმატის სატესტო ფაილიც მოიცავს შესაბამის ველს, რომელიც ემსახურება XPOS ტეგების ჩვენებას. ტეგსეტების შეჯერებისას გამოვლინდა რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც უნივერსალური ტეგსეტი განსხვავდება ქართული

ენის ტრადიციული ტევსეტიკისგან, კერძოდ, უნივერსალური დამოკიდებულებების მიხედვით, ზოგადი არსებითი სახელები აღინიშნება როგორც NOUN, ხოლო შესაბამისი საკუთარი არსებითი სახელები როგორც PROPN. მაშინ როცა ქართული ენის ამოსავალ ტევსეტებში (2021, 2022) ზოგადი არსებითი სახელები წარმოდგენილია როგორც +Noun ან Nc, ხოლო საკუთარი სახელები – როგორც +Noun+Prop ან Np.

- ლექსიკური თვისებების (FEATS) ტევების სია, რომელიც იყოფა ლექსიკურ თვისებებად, მაგ. ნაცვალსახელის ტიპი (PronType), რიცხვითი სახელის ტიპი (NumType) და სხვ. და ფლექსიურ თვისებებად სახელური და ზმნური პარადიგმებისათვის, მაგ. რიცხვი (Number), ბრუნვა (Case) და სხვ. სახელური და ზმნური პარადიგმების ტევების სიები, ბუნებრივია, განასხვავებენ თვისებებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სახელებთან ან მხოლოდ ზმნებთან. გამოვლინდა, ასევე, ზოგიერთი ქართული ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებაც, მაგ. მიახლოებითი რიცხვითი სახელები, გვარის სხვადასხვა ტიპი და ა.შ.

ქართული ენის სინტაქსური ტევები წარმოდგენილია უნივერსალურ დამოკიდებულებათა ტევების სიის სახით და შედარებულია უნივერსალურ დამოკიდებულებათა სიასთან, რომელიც ხელმისაწვდომია <https://universaldependencies.org/u/dep/index.html>. ქართული ენისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია, როგორიცაა ტოკენიზაცია და სეგმენტაცია, ინფორმაცია ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ, ინფორმაცია ზემოაღნიშნული ტევებისა და თვისებების შესახებ, აიტვირთა GitHub-ის საცავში ამოსავალი introduction.md და index.md ფაილების სახით.⁷

ნაწილი 3. ქართული ენის სინტაქსური ანოტირების პრინციპები

ქართული ენის კორპუსი (დობორჯგინიძე და ლობჯანიძე 2012-2019) და ქართული ენის ანოტირების ხელსაწყოები, როგორიცაა: ტოკენიზატორი, მორფოლოგიური ანალიზატორი და გენერატორი (Lobzhanidze 2022) გამოიყენება ცალკეული ტოკენების ლემატიზაციისა და მორფოსინტაქსური ანოტირებისათვის. აღნიშნულ რესურსებს დაემატა სინტაქსური ფუნქციების მონიშვნის სკრიპტები. შესაბამისად, პროექტზე მუშაობისას მოხდა თეორიული და კომპიუტერული მიდგომების გამოყენება წინადადებების საზღვრე-

⁷ იხ. https://github.com/UniversalDependencies/docs/blob/pages-source/_ka/, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

ბისა და სინტაქსური დამოკიდებულებების მისანიჭებლად, კერძოდ:

- ქართული ენის სინტაქსური ფუნქციებისა და დამოკიდებულებების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს შესიტყვების სტრუქტურის მონაცემთა აღწერასა და ანალიზს, წინადადების შემადგენელ ნაწილებს შორის ფუნქციონალური ურთიერთობებისა და ქართული ენის დამოკიდებულებათა მიმოხილვას;
- ქართულის სინტაქსური ანოტირების ინსტრუქციების შედგენა, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია სახელური შესიტყვების (მაგ. განსაზღვრებისა და ფუნქციური სიტყვების დამოკიდებულების და ა.შ.) შესახებ, მარტივი (მაგ. გარდაუვალი და გარდამავალი წინადადებების, ვალენტობის ცვლილებისა და ა.შ.) და რთული (მაგ. ქვეწყობილი და თანწყობილი) წინადადებებისა და სხვა კონსტრუქციების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
- უნივერსალურ დამოკიდებულებათა ანოტირების სქემების შემუშავება ცალკეული მეტყველების ნაწილებისათვის წინადადებების ტიპების გათვალისწინებით: მარტივი, რთული ქვეწყობილი, რთული თანწყობილი, რომელიც მოიცავს დოკუმენტირებული ტეგების, თვისებებისა და სინტაქსური ურთიერთობების მიმოხილვას სინტაქსური ანოტირების წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას სიტყვებს შორის დამოკიდებულებათა ურთიერთობების, ფუნქციონალური სიტყვების სტატუსისა და შერჩეული დამოკიდებულებების ტაქსონომიის შესახებ.

ქართული ენის წინასწარ შემუშავებული საწყისი ფაილი (Georgian-ud-test.conllu) მოიცავს 151 წინადადებას, რაც 2123 ტოკენს შეადგენს. წინადადებების რაოდენობა განისაზღვრა მოდელის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოდელში იგულისხმება დასწავლის გზით UDPIPE⁸ რესურსის გამოყენებით მოდელის შექმნა. წინადადებები შემთხვევითი პრინციპით შეირჩა ქართული ენის კორპუსიდან (დობორჯგინიძე და სხვ. 2012-2019). შემუშავებული ფაილი 10 სვეტისგან შედგება, მათ შორის:

- ID: დამოკიდებულების ხის მიხედვით სეგმენტირებული წინადადება, რომლის ტოკენიზაცია შესრულებულია ქართული ენის კორპუსის ანოტირების მიხედვით, რომელსაც შეემატა მრავალსიტყვიანი ტოკენების ავტომატური ტოკენიზაცია. წინადადებების ნუმერაცია 00001-დან იწყება;

8 იხ. <https://ufal.mff.cuni.cz/udpipe/2/models>, ბოლო წვდომა: 2023 წლის 2 დეკემბერი.

- FORM: სიტყვის ფორმა ან პუნქტუაციის სიმბოლო ქართული ენის კორპუსის ანოტირებიდან;
- LEMMA: სიტყვის ამოსავალი ლემა, რომელიც ავტომატურად განისაზღვრება ქართული ენის კორპუსის ანოტირებიდან;
- UPOS: მეტყველების ნაწილების უნივერსალური ტეგები, რომლებიც უკავშირდება ქართული ენის კორპუსის ამოსავალ ანოტირებას;
- XPOS: ენის მეტყველების ნაწილის ტეგსეტი დობორჯგინიძის და ლობჯანიძის (2012-2019) და ლობჯანიძის (2022) მიხედვით;
- FEATS: მორფოლოგიური თვისებების სია, რომელიც შედგენილია ქართული ენის კორპუსის ანოტირების მიხედვით;
- HEAD: მიმდინარე სიტყვის თავი ამოიცნობა და მოინიშნება ავტომატურად ხელით ჩასწორების გზით;
- DEPREL: სიტყვების უნივერსალური დამოკიდებულებები ამოიცნობა და წინადადების თავს (HEAD) დაუკავშირდება ავტომატურად ხელით ჩასწორების გზით;
- DEPS: დამოკიდებულების გრაფიკი მეთაური წყვილების სახით გასნაზღვრება ავტომატურად ხელით ჩასწორების გზით;
- MISC: მოიცავს ინფორმაციას ტოკენების ავტომატური სეგმენტირებისა და ტრანსლიტერაციის შესახებ.

ნაწილი 4. დასკვნები

უნივერსალურ დამოკიდებულებათა ხელსაწყოების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ხეთა ბანკის კროსლინგვისტური თანმიმდევრული ანოტირება, რაც მნიშვნელოვანია მულტილინგვური პარსერებისა და კროსლინგვისტური დასწავლის უზრუნველყოფისათვის ენობრივი ტიპოლოგიის პერსპექტივის გათვალისწინებით. და ვინაიდან დღემდე არ არსებობს ქართული ენის ხეთა ბანკი, უნივერსალური დამოკიდებულებების სინტაქსური მოდელის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერსპექტივიდან გამომდინარე. ამრიგად, ანგარიშიში წარმოდგენილია ქართულის სინტაქსური ანოტირების სქემის შექმნის საწყისი ეტაპი, რომელიც ემსახურება ქართული ენობრივი მონაცემების თავსებადობის უზრუნველყოფას კროსლინგვისტურ ჭრილში და სამომავლოდ გამოყენებული იქნება ქართული ენის ხეთა ბანკის შესაქმნელად. ამ მომენტისათვის ზოგიერთი თვისება კიდევ უნდა დაემატოს ენობრივ დოკუმენტაციას და საცავი ხელახლა განახლდება იენისისათვის. სამომავლო პერსპექტივები მჭიდროდ

უკავშირდება ქართული ენის ლინგვისტური მოდელის გაწვრთნას UDPIPE-ის გამოყენებით.

დამოწმებანი

- დობორჯგინიძე, ნინო და ირინა ლობჯანიძე. 2012-2019. *ქართული ენის კორპუსი*. თბილისი. <http://corpora.iliauni.edu.ge/>.
- კვაჭაძე, ლეო. 1996. *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი: რუბიკონი.
- Chomsky, Noam. 1976. *Reflections on Language*. London: Temple Smith.
- de Marneffe, Marie-Catherine, Bill MacCartney and Christopher D. Manning. 2021. Generating Typed Dependency Parses from Phrase Structure Parses. *Computational Linguistics*, vol. 47, Issue 2: 255-308.
- Greenberg, Joseph. 1966. *Universals of Language*. Cambridge: MIT Press.
- Lobzhanidze, Irina. 2022. *Finite-State Computational Morphology: An Analyzer and Generator for Georgian*. Cham: Springer.
- , 2021. *MULTEXT-East Morphosyntactic Specifications, Revised Version 6: Georgian Specifications*. August 20. <http://nl.ijs.si/ME/V6/msd/html/msd-ka.html>.
- Nivre, Joakim, Bandmann Megyesi, Beáta. 2007. Bootstrapping a Swedish Treebank Using Cross-Corpus Harmonization and Annotation Projection. In *Proceedings of the Sixth International Workshop on Treebanks and Linguistic Theories*, eds. Koenraad De Smedt and Jan Hajič and Sandra Kübler. NEALT Proceedings Series, vol. 1: 97-102. Bergen: Northern European Association for Language Technology (NEALT).
- Nivre, Joakim and Chiao-Ting Fang. 2017. Universal Dependency Evaluation. In *Proceedings of the NoDaLiDa 2017 Workshop on Universal Dependencies (UDW)*, eds. Marie-Catherine de Marneffe, Joakim Nivre and Sebastian Schuster, 86-95. Gothenburg, Sweden: Association for Computational Linguistics.

აბსტრაქტები ABSTRACTS

Rusudan Gersamia, Irina Lobzhanidze,
Tamuna Skhulukhia, Nino Tsulaia

*Ilia State University, Georgia
rgersamia@iliauni.edu.ge*

Documentation of Megrelian: A Report on Linguistic Expeditions to Samegrelo (2022-2023)

During the summers of 2022 and 2023, linguistic expeditions were carried out to Samegrelo. Within this initiative, linguistically valid, genre- and thematically diverse material, totaling up to 55 hours, was generated for the FLEx program so as to document the current sociolinguistic situation in Samegrelo. This was done through pre-designed questionnaires.

The field material from 2022 was entered into FLEx and processed for 6 hours and 23 minutes. This comprised 102 pages of text, consisting of 3,481 sentences and 26,972 unique forms.

At the current stage, the linguistic evidence suggests that the dialects of the Megrelian language do not show a tendency towards uniformity. Instead, they maintain distinctions at the phonetic, morphonological, and morphological levels. Generally, changes in the Megrelian language affect vocabulary and syntax, and are caused by the influence of Georgian.

**Irina Lobzhanidze, Erekle Maghradze, Svetlana Berikashvili,
Anzor Gozalishvili, Tamar Jalaghonia**

*Ilia State University, Georgia
irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge*

Universal Syntactic Annotation Guidelines for Georgian

One of the most crucial Natural Language Processing (NLP) tasks is associated with the universality-driven development of language resources for different languages (e.g. Universal Dependencies (UD), UniMorph, PARSEME, etc.). This article describes the possibility of creating a Syntactic TreeBank for Georgian, and consists of four sections.

The first section briefly describes different linguistic resources that exist concerning Georgian and mentions the importance of syntactic annotation. The second section focuses on the tools used for mapping the existing targets for Georgian to the UD format. The third section includes a description of the principles of syntactic annotation and language-specific documentation files, while the fourth section summarizes the work done and describes the future stages of the development of the syntactic TreeBank.

მიმოხილვა REVIEW ARTICLES

თინათინ მარგალიტაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge

პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლექსიკოგრაფიაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

2023 წლის 10-12 ნოემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“. კონფერენცია 2022 წელს დააარსეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. კონფერენციის ორგანიზატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი“.

კონფერენცია ჩატარდება ორ წელიწადში ერთხელ მონაცვლეობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის მიზანია, საქართველოში შექმნას ფორუმი თანამედროვე ლექსიკოგრაფიის საკითხებზე სამსჯელოდ, დარგის შემდგომი პოპულარიზაციისათვის როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მთელ რეგიონში. ლექსიკოგრაფიამ, მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, დიდი ევოლუცია განიცადა. იგი მუდამ ფუნქციონირებდა და მიჰყვება ენათმეცნიერებისა თუ სხვა მომიჯნავე დარგების მიღწევებს, რომლებიც საფუძვლად ედებოდა ახალ თეორიებს, მეთოდებსა თუ მიდგომებს. მაგრამ ციფრულმა ეპოქამ ყველაზე დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა დარგი, განაპირობა რევოლუციური ცვლილებები და ლექსიკოგრაფია გადააქცია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად დარგად. ბექტდურმა ლექსიკონებმა გზა დაუთმეს ელექტრონულ და ონლაინლექსიკონებს, რამაც თანდათან მოითხოვა მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხის გადაზრება. სწრაფი პროგრესი ენობრივი ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში და უფრო სრულყოფილი და დახვეწილი აპლიკაციების შექმნის მოთხოვნა ქმნის იმის საჭიროებას, რომ ლექსიკოგრაფებმა წინ გაიხედონ და განსაზღვრონ ლექ-

სიკოგრაფიისა და ლექსიკოგრაფების ადგილი ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით. თანამედროვე ლექსიკოგრაფია ქვეყნის მართლმადიდებლურ და რელიგიურ დარგად გადაიქცა. ამგვარი ინტერდისციპლინური საქმიანობისას, მეცნიერებს სჭირდებათ, იყვნენ ინოვაციურები, ეძებონ ახალი გზები, მეთოდები, მიდგომები. მეორე მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების შემოჭრა ფილოლოგიაში ხანდახან იწვევს მეტისმეტ ყურადღებას ტექნოლოგიებისადმი და მათი შესაძლებლობების გადაჭარბებულ შეფასებას, შინაარსის საზიანოდ. აქაც საჭიროა სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის შემოქმედებითი კომბინაცია.

ზემოხსენებული ვითარების თვალსაზრისით, ქართული ლექსიკოგრაფიის დღევანდელი მიდგომარეობა განსხვავდება ევროპული ქვეყნების მიდგომარეობისგან. ქართულ ლექსიკოგრაფიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ძალიან ბევრი ენობრივი რესურსია შესაქმნელი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ენობრივი ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების განვითარებას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ასეთი ფორუმის საქართველოში ჩატარება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მნიშვნელოვანი დარგის სწორ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, რეგიონსა და საქართველოს მსგავს სხვა ქვეყნებში. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია დაეხმარება ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებს ევროპული, და ზოგადად, საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაცნობასა და საკუთარი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებაში, რომლებიც მოერგება მათ ენებსა და ენობრივ ვითარებას. ასევე იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია ხელს შეუწყობს რეგიონში დარგის პოპულარიზაციას და ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას ლექსიკოგრაფიის სფეროში სამუშაოდ.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკოგრაფია და ენობრივი ტექნოლოგიები; ლექსიკოგრაფია და კორპუსის ლინგვისტიკა; ლექსიკოგრაფია სპეციალური ენებისათვის, ტერმინოლოგია და ტერმინოგრაფია; ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ლექსიკოლოგიური საკითხები; ორენოვანი ლექსიკოგრაფია; ლექსიკონის შექმნის პროცესი; ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა და ლექსიკონის დიდაქტიკა.

კონფერენციაზე წარმოდგენილმა ყოველმა მოხსენებამ გაიარა ორი ანონიმური რეცენზირება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 55 მეცნიერი საქართველოდან, დანიიდან, ავსტრიიდან, უნგრეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, მექსიკიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ქართველი მეცნიერები წარმო-

ადგენდნენ 5 ქართულ უნივერსიტეტს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მისასალმებელია, რომ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის მიმართულების დოქტორანტები, ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის (European Master in Lexicography) როგორც კურსდამთავრებულები, მათ შორის ქართველი კურსდამთავრებულები, ისე ამჟამინდელი სტუდენტები.

კონფერენციაზე გაიმართა 11 სამეცნიერო სხდომა, მონაწილეებმა მოისმინეს 37 მოხსენება, მათ შორის სამი პლენარული მოხსენება, 25 მოხსენება, 9 კვლევა კი პოსტერების სახით იყო წარმოდგენილი.

პირველი საერთაშორისო კონფერენციის წამყვანი თემატიკა იყო: „ლექსიკოგრაფია ტრადიციული მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სინთეზის გზით“.

კონფერენციის ორენოვანი პროგრამა, თეზისების კრებული და სრული მოხსენებების კრებული გამოქვეყნებულია კონფერენციის ვებსაიტზე.

Pius ten Hacken

University of Innsbruck, Austria
pius.ten-hacken@uibk.ac.at

Conference Report: International Conference Lexicography in the XXI Century, Tbilisi 10-12 November 2023

The international conference *Lexicography in the XXI Century* took place at Ilia State University in Tbilisi and was organized by the Centre for Lexicography and Language Technologies. In the space of three full days, it featured three keynote lectures, 25 regular papers and a poster session with nine posters.

Conferences can be conceived of in two ways. One view of a conference is that it is a vehicle for presenting new ideas, another that it is an occasion for making new contacts and renewing existing ones. Both are important goals, but it is essential to keep a proper balance between them. That a conference is called *international* produces a certain risk in this respect. In an extreme interpretation of the former view, the audience is less important than the confirmation that one has given the presentation at an international conference. I can confirm that such conferences take place, because I found myself attending them and justifying the predicate *international*. This may serve to demonstrate research activity, but it is not very satisfactory otherwise. In an extreme interpretation of the latter view, attendance at the sessions is less important than the conversations during the breaks. I have also attended such conferences. They are often large international conferences with many parallel sessions, which makes it difficult to navigate to a good personal selection for attendance.

The organization of the programme in Tbilisi and the way the delegates shaped it ensured that we stayed well clear of either of these extremes. The absence of parallel sessions brought all participants together in one room, so that we built up a shared experience. The predicate *international* did not depend on only a few invited participants from abroad. With an almost equal share of presentations, scholars from a wide range of European and North American countries ensured a genuine international exchange. Georgian lexicographers and lexicologists took this opportunity to present their work to an international audience and engage in discussions with them. They showed that there

is every reason that in the case of Georgia, international exchange implies a bidirectional mode of communication. The particular historical and linguistic background in Georgia has resulted in specific features of lexicographic relevance that are also interesting for scholars from different backgrounds, if only because they call into question assumptions one has not consciously thought about before. The coffee breaks and the lunch breaks provided opportunities to explore these issues in more detail. If any proof was needed, they showed that a conference in presence is incomparably more fruitful than an online one.

Each day, the programme started with a keynote lecture. The three keynote lectures framed the other presentations by a well-thought selection of topics. On the first day, my presentation focused on the position of theory in lexicography and compared it to the situation in medicine, which can be thought as the prototypical example of applied science. On the second day, Lars Trap-Jensen considered the future of lexicography in view of technical advances in AI, arguing that AI will not make lexicographers redundant, but will raise the standards they are expected to meet. On the final day, Tinatin Margalidze gave an overview of the recent history, current state and future perspectives of lexicography in Georgia. As for many smaller languages, there are specific challenges involved in building adequate corpora, using the opportunities offered by electronic lexicography and promoting the teaching of dictionary use to language users as well as of dictionary-making skills to future lexicographers.

While it would be impossible to mention the topics of all regular papers and posters here and unfair to select only a few, it is worth mentioning that the authors included both established scholars and PhD students. This mix was very fortunate and stimulated the exchange of ideas, because established scholars contributed their extensive knowledge gained from experience, while PhD students often presented new ideas that do not follow traditional patterns.

In the book of abstracts, the conference is presented as the first of a series. Given the quality of the presentations and the fruitful exchange of views they triggered, it is to be hoped that the series will continue building on this experience. It is good to know that there will be a second conference, organized in Batumi.

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
ლეა ნეში
უნივერსიტეტი პარიზი 8, საფრანგეთი

„სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ (SCCC-3)

2023 წლის 2-4 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ლინგვისტური კონფერენცია “სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ (SCCC-3) და ამავე ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ლინგვისტთა საერთაშორისო საშემოდგომო სკოლაც (<https://linguistics.iliauni.edu.ge/>). ეს სასწავლო-კვლევითი ფორუმი არის კომბინირებული ღონისძიება, რომელსაც 2016 წელს პარიზში ჩაეყარა საფუძველი და შედარებით მცირე სამუშაო შეხვედრებით გაგრძელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ხოლო 2018 წელს თბილისში შედგა „სამხრეთ კავკასიური ცარცის წრის“ მეორე კონფერენცია. პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო მცირე ხნით შეფერხდა ღონისძიების ჩატარება, თუმცა 2023 წელს შესაძლებელი გახდა SCCC-3 ფორუმის გაგრძელება პირისპირ ფორმატში.

SCCC-3-ის მიზანი იყო ადგილობრივი ქართველოლოგიური კვლევების დაახლოების ხელშეწყობა თანამედროვე ლინგვისტურ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსთან, ასევე უცხოეთის კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე საენათმეცნიერო თუ ფილოლოგიურ დისკუსიებში ქართველოლოგიური მასალის აქტიურად ჩართვა; ამასთანავე, მდიდარი ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის რეაქტუალიზაცია, ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა საერთაშორისო კვლევებში და უცხოელ ახალგაზრდა მეცნიერთა შორის ქართველური ენების, როგორც უმდიდრესი საკვლევი მასალის, პოპულარიზება.

აღნიშნული პლატფორმის ამოცანები იყო:

- ქართველოლოგიის განვითარებისათვის საჭირო თანამშრომლობითი სივრცეების შექმნა საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში;

- ენათმეცნიერების დარგში ადგილობრივ და უცხოელ, როგორც ახალგაზრდა, ასევე გამოცდილ ქართველოლოგებს შორის დიალოგისთვის ხელის შეწყობა;
- ახალგაზრდა მეცნიერებისათვის შესაძლებლობების მიცემა, რომ ისინი გასცნობოდნენ მსოფლიოს წამყვანი ენათმეცნიერების შრომებს როგორც ქართველოლოგიის, ასევე ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგების მიმართულებით;
- შესაძლებლობის მიცემა ქართველი მკვლევარებისთვის, რომ მოესმინათ წამყვანი უცხოური უნივერსიტეტების პროფესორ-მკვლევართა სემინარები თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომებისა და აქტუალური საკვლევო პრობლემების შესახებ;
- ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზებისთვის ხელის შეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ლონისძიების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კონფერენცია და საშემოდგომო სკოლა მოიცავდა მრავალ ლინგვისტურ სფეროს: ქართველური ენები (ქართული, სვანური, ლაზური, მეგრული), ბასკური, საფრთხეში მყოფი ენები, ენის განვითარება, ბილინგვიზმი, ყესტური ენები, ნეიროლინგვისტიკა, მორფოლოგია, ფონოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოგრაფია და ლექსიკოლოგია, ენობრივი მემკვიდრეობა, დიალექტოლოგია, ტიპოლოგია, კორპუსის ლინგვისტიკა და ენის ათვისება.

